ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—43.

ოთხშაბათი, 22 სექტემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 215 (1760)

დ ღ ი უ რ ი

- — ოქტომბერში ჩემბერლენი შეხვდება მუსოლინს.
- — გადადგა კანადის პრემიერი.
- — იტალიაში გაიმართა ანტი-ფრანგული დემონსტრაცია.
- — დაიდო პოლონეთ-სამხრეთ-სლავიის მეგობრული ხელშეკრულება.
- — კორსიკის ნავთსადგურის ბასტიოში გაიმართა ფაშისტების საწინააღმდეგო დემონსტრაცია.
- — სპარსეთი იტალიას უთმობს დიდ ტერიტორიას კოლონიისათვის.

დღეს, ოთხშაბათს 22 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრის და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა

საქ. ცაკის სამდივნო.

სოციალისტური მშენებლობის გზები

მკითხველი დღეს გაეცნობა საკავშირო მთავრობის დადგენილებას 1926-27 წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ეს საკონტროლო ციფრები, წარსულ წელთან შედარებით, უდიდეს მიღწევას წარმოადგენენ მთელ სამეურნეო მშენებლობაში გეგმიანობის პრინციპის გატარების მხრივ. მათში გაცილებით უფრო სრულადაა წარმოდგენილი, ვინემ შარშან, მთელი მეურნეობის ყველა ელემენტები, უფრო სისწორითაა განსაზღვრული თვითეული მათგანის ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, უფრო რეალურად და ნათლადაა დასახული მათი ჰარმონიული განვითარების პერსპექტივები. აქ ჩვენ გვაქვს არა შემთხვევითი ციფრების გროვა, არამედ სისტემა ციფრების, რომელნიც ასახვენ საბჭოთა კავშირის მეურნეობის მდგომარეობას და მისი წინსვლის ტენდენციებს. ყველაფერი ეს მოწმობს სახელმწიფოს სამეურნეო ორგანიზაციის და აპარატის გაუმჯობესებას, რის წყალობით შესაძლებელი ხდება სახალხო-სამეურნეო პროცესის დაუფლება და მისი წარმართვა ისეთი მიმართულებით, რომელიც საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

მეორე მხრივ ცხადია, რომ თვით დასაბუთებულ საკონტროლო ციფრების გამომუშავება მოსახერხებელი გახდა მხოლოდ სახალხო მეურნეობის აღორძინების და განვითარების ნიადაგზე. და მართლაც, საკონტროლო ციფრები ამ მხრივ მეტად საგულისხმო ცნობებს შეიცავენ. ქვეყნის სახალხო სიმდიდრე სამ უკანასკნელ წლის განმავლობაში გაიზარდა 65 პროცენტით. ამასთან ხაზგასამელი იქ ის არის, რომ მეურნეობის სოციალისტური სექტორი გაიზარდა შეუდარებლად უფრო სწრაფად, ვინემ კერძო კაპიტალი: 27,2--36,2 პროცენტამდე. მრეწველობაში, რომელიც საწარმოო საშუალებებს ამზადებს, კერძო კაპიტალზე მხოლოდ 2,2 პროც. მოდის; სამომხმარებლო საგნების წარმოებაში ის თანდათან ეცემა: თუ 1923-24 წ. შეადგენდა 8,8 პროც., 1926-27 წ. დავა 6,4 პროცენტამდე. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ვაჭრობაშიც იმარჯვებს სახელმწიფო და კოოპერაცია: სახკოოპერატიული ვაჭრობის როლი სამი წლის განმავლობაში გადიდდა 59,2-დან 76,3 პროცენტამდე, ხოლო კერძო ვაჭრობა დაეცა 40,8-დან 33,7 პროცენტამდე, 1926-27 წ. კიდევ დაიკლებს 2,2 პროც.

ამგვარად, სოციალისტური ელემენტების გამარჯვება მეურნეობაში უდავოა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მიღწეული შედეგები რაც შეიძლება უფრო უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ. და სწორედ ამ მხრივ საკავშირო მთავრობამ საგეგმო კომისიას მისცა მთელი რიგი დირექტივები საკონტროლო ციფრებში ცვლილებების შესატანად.

პირველი ცვლილება შეეხება საბიუჯეტო წესით მეტი თანხების გაღებას სამრეწველო მშენებლობაზე, ვინემ ეს ნაგულისხმევია საკონტროლო ციფრებში, რომელთა მიხედვით ეს თანხები უნდა გადიდებულიყო ოთხი პროცენტით. საგეგმო კომისიამ ამ შემთხვევაში გადაჭარბებული სიფრთხილე გამოიჩინა, რომელსაც საფუძვლად ედვა განვლილი წლის გამოცდილება, როცა აუცილებელი შეიქნა ფართე საწარმოო პროგრამების შეკვეცა რეალურ რესურსების სიმცირის გამო. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენ ეხლა ხელმეორედ გვაქვს კარგი მოსავალი, სახალხო სიმდიდრე უფრო გადიდდა და საერთოდ მეტი შესაძლებლობანი მოგვეპოვება სამრეწველო მშენებლობისათვის. ამასთან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის ამოცანა, მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის არსებულ შეუფარდებლობის (დისპროპორციის) დაძლევის და სამრეწველო საქონლის სიმცირის მოსპობის ამოცანა დაჟინებით გვიკარნახებს სამრეწველო მშენებლობის გაფართოვებას და ამაზე შესაძლებლობის ფარგლებში მეტ საშუალებათა გაღებას.

ამასთან დაკავშირებით დგას საკავშირო მთავრობის მეორე დირექტივა საგარეო ვაჭრობაში აქტიური ბალანსის შექმნის შესახებ, რომლის რაოდენობა უნდა აღემატებოდეს ას მილიონ მანეთს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი ზედიზედ პასიური იყო: შემოვიტანეთ უცხოეთიდან გაცილებით მეტი, ვინემ გავიტანეთ. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია, ვინაიდან ამით ჩვენ ვვარდებით უცხოეთის ერთგვარ დამოკიდებულებაში, ეს აგრეთვე სახიფათოა ჩერვონეცის კურსის განმტკიცებისათვის. საგარეო ვაჭრობის საშუალებით ჩვენ აუცილებლად უნდა შევქმნათ თავისუფალი ფონდი, რომ შეგვეძლოს საჭირო მანევრების წარმოება როგორც საზღვარგარეთთან კომერციულ ურთიერთობის, ისე სამეურნეო მშენებლობის დროს. ეს ამოცანა დიდ მოვალეობას აკისრებს იმ ორგანიზაციებს, რომელთაც საექსპორტო საქმე აბარიათ. დამამზადებელ აპარატების გამარტივება და გაიაფება, საორგანიზაციო ხარჯების შემცირება, მაღალ-ღირსების საექსპორტო საქონლის შეძენა და სხვა,—აქეთკენ უნდა იყოს მათი საქმიანობა მიმართული. სულ უკანასკნელად ჩვენი ექსპორტის რაოდენობა და ღირებულება თანდათან იზრდება, და არის საფუძველი, რომ საკავშირო მთავრობის ხსენებული დირექტივა განხორციელებული იქნება.

ამავე მიზნით სარეზერვო ფონდი უნდა შეიქნას საბიუჯეტო წესით. ეს მაშინ მოხერხდება, როცა ნაკლებს დავხარჯავთ, ვინემ შემოსავალი გვექნება. ამ მიზნით მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთელი ასი პროცენტით აკრეფა,—აი რას უნდა მიექცეს ყურადღება.

საკავშირო მთავრობა აღნიშნავს აგრეთვე საბიუჯეტო წესით სპეციალურ ფონდის გამოყოფას ღარიბ გლეხობისათვის. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ღარიბი გლეხობა პარტიის და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში დგას. მას ყოველგვარ დახმარებას აძლევს მეურნეობის ასაღორძინებლად. ეს კი ნივთიერ საშუალებებს მოითხოვს, რამაც უეჭველად სახელმწიფო ბიუჯეტშიც უნდა ჰპოვოს გამოხატულება.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ საკავშირო მთავრობამ უარყო საგეგმო კომისიის წინადადება ადგილობრივი ფინანსების შესახებ კანონის შემოღების გადადებაზე. ამას კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, რომელთა შემოსავლის წყაროები ამ კანონით ფართოვდება. ამასთან ამ კანონს საფუძვლად უდევს დეცენტრალიზაციის პრინციპი ფინანსიურ მშენებლობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის გაშლას. აქვე აღსანიშნავია, რომ საკავშირო მთავრობის დირექტივის თანახმად, იმ თანხების ნახევარი, რომელიც ამ კანონით ადგილობრივ ბიუჯეტებს ემატება, უნდა გადაიდოს ადგილობრივ მრეწველობის განვითარებაზე. მაშასადამე, მთავარი მიზანია ისევ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, კერძოდ მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია.

აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია საკავშირო მთავრობის დირექტივა ფასების დაკლებაზე, რომელიც უნდა შეეხოს როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. საკონტროლო ციფრები კი ეხლანდელ ფასებს სტოვებდენ. ჩვენი ეხლანდელი ფასები უფრო მაღალია, ვინემ მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასები, რაც ხელს უშლის ჩვენი ფულის კურსის განმტკიცებას. გარდა ამისა ფასების საკითხის მოწესრიგება აუცილებელია მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის გამაგრებისათვის. ეს აგრეთვე საჭიროა მუშათა კლასის რეალურ ხელფასის შენარჩუნების და უფრო აწევისათვის.

კიდევ უნდა აღინიშნოს საკავშირო მთავრობის დადგენილება კერძო კაპიტალის დაბეგვრის გაძლიერების შესახებ. კერძო კაპიტალი ჯერ კიდევ სუსტადაა დაბეგვრილი. მისი მრავალი საშემოსავლო წყარო ხელიდან უსხლტება საგადასახადო აპარატს. ამ მხრივ სათანადო ღონისძიებათა მიღებით უეჭველად აგრძნობითი დამატებითი საშუალებები გაუჩნდება სახელმწიფოს და კერძო კაპიტალის ზრდაც განსაზღვრულ კალაპოტში იქნება ჩაყენებული.

დაბოლოს, ყურადღება უნდა მიექცეს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, კერძოთ უნაყოფო ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირებას, რაზედაც საკავშირო მთავრობა მიგვითითებს. საკონტროლო ციფრებში კი გათვალისწინებული იყო ადმინისტრატიულ ხარჯების ზრდა 13 პროცენტით ეხლანდელთან შედარებით. ასეთ ხარჯების შესაძლებლობამდე შემცირებით განთავისუფლდება საკმაო თანხები სამეურნეო მშენებლობისათვის.

ასეთია საკავშირო მთავრობის უმთავრესი დირექტივები, რომელთა მიხედვით უნდა იქნას გადამუშავებული 1926—27 წლის საკონტროლო ციფრები. უმთავრესი აქ არის მაგარი კურსის აღება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე და ამისათვის საჭირო საშუალებათა გამონახვა. ეს ერთად-ერთი და უტყუარი გზაა შემდგომი წარმატებითი სოციალისტური მშენებლობისათვის, რომელსაც უკვე მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი.

აგრონომიული მუშაობა და კოოპერაცია

ჩვენი გლეხობა მეურნეობის წარმოების ახალი წესების ძიებაშია. ყოველი ახალი მანქანა, ყოველი ტეხნიკურ აღმოჩენა და გაუმჯობესება სოფლის მეურნეობისა, გლეხობის დიდ ყურადღებას იპყრობს.

რევოლიუციამ ამ მხრივაც დიდი გარდატეხა და გავლენა მოახდინა გლეხობაზე, რომელიც უკვე ხედავს ძველი მამაპაპური გუთნისა და სახნის-კავის უვარგისობას და შეუფერებლობას ჩვენი დროის პირობებთან, გრძნობს მეცნიერულ აგრონომიასთან მჭიდროთ დაკავშირების აუცილებლობას. რევოლიუციამ არსებითად შესცვალა მიწათმფლობელობის ფორმები, მისივე გავლენით იცვლება და უმჯობესდება მიწათმოქმედების წესებიც.

ამის უტყუარი მაჩვენებელია მოთხოვნილების ზრდა ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებზე, საწამლო ხსნარზე (შაბიამან-გოგირდი), საუკეთესო თესლეულობაზე, ჯიშიან საქონელზე და სხვა. ამ მისწრაფებას რომ სწორი მიმართულება მიეცეს და სისტემატიური ხელმძღვანელობა გაეწიოს, საჭიროა აგროდახმარების გაფართოება.

ამ მიზნით ჩვენ გვყავს აგრონომთა შტატი ცენტრში და ადგილებში, გვაქვს საცდელი და საჩვენებელი დაწესებულებები, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა. მაგრამ მათი რიცხვი და საშუალებები არც ისე დიდია, რომ საკმაო იყოს მხოლოდ მათზე დამყარება. ამ დაწესებულებათა გამრავლება კი დღევანდელ პირობებში არც ისე ადვილი საქმეა. მიუხედავათ ამისა აგრონომიული დახმარების გაფართოება და გლეხობასთან აგრონომიული პერსონალის უფრო მეტი დაახლოება აუცილებელია. ამას მოითხოვს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების და განვითარების ინტერესები.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ, რა გზა უნდა გამოვნახოთ გლეხობის აგრონომიული დახმარებით უზრუნველყოფისთვის, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გაძლიერებისთვის?

საიმედო გზა არის აგრონომიული დახმარების და აგრონომიული პერსონალის უფრო მეტი დაკავშირება კოოპერატიულ მუშაობასთან, პირველად ყოვლისა სასოფლო - სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის საქმიანობასთან. ამ გზით ვითარდება და ფართოვდება რუსეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია და ამავე გზით უნდა წავიდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღორძინება და განვითარება.

მსხვილ კოოპერატიულ ორგანიზაციას, თუ ამის საშუალება აქვს, თვითონაც უნდა ყავდეს აგრონომი, რომელიც დახმარებას გაუწევს მის წევრებს და კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობის მკვიდრ საფუძველზე დაყენებასაც შეუწყობს ხელს. შეიძლება ერთ რაიონში მომქმედ ორი თუ სამი კოოპერატივის შეამხანაგება და საერთო საშუალებებით აგრონომის მოწვევა და აგრიკულტურული მუშაობის მოწყობა.

სამწუხაროთ, ჩვენში ასეთ მაგალითებს ვერ ვხედავთ, მხოლოდ წარმოკავშირს (ერთ დროს ცეკავშირსაც) ყავდა აგრონომთა შტატი, რომელიც შეძლებისამებრ დახმარებას უწევდა ძირითად სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს. ამჟამათ ასეთიც აღარ არსებობს და არსებული კოოპერატიული ორგანიზაციები მოკლებული არიან კოოპერატიული ცენტრიდან აგრონომიული დახმარების და სათანადო რჩევა-დარიგების მიღების საშუალებას.

ამიტომ დღეს მით უფრო საჭიროა მიწადმოქმედების კომისარიატის და ადგილობრივ აღმასკომების განკარგულებაში მყოფ აგრონომების მეტი დაახლოება არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან. სასოფლო - სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის მიზანია სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება და მისი შემოსავლიანობის გადიდება. ამავე მიზანს ისახავს აგროდახმარების ორგანიზაციაც. ამიტომ აგრონომიული მუშაობის დაკავშირება სასოფლო - სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის საქმიანობასთან სასარგებლო და საჭიროა ორივე მხარისთვის.

აგრონომისთვის ძნელია რჩევა-დარიგების მიცემა და ხელმძღვანელობის გაწევა ცალკე გლეხისთვის. გლეხთა კოოპერატიული გაერთიანება კი მეტად აადვილებს, მეტ საფუძველს და შინაარსს აძლევს აგრონომის მუშაობას. გლეხთა კოოპერატიული ამხანაგობა უფრო მტკიცე და საიმედო დასაყრდენობს წარმოადგენს ყოველგვარ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარების დროს ამა თუ იმ რაიონში. კოოპერატივის გამგეობა და აგრონომი ერთმანეთის დამხმარე და მოკავშირე უნდა გახდენ. ამით დიდათ მოიგებს გლეხობისათვის აგროდახმარების აღმოჩენის საქმეც და კოოპერატიული მუშაობაც.

აგრონომთა საუკეთესო ნაწილს ეს კარგათ ესმის და ისინი კიდეც ჩაბმული არიან კოოპერატიულ საქმიანობაში. მაგრამ ყველგან ასე არ არის. ბევრ ადგილებში აგრონომები და კოოპერაციის მუშაკები გვერდს უვლიან ერთიმეორეს, არავითარი კავშირი მათ შორის არ არსებობს და ამით მეტად ბრკოლდება ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმე.

ავიღოთ თუ გინდ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები, რომელთა რიცხვი ჩვენში 40-დე აღწევს და რომლებში გაერთიანებულია უმთავრესად ღარიბი გლეხობა. სამწუხაროდ, თითქმის არც ერთი მათგანი არ არის უზრუნველყოფილი აგრონომიული დახმარებით. საკუთარი აგრონომების დაქირავება მათ არ შეუძლიათ, ადგილობრივი სამაზრო და სარაიონო აგრონომები კი ნაკლებათ ან სრულებით არ იცნობენ მათ საქმიანობას. სასოფლო - სამეურნეო კოლექტივებს კი დიდი მნიშვნელობა აქვთ მეურნეობის გაუმჯობესების და გარდაქმნის საქმეში. ისინი წარმოადგენენ ტეხნიკურათ გაუმჯობესებულ, მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების ჩანასახებს. აგრონომი უახლოეს მონაწილეობას უნდა იღებდეს მათ მუშაობაში, მათი საშუალებით მას შეუძლია შესაფერი ზეგავლენა მოახდინოს დანარჩენ გლეხობაზეც, თავის ცოდნა-გამოცდილებით და ხელმძღვანელობით მას შეუძლია უზრუნველყოს სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცება. თავის მხრივ კოოპერაციის მუშაკები და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების წევრებიც უნდა შეეცადონ აგრონომების ჩაბმას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, მათ უნდა შექმნან აგრიკულტურული მუშაობისთვის შესაფერისი პირობები.

ჩვენი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება და კოლექტიურ საფუძველზე მისი გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ კოოპერატიული საქმიანობის და აგრონომიული მუშაობის დაკავშირებით. რევოლიუციის მიერ გამოღვიძებული მშრომელი გლეხობის ინტერესები მოითხოვენ კოოპერაციის და საბჭოთა აგრონომიის კავშირის განმტკიცებას.

ი. ბუაჩიძე.

საერთაშორისო პროფმოძრაობის მეოთხედი საუკუნე

1901—1926 წ.

(„პრავდა"-ს მეთაური წერილი)

საწარმოო ძალების დიდმა ზრდამ წარსული საუკუნის მიწურულში, კაპიტალიზმის გადასვლამ მის უმაღლეს ფინანსიურ-კაპიტალისტურ ფაზაში და მსოფლიოს გაყოფამ მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის გამოიწვიეს ის, რომ დედა-მიწა გადაიქცა მთლიან სამეურნეო ერთეულად, რომლის ცალკე ნაწილებიც ეკონომიურად ერთი მეორესაგან დამოკიდებული გახდნენ და ის, რომ შეიქმნა მსოფლიო მეურნეობა.

მაგრამ სამრეწველო ძალთა იმავე მძლავრმა გაქანებამ, იმპერიალისტური კაპიტალიზმის გამარჯვებამ და ცალკე სახელმწიფოებს შორის კავშირის განმტკიცებამ გამოიწვიეს ის, რომ სხვადასხვა ქვეყნების რიცხვობრივად არაჩვეულებრივად გაზრდილმა პროლეტარიატმა იწყო ლტოლვა მის განცალკავებულ ნაციონალურ ძალების გაერთიანებისაკენ ერთ მთლიან ინტერნაციონალურ ერთეულში.

მუშათა სწორი კლასიური ინსტინქტით ნაკარნახევმა ლტოლვამ მთლიანობისაკენ გამოხატულება ჰპოვა პროფკავშირულ საერთაშორისო ორგანოს შექმნაში. 1901 წ. დაარსდა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანება.

პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ვერ უწოდებდით საერთაშორისო, პროფკავშირებში გაერთიანებულ პროლეტარიატის ხელმძღვანელ შტაბს. ის, უპირველეს ყოვლისა, არ იყო სრული. ის იყო კონტინენტალური ევროპიული გაერთიანება, და თვით ევროპის სახელმწიფოებიდან ბევრი არ შედიოდა მასში მეორე გაერთიანება ატარებდა, უმთავრესად, ფორმალურ ხასიათს: ნაციონალურ სექციებს დიდი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, პროფმოძრაობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხები მათ მიერვე წყდებოდა და საერთაშორისო ცენტრიდან არ ყოფილა პროფმოძრაობის ფაქტიური ხელმძღვანელობა. ნაციონალური განკერძოების დაღი თავიდანვე ემჩნეოდა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებას.

ოპორტუნიზმის სენი ჯერ ომამდე ადრე შეიჭრა პროფკავშირების ინტერნაციონალის რიგებში. მეოცე საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის სწრაფი გაფურჩქვნით აღზრდილმა ეგრედ წოდებულმა „მუშათა არისტოკრატიამ", გამოჰყო ისეთი ბელადები, რომლებმაც შემდეგ დაიწყეს ბრძანებლობა პროფკავშირების ინტერნაციონალში. საერთაშორისო გაერთიანება გადაიქცა ფარული ბრძოლის არედ ნაციონალურ სექციებს შორის. ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი თანდათან იდევნებოდა „საკუთარ სამშობლოს" ინტერესების დაცვით. პროფკავშირების ინტერნაციონალის ზემო ნაწილი ამაყობდა თავისი „ნეიტრალიზმით" და დაუდევარი დამოკიდებულებით პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლასთან: პოლიტიკა, თუ მკითხავთ, პარტიების საქმეა და არა პროფკავშირებისო.

პროფკავშირების ინტერნაციონალის საუკეთესო რევოლიუციონურ ელემენტებისათვის თავიდანვე ნათელი გახდა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების რეფორმისტული კურსი.

პროფკავშირების ინტერნაციონალის ოპორტუნისტული გადაგვარება ვითარდება იმავე ლოღიკით, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული გადაგვარება. მსოფლიო ომის გამოცხადების მომენტისათვის პროფკავშირების ბელადები ისევე „მომწიფდნენ" ღალატისათვის, როგორც სოციალისტური პარტიების ბელადები. მსოფლიო ომი იყო პროფკავშირების ინტერნაციონალის სამარცხვინო გაკოტრება. ცალკე ქვეყნების პროფკავშირული ორგანიზაციები შეედულენ „თავის საყვარელ სამშობლოს" სახელმწიფო-მილიტარისტულ აპარატს. ყველა ქვეყნების ბ-ნი ლეგინები გადაიქცნენ ადამიანის ხორცის მიმწოდებლებათ იმპერიალისტურ სასაკლაოზე.

დასრულდა ომი. საერთაშორისო პროფბიუროკრატიის იეზუიტებმა, „მეგობრებმა" და მტრებმა, კვლავ გაუწოდეს ერთი მეორეს სისხლში დასვრილი ხელები. 1919 წელს დაიბადა ვერსალის პირმშო შვილი—ამსტერდამის ინტერნაციონალი.

ეხლა ამსტერდამის ინტერნაციონალი დღესასწაულობს საერთაშორისო პროფმოძრაობის ოცდახუთი წლის თავის, ცხადია, ყველაფერ იმას, რაც წინა ამსტერდამის ინტერნაციონალში იყო ოპორტიუნისტული, რეფორმისტული და ბინძური, ამსტერდამელები მემკვიდრეობით ჩაიბარებენ. მათ აქვთ უფლება მოიგონონ წარსულის რეფორმისტული ნამოღვაწევი. ამსტერდამელებს უფლება აქვთ იდღესასწაულონ ბრძოლის ის გმირობანი, რომლებიც ჩადენილ იქნა პროფკავშირულ „რაინდების" მიერ 1914 წლის 4 აგვისტოს. მაგრამ თავისი არსებობის 7 წლის განმავლობაში ამსტერდამელებმა საკმაოდ ბევრი გააკეთეს.

ამსტერდამი გადაიქცა კაპიტალისტური ერთა ლიგის დასაყრდენად და დამატებად. ერთა ლიგასთან არსებობს ამსტერდამის საერთაშორისო შრომის ბიურო. ამსტერდამელები ამ 7 წლის განმავლობაში ღირსეულად ებრძოდენ კომინტერნს, პროფინტერნს, ოქტომბრის რევოლიუციას და ბოლშევიზმს. ამსტერდამელები პროფკავშირებიდან ერეკებოდენ მუშა-კომუნისტებს და ამით ეხმარებოდენ კაპიტალისტებს, რომლებიც უმკლავდებოდნენ კომუნისტებს და ერეკებოდენ მათ ქუჩაში. ამსტერდამელები მედიდურად ეპყრობოდენ ჩამორჩენილ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშებს. ამსტერდამელებმა ზურგი შეაქციეს ნაციონალურ განმანთავისუფლებელ ბრძოლას ჩინეთში. ამსტერდამელებმა არა თუ არ გაუწიეს წინააღმდეგობა კაპიტალის იერიშს მუშათა კლასზე, არამედ, პირიქით, გახდენ ამ იერიშის აქტიური მონაწილენი. ამსტერდამელებს ახლა შეუძლიათ ღირსეულად „იდღესასწაულონ" რვა საათის სამუშაო დღის ჩაშლა ევროპაში. ამსტერდამელები აკეთებდნენ და აკეთებენ კიდეც კაპიტალისტური სტაბილიზაციის საქმეს. ამსტერდამელებმა თითიც კი არ გაანძრიეს, როცა გაჩაღდა საყოველთაო გაფიცვა. თავისი საბოტაჟი სამთა-მადნო მუშათა ბრძოლაში მათ დააგვირგვინეს მევახშური სესხით.

განა გასაკვირია ყველაფერ ამის შემდეგ ის, რომ „იუბილიარებს" ბურჟუაზიული პრესა უგზავნის მხურვალე მისალმებებს? განა საზიზღარი ხვევნა-კოცნა ამსტერდამელ ლეიპარტისა და გერმანელ ფაბრიკანტ—ზილვერბერგისა არ წარმოადგენს მგრძნობიერ სიმბოლიურ საჩუქარს ამსტერდამის ინტერნაციონალისათვის.

მიუხედავათ პროფკავშირების ყოველგვარი სისუსტისა და სნეულებისა ომამდე, მიუხედავათ პროფკავშირების ინტერნაციონალის გაკოტრებისა ომის დროს, მიუხედავათ ამსტერდამელების სამარცხვინო საქმიანობისა, მსოფლიო მუშათა მოძრაობამ ამ მეოთხედ საუკუნეში გიგანტიური ნაბიჯი გადადგა წინ. დაიბადა პირველი მსოფლიოში საბჭოთა რესპუბლიკა. 1920 წელში დაიბადა პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალი. ჩაისახა და ენერგიულად იზრდება პროფმოძრაობა აღმოსავლეთში. პროფინტერნი გახდა პროფკავშირების ყველა რევოლიუციონურ ელემენტების გამაერთიანებლად. ამსტერდამის შიგნით ყოველწლობით სულ უფრო და უფრო იზრდება ყვითელი ზედაფენის მძლავრი ოპოზიცია. ამსტერდამის ხელმძღვანელობა მასებზე სულ უფრო და უფრო სუსტდება.

მუშათა კლასში ცოცხლობს ლტოლვა პროფკავშირების საერთაშორისო მთლიანობისაკენ ბელადების ვერავითარი ცდა და ხრიკები ვერ ჩაჰკლავენ პროლეტარიატის კლასიურ ნებისყოფას. თუ საერთაშორისო პროფრეფორმიზმი ახლა ზეიმობს თავის ქორწინებას ბურჟუაზიასთან, თუ ამსტერდამელ გამთიშველების ნებით არ არის დღეს საერთაშორისო მთლიანი მოძრაობა. მით უფრო მძლავრად უნდა გაისმას ქვეყნად, ყველა პატიოსან პროლეტარების ხმა.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობას.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 21 სექტემბერი.

კანტონის არმია რეაქციის წინააღმდეგ

უ-პეი-ფუს ჯარები განაგრძობენ უკან დახევას

საბჭოთა კავშირი არ ერევა ჩინეთის შინაურ საქმეებში

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ ჩინელ მშრომელ ხალხს

მუკდენის თავხედობა

პეკინი, 20 სექტემბერი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზაზე მომხდარ ამბების გამო ჩან-ძო-ლინის მიერ პეკინის მთავრობისათვის გაგზავნილი პასუხის შესახებ საბჭოთა საელჩო იტყობინება შემდეგს: **„ჩან-ძო-ლინის ბრძანება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის გემების გატაცების შესახებ წარმოადგენს მუკდენის შეთანხმების უხეშ დარღვევას, რადგან ქონებრივი უფლება ძველებურად საბჭოთა კავშირს ეკუთვნის.** მხოლოდ გზის მმართვასა და მოგების განაწილებაში ორივე მხარეა მონაწილე.

რაც შეეხება ამბავს 11 ნავის შესახებ, მუკდენის მთავრობას შეუძლია ამ საკითხის აღძრა ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით. მტკიცება იმისი, თითქოს გემების გატაცება მოსწონებოდეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის გამგეობას, აბსოლიუტურად სწორი არ არის,—**გამგეობის 27 აგვისტოს სხდომაზე, საბჭოთა ნაწილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მუკდენის ბრძანება უკანონოა.**

შემდეგ, ბრძანება სასწავლო განყოფილების დახურვის შესახებ არღვევს რკინის გზის როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ პირის უფლებებს, რკინის გზას ყველგან და ყოველთვის ჰქონდა საკუთარი სასწავლებლები. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ჩინეთის სუვერენიტეტის დარღვევა, რადგან ჩინეთის მთავრობას რჩება კანტროლისა და ზედამხედველობის უფლება. **ამ ბრძანების ნამდვილ მიზეზს, როგორც ჩანს, წარმოადგენს უცხოელთა კონსულების უკმაყოფილება ხარბინში.** როგორც ამას ჩან-ძო-ლინი აღნიშნავს. აშკარად გამოცხადება იმისა, რომ მუკდენის პოლიტიკა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის მიმართ ეთანხმება უცხოელ კონსულების სურვილს,—ჩვენთვისაც კი ახალია. უკვე აღარ ღირს ლაპარაკი იმის შესახებ, ეთანხმება თუ არა კონსულების მოთხოვნილება ჩინეთის ინტერესებს და მანჯურიის ახლობელ ინტერესებს ამ მომენტში.

ჩინეთის კაბინეტის გადადგომა

პარიზი, 21 სექტემბერი. პეკინიდან მიღებული ცნობით ჩინეთის მთავრობა კოლექტიურად გადადგა.

ინგლისის გემები

პეკინი. 20 სექტემბ. **პეკინის მთავრობამ მოსთხოვა ინგლისის საელჩოს, რომ ინგლისის გემები აღარ გაიგზავნოს მდინარე იან-ცზი-ცზიანის ზემო რაიონში**, რადგან ეს უფრო გაართულებს მდგომარეობას. მთავრობამ აგრეთვე, წინადადება მისცა გენერალ იან სენს დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისის ამირბართან დაკავებულ ინგლისურ გემების განთავისუფლების შესახებ.

უ-პეი-ფუ უკან იხევს

ბერლინი, 21 სექტემბერი. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ჩინელები დათანხმდენ დააბრუნონ უკანვე ინგლისის გემები. გაზეთი შემდეგ აცხადებს, რომ **უ-პეი-ფუ განაგრძობს უკან დახევას. მის ჯარში გაძლიერებულია დეზერტირობა.**

ყვავს თავისი ბარხალა მოსწონს

პეკინი, 20 სექტემბერი. „**ნორდ ჩაინა სტანდარტ**"-ის წარმომადგენელთან საუბარში ჩან-ძო-ლინის ინგლისელმა მრჩეველმა, გენერალ **სეტტონმა** განაცხადა: „შექმნილ მდგომარეობას მუკდენში ძალიან სერიოზულად ეკიდებიან. **კანტონელები მშვენივრად შეიარაღებული, გაწვრთნილი არიან.** ახლა ისინი პეკინისაკენ მიეშურებიან. სახალხო არმიები, კანტონელებთან კავშირით გაძლიერებულნი ყველა ღონისძიებას ხმარობენ, რომ შეუერთდენ კანტონის ჯარებს კუბეის პროვინციაში.

შემდეგ სეტტონი სცდილობს სამხრეთელების სახალხო არმიებზე „მოსკოვის ხელმძღვანელობის" დამტკიცებას, და ამბობს, რომ ჩინეთმა „ანგარიში უნდა გაუწიოს საშიშროებას საბჭოთა საზღვრებიდან". ერთად-ერთი ღონისძიება, რომელიც რაც შეიძლება ჩქარა უნდა განხორციელდეს, განაგრძობს სეტტონი,—არის ჩან-ძო-ლინისა, უ-პეი-ფუს და სუან-ჩან-ფანის ძალების გაერთიანება სამხრეთელებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, **რომლებიც ტრიუმფალურად მიიწევიან წინ.** ასეთი საერთო კამპანიის დაწყება ჩრდილოეთიდან დიდი ღირებულების მატარებელია, მაგრამ ყველა ჩრდილოელთა გაერთიანება ერთად-ერთი ხსნა იქნება არა მარტო ჩინეთისა, არამედ უცხოელთა სახელმწიფოებისათვისაც. ერთად-ერთ პიროვნებას, რომელსაც შეეფერება სათავეში ჩაუდგეს ჩინეთის ხელისუფლებას,—წარმოადგენს ჩან-ძო-ლინი.

მდგომარეობა იან-ცეს სათავეში

ლონდონი, 21 სექტემბერი. გონკონგიდან მიღებული უახლოესი ცნობების მიხედვით, მიუხედავათ იმისა, რომ შესწყვიტეს სროლა უცხოელთა გემებიდან და იან-ცეზე შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა, მდგომარეობა ჩუნცინში, იან-ცეს სათავეებში გამოურკვეველია. მოსალოდნელი ექსცესების თავიდან ასაცილებლად ინგლისის ქვეშევრდომი ქალები და ბავშები მოათავსეს გემებზე.

მოლაპარაკება იან-სენსა და კრემერს შორის

ლონდონი, 21 სექტემბერი. იან-სენის მიერ წართმეულ გემების დაბრუნების შემდეგ სწარმოებს მოლაპარაკება იან-სენსა და კრემერს შორის ხანკოუსა და ჩუან-ცინის ინგლისის კონსულების თანდასწრებით.

იხილავენ იმ გარემოებას, რომლის დროსაც ხელში ჩაიგდეს ორი გემი. მოსალოდნელია, რომ მოსთხოვენ იან-სენს გარანტიას, რომ შემდეგში არ გაიმეოროს ასეთი მტაცებლობა.

არეულობა ჩუნ-ცინში

ლონდონი, 21 სექტემბერი. იუწყებიან ჩუნ-ცინში მომხდარი არეულობის შესახებ. მიუხედავათ ამისა უცხოელები არ დაზარალებულან. ქალები და ბავშები გაგზავნეს გემებზე.

საბჭოთა კავშირის პოზიცია

შანხაი, 20 სექტემბერი, „**ჩაინა პრესს**"-ის წარმომადგენელთან საუბარში **კარახანმა**, რომელიც ამჟამად შანხაიში იმყოფება, განაცხადა:

„საბჭოთა კავშირის პოზიცია ჩინეთის მიმართ გამომდინარეობს თვით საბჭოთა სისტემიდან. ოქტომბრის რევოლიუციამ გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე მრავალი ერი. **ვსპობთ რა ნაციონალურ ჩაგვრას ჩვენს საზღვრებს შიგნით, ჩვენ არ შეგვიძლია ნაციონალური ჩაგვრის წარმოება ჩვენს საზღვრებს გარეთ.**

ჩვენი საქმე არაა აქ ბრძოლა. ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ კიდეც, თუ ეს საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. **ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ჩვენი ინტერესების დაცვა უცხოელთა მჩაგვრელობის წინააღმდეგ.** შეიძლება, ჩვენმა მაგალითმა გაამხნევოს ჩინელები მათ ბრძოლაში. **მათ ჩვენ სხვა ვერაფრით ვერ დავეხმარებით".**

გავრცელებულ ხმების შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი ამუნიციითა და ფულით ეხმარებოდეს ფინ-იუ-სიანსა და კანტონს, კარახანმა განაცხადა: „**ამ ხმებს ავრცელებენ საბჭოთა კავშირის მტრები.** კატონს დახმარება გაუწიეს მხოლოდ რუსეთის ფინანსიურმა მრჩეველებმა ფინანსების რეორგანიზაციის საქმეში. ეს იყო ერთადერთი დახმარება. **ხმები კანტონის გასაბჭოების შესახებ—სრული სიცრუეა. არავითარ საბჭოთა ხაზს არ ატარებს კანტონის მთავრობა".**

ამერიკის ელჩის განცხადება

შანხაი, 20 სექტემბერი. ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი — მაკ-მურეიმ, რომელიც ჩამოვიდა შანხაიში, ამერიკულ კლუბში გამართულ სადილზე განაცხადა: „**ჩემი ინსტრუქციები ისეთია, რომ მე უნდა შეურიგდე განსაკუთრებულ უფლებების არსებობას.** როგორც აუცილებელ ბოროტებას. შეერთებული შტატები უცდიან იმ დროს, როცა შესაძლებელი გახდება ამ უფლებებზე ხელის აღება.

საპროტესტო მიტინგი

პეკინი, 20 სექტემბერი. მდინარე იან-ცზი-ცზიანზე მდებარე **რუნ-ცინში** (სი-ჩუ-ანის პროვინცია) **გაიმართა საპროტესტო მიტინგი ვან-სიანში ინგლისელების მიერ მოწყობილ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. მიტინგში მონაწილეობას ღებულობდა 30.000 კაცი.** მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მდინარე იან-ცი-ცზიანზე მავალ ინგლისურ გემების განიარაღებას, ამ მდინარეში ინგლისურ გემების არ შეშვებას, პროვინციაში მცხოვრებ ყველა ინგლისელ ქვეშევრდომთა გაძევებას და მათი ქონების კონფისკაციას იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ვანსიანის ბრძოლამ მიაყენა ჩინელებს.

ინგლისის ახალი ელჩი

ლონდონი, 21 სექტემბერი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მრჩეველი მაილს ლემფსონი დანიშნეს ელჩათ პეკინში მაკ-ლეიას მაგივრად.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკ.-გზ. გარშემო

მოხელემაც კი შეიგნო

ხარბინი, 20 სექტ. **აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის გამგეობის თავმჯდომარე ლიუ-შან-ცინი გადადგა.** მის მაგივრათ ნიშნავენ ყოფ. მთ. მართებელს ხარბინში იუ-ჩუნ-ხანს, რომელიც ჩან-ძო-ლინის დიდი ნდობით სარგებლობს. **ლიუ-შან-ციანის გადადგომა გამოწვეულია იმით, რომ მას უთანხმოება ჰქონდა ჩან-ძო-ლინთან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის** საკითხის შესახებ. ლიუ-შან-ცინი წინააღმდეგი იყო ჩან-ძო-ლინის პოლიტიკისა, ე. ი. მისი აზრით, სამხედრო პირები არ უნდა ჩარეულიყვენ რკინის-გზის მმართველობის საქმეში.

სოვრასოვის განცხადება

ხარბინი, 20 სექტემბერი. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის-გზის გამგეობამ ბანკეტი გაუმართა სამხრეთ-მანჯურიის რკინის-გზის თავმჯდომარის ამხანაგს **ოდა-ირას. ბანკეტზე ოდა-ირამ გამოსთქვა** იმედი თანამშრომლობის დამყარებისა ორთავე გზას შორის.

ოდა-ირას სიტყვის საპასუხოდ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის თამჯდომარის ამხანაგმა **სოვრასოვმა** სთქვა: **რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის-გზა დიდი ხანია თანახმაა დაიწყოს საქმიანი თანამშრომლობა სამხრეთ-მანჯურიის რკინის-გზასთან**

ფინანსების ძებნაში

ხარბინი, 20 სექტემბერი. პრესა იუწყება, რომ საფრანგეთის ელჩმა ჩინეთში **მარტელმა** მუკდენში ჩასვლისას ჩან-ძო-ლინთან ერთად განიხილა საკითხი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ.-გზისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ. პრესა აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფინანსიური შეთანხმება მოხდება მუკდენისა პარიზთან, იაპონია ამას დუმილით არ შეხვდება და მანჯურიის ამბებს მის ყურადღებას მიიპყრობს

ჩან-ძო-ლინის „განმარტება"

პეკინი, 20 სექტემბერი. უცხოეთის პრესის ცნობით, პეკინის მთავრობის შეკითხვაზე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზაზე მოქმედების შესახებ, ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის-გზამ დაარღვია მუკდენის შეთანხმება. მან არ გააუქმა ზღვაოსნობის განყოფილება, რომელსაც 1924 წ. იანვარში მიეცა ბრძანება, რომ შეეწყვიტა თავისი არსებობა. ამ განკარგულების საპასუხოდ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონფისკაცია უყვეს 11 ბარჟას ვლადივასტოკში. საკითხი საბოლოოდ გადაწყდება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საბჭოთა მთავრობა მოაგვარებს ბარჟების კონფისკაციის საკითხს.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის - გზის სკოლების გამგებლობა მათ ჩამოერთვათ იმიტომ, რომ ისინი კომუნიზმის პროპაგანდას აწარმოებდენ, **რამაც საყვედური გამოიწვია კონსულთა კორპუსის მხრივ ხარბინში.**

დასასრულ პრესა აცხადებს, რომ ჩან-ძოლინმა უარჰყო საბჭოთა მთავრობის ნოტა და მოითხოვა, რომ პეკინის მთავრობამ უარჰყოს საბჭოთა მთავრობის არგუმენტები ამ საკითხის შესახებ.

გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა

გერმანიის პირობები

ლონდონი, 21 სექტემბერი. გაზეთ „დეილი მეილი"-ს ცნობით ბრიანს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა პუანკარესთან თავის მოლაპარაკების გამო შტრეზემანთან შესაძლებელ შეთანხმებების შესახებ, რომელიც იქნებოდა საფუძველი სამხედრო ვალების საკითხის საერთო გადაწყვეტისათვის.

ბრიანის მოხსენება

პარიზი, 21 სექტემბერი. ბრიანმა მინისტრთა საბჭოში მოხსენება გააკეთა შტრეზემანთან საუბრის შესახებ.

მთავრობამ ერთხმად გამოსთქვა აზრი მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

კონფერენციის წინ

პარიზი, 21 სექტემბერი. ჟენევის გაზეთების ცნობით, **ოქტომბრის დასაწყისში ლუშერი ჩავა ბერლინში.** მისი ჩასვლის მიზანია საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების მომზადება, რომელიც გაგრძელდება ბაზელისა ან კელნის ცალკე კონფერენციაზე.

შტრეზემანის მოთხოვნილებები

პარიზი, 20 სექტემბერი. პრესა იუწყება, რომ **შტრეზემანმა ბრიანთან შეხვედრის დროს მოითხოვა სეინის ოლქის ევაკუაცია, სამხედრო კონტროლის შეწყვეტა და აგრეთვე გერმანიისათვის მანდატის მიცემა კოლონიებზე.**

შეიძლება კომპანიონების არჩევა, სწერს ამის გამო „**მატენი**", მაგრამ როცა არჩევანი მომხდარია, არ შეიძლება მათი საკუთრების დაკავება გარანტიის სახით. საფრანგეთი უკვე შესდგა გერმანიასთან დაახლოების გზაზე, ამ დაახლოებიდან საფრანგეთს შეუძლია მიიღოს არა მარტო ეკონომიური სარგებლობა: გერმანიასთან ერთად მას შეუძლია მიაღწიოს საკავშირო ვალების გაუქმებას. ამ გზით სურთ სვლა ორთავე მინისტრს.

ფეიქართა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. **ამერიკის შრომის ფედერაციამ ოფიციალურად თავის ხელში აიღო ნიუ-ჯერსის შტატში ფეიქართა გაფიცვის ხელმძღვანელობა.** ამავე დროს ალბერტ ვეისმორდმა, რომელიც უორკერს-პარტიის წევრია და გაფიცვის მომწყობია, ნებაყოფლობით უარი სთქვა გაფიცვის ხელმძღვანელობაზე. როგორც იუწყებიან, ამერიკის შრომის ფედერაციამ პირობის სახით მოითხოვა ვეისმორდის გაგდება, რათა ამის შემდეგ გაფიცულებისათვის შესაძლო გახდეს დახმარების აღმოჩენა.

ქარიშხალი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. **ქარიშხალმა, რომელმაც ფლორიდის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში გადაიარა, იმსხვერპლა 1000-დე მეტი ადამიანი. დაჭრილ იქნა რამოდენიმე ათასი, სახლკარი დაეღუპა 40.000 კაცს.**

ნივთიერი ზარალი 125 მილ. დოლარს აღემატება. ყველაზე უფრო დაზარალდა ქალაქი **მიამი**, სადაც დაიხოცა 500 კაცი და ათასობით დანგრეულ იქნა სახლები, რამდენიმე ქალაქი სრულიად დანგრეულია.

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. 19 სექტემბერს ფლორიდის სამხრეთ-ნაპირებზე გაიარა გრიგალმა, დაიღუპა 500 კაცი. წინასწარი გამოანგარიშებით, **ზარალი უდრის დაახლოებით 100 მილიონ მანეთს.**

სტიქიური კატასტროფის შედეგები

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. მიღებული ცნობების თანახმად ფლორიდაში დიდი ურაგანის მიერ გამოწვეული უბედურება გრანდიოზული სტიქიური კატასტროფის ხასიათისაა. ურაგანის მიერ განადგურებული რაიონი შეიცავს 137 კვად. მილს და არის ერთი საუკეთესო კუთხე ეგრეთ წოდებულ ამერიკის რივიერის. მასში შედის შემდეგი ქალაქები: მიამი, ხოლიუვუდი, ფორტი, დაუდერდეილი, კლიუისტონი, კურხევანი და სხ.

მიამში მოკლულთა რიცხვი უდრის 800 კაცს; უსახლკაროდ დარჩა 38,000 კაცი. მდინარე მიამის გემები ჩაძირულია. ხიდები და რკინის გზის ლიანდაგი დანგრეულია, ხოლო ტელეფონის მავთულები დაწყვეტილია ნიაღვარით. ხალხი სანთლებით ხელში დაეძებს თავის ახლობელთა გვამებს. მოსახლეობა განიცდის სანოვაგის საშინელ ნაკლებობას. ლტოლვილები, რომლებიც სასწრაფო მატარებლით ჩამოვიდენ ჯენსონვილში, ამბობენ, რომ მიამში ზღვის ტალღამ გამოისროლა პარკში რამოდენიმე ნავი, მოზრდილი გემები და ერთი ნაღმოსანი, რომელიც ნავთსადგურში იდგა. გრიგალმა გადიარა მექსიკის ყურეზე. მსხვერპლის შესახებ იქიდან ჯერ ცნობები არ არის.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 20 სექტემბ. **20 სექტემბერს გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია დაბრუნდა ჰამბურგში, სადაც მას შეხვდენ 10.000 მუშები, რომლებმაც დელეგაციას გაუმართეს ოვაციები,** ჩინეთის ამბები.

წყლის ნაყვა

განიარაღების კონფერენცია

ბერლინი, 21 სექტემბერი. „**ტაიმსის**" ცნობებით, ესპანეთი მონაწილეობას მიიღებს განიარაღების მომავალ კონფერენციაში მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ერთა ლიგაში არ შედიან, მაგ. ამერიკა, მიიღებენ მონაწილეობას.

საკითხები გადადებულია

პარიზი, 21 სექტემბერი. „**ჟურნალ**"-ს მიერ ჟენევიდან მიღებული ცნობებით, **საკითხები**, რომლებიც ხანგრძლივ დებატებს მოითხოვენ, **გადადებულ იქნენ. ფიქრობენ, რომ ერთა ლიგის სესია დასრულდება 8 დღის შემდეგ.**

მემარჯვენე გაზეთები ამბობენ, რომ მარტო გერმანია მოიგებს საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებით, ხოლო საფრანგეთის მოგება ჯერ-ჯერობით საეჭვოა.

განიარაღების კონფერენციის მოწვევისათვის

პარიზი, 21 სექტემბერი. განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში, მიუხედავათ იტალიის წინააღმდეგობისა, იაპონიამ, ინგლისმა და შვეიცარიამ მიიღეს საფრანგეთის წინადადება-დადგენილება განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ ერთა ლიგის მომავალ სესიის მოწვევამდე.

საგანგებო უფლების გაგრძელება

ლონდონი, 21 სექტემბერი. ფიქრობენ, რომ პარლამენტს მოიწვევენ ხელახლად მომავალ ორშაბათს იმ მიზნით, რომ გააგრძელოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულობა. პარლამენტი მოისმენს პრემიერის მოხსენებას კონფლიქტის შესახებ სანახშირო მრეწველობაში.

ანტი-ფრანგული დემონსტრაციები

პარიზი, 21 სექტემბერი. მიუხედავად ყველა დეპეშებისა და ტელეფონით ღალაპარაკების სასტიკი ცენზურისა, „**ტრიბუნამ**" **მიიღო ცნობები ფლორენციაში მომხდარ ანტი-ფრანგული გამოსვლების შესახებ.**

ფაშისტების ბრბომ იერიში მიიტანა იმ შენობაზე, სადაც სცხოვრობს საფრანგეთის ელჩი, და შეეცადა შენობის დაწვას. ადგილობრივი პოლიცია გარს შემოერტყა შენობას. **სროლა დიდი იყო.** ერთი მოჰკლეს, ორი დასჭრეს. იტყობინებიან, რომ რომიდან ფლორენციაში გამოსულია კარაბინერთა რაზმი პოლიციის დასახმარებლად.

რომში საფრანგეთის საელჩომ მოითხოვა კონსულისა და მისი შტაბის დაცვა ფლორენციაში.

მუშების სოლიდარობა

ლონდონი, 20 სექტემბერი. გამოირკვა, რომ **საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფკავშირების საბჭოს გაუგზავნია ტრედ-იუნიონთა კონგრესისათვის ბორნემუტში დეპეშა, რომელშიც აცხადებდა თავის სოლიდარობას ინგლისის მემაღაროეთა და აგრეთვე პროტესტს აცხადებს ინგლისის არმიის ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში.** კონგრესზე ეს დეპეშა არ ყოფილა გამოქვეყნებული.

პარიზი, 20 სექტემბერი. **საფრანგეთის რკინისგზელთა, ნავთსადგურის მუშათა, ტრანსპორტელთა და მემაღაროეთა რევოლიუციონურმა კავშირებმა წინადადებით მიმართეს ტრანსპორტელთა საერთაშორისო გაერთიანების ყრილობას, რათა ალკრძალოს უცხოეთის ნახშირის შეზიდვა ინგლისში.**

ინგლისის მუშების ხმა

ლონდონი, 20 სექტემბერი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ც. კომ. გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც **აფრთხილებს ინგლისის საზოგადო აზრს ჩინეთთან სერიოზული კონფლიქტის საშიშროების წინააღმდეგ.**

რეზოლიუციაში ნათქვამია: „ინგლისის ქვეშევრდომთა ნამდვილი დაცვა ჩინეთში პროვოკაციულ საზღვაო დემონსტრაციების მოწყობაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ჩინეთი უნდა დარწმუნდეს, რომ ინგლისს განზრახული აქვს სამართლიანი პოლიტიკის წარმოება, რომელიც დაფუძნებული იქნება ჩინეთის უკვე ცნობილ დმოუკიდებლობაზე".

რეზოლიუცია მოითხოვს ჩინეთის წყლებიდან ინგლისურ გემების გამოყვანას.

საქართველოს
[illegible]

უკანასკნელი ცნობები

ცნობა „ტოვარიშჩიდან“

მიღებულია რადიო-დეპეშა შაეროპლან „ტოვარიშჩიდან“, რადიო შემდეგი შინაარსისაა: „ტოვარიშჩ“-ი ატლანტიურ ზღვაზე მიფრინავს ყველაფერი რიგზეა. ლუხმანსკი.

საპროტესტო მოძრაობა

პეკინი, 21 სექტემბერი. ვან-სიანში მომხდარ ინციდენტის გამო საპროტესტო მოძრაობა ძლიერდება. განსაკუთრებით აღშფოთება გამოიწვია ინგლისის მუქარამ ვან-სიანის რაიონში დამატებით სამხედრო გემების გამოგზავნის შესახებ.

ჩინური გაზეთების ცნობით ინგლისის სამხედრო გემების უფროსმა ყუმბარების დაშენამდე ურჩია ყველა უცხოელთ დატოვებიათ ქალაქი.

მასწავლებელთა დელეგაცია

მოსკოვი, 21 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ტანნატუვინის მასწავლებელთა დელეგაცია. ეს რესპუბლიკა მდებარეობს აზიაში,—საბჭოთა კავშირს და მონღოლეთს შორის.

უკანასკნელი ცნობები

ახალი ხელშეკრულება

ვარშავა. 20 სექტემბერი. 17 სექტემბერს ჟენევაში ხელი მოაწერეს პოლონეთ-სამხრეთსლავიის სამეგობრო ხელშეკრულებას.

მუშების ხმა

პარიზი, 20 სექტემბერი. საფრანგეთის რევოლიუციონური პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ მოუწოდა მუშებს, რომ უარი განაცხადონ საერთო-სამოქალაქო გადასახადის მიცემაზე.

ახალი კოლონია

ბერლინი, 21 სექტემბერი. სპარსეთის მთავრობამ გამოსთქვა სურვილი გასცეს გრძელვადიანი იჯარით დიდი ტერიტორია იტალიელთა კოლონიზაციისათვის.

ანტიფაშისტური დემონსტრაცია

ბერლინი, 21 სექტემბერი. კორსიკის ნავთსადგურ ბასტიაში მოხდა ანტიფაშისტური დემონსტრაცია.

კანადის პრემიერის გადადგომა

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. კანადის პრემიერმა, უკანასკნელ, მისთვის არახელსაყრელ არჩევნების გამო, შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

ცხენოსანი რაზმის აჯანყების ჩაქრობა

პეკინი. 21 სექტემბერი. ამასწინად მომხდარ ჩან-ძო-ლინის ჯარში ცხენოსანთა რაზმის აჯანყების ჩაქრობის დროს კალაგანში მოკლულ იყო 400 კაცზე მეტი. ბრძოლა გრძელდებოდა 5 საათი. ჩან-სუ-ლიანის პირადი დამცველი რაზმის მეთაური და მისი მდივანი მოკლულია. თვით ჩან-სუი-ლიანი ძლივს-ძლივობით გადარჩა.

ვერ შეთანხმდნენ

მოსკოვი, 22 სექტემბერი. 21 სექტემბერს შესდგა ფოსტა-ტელეგრაფის ცეკასთან ერთად გაერთიანებული სხდომა „ინდოს“ წარმომადგენლებისა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა. პრეზიდიუმის წევრებისა. შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა. გაფიცვის მთავარი კომიტეტი ოდესაში მოითხოვს 20 პროც. მომატებას და კოლექტიური ხელშეკრულების დადებას ორი წლით.

ჩემბერლენის გასტროლები

პარიზი, 21 სექტემბერი. ტორმინში ჩემბერლენი შეხვდება მუსოლინს ოქტომბრის დასაწყისში.

მუნჯ-ყრუთა სრულიად რუსეთის თათბირი

მოსკოვი, 22 სექტემბერი. გაიხსნა მუნჯ-ყრუთა სრულიად რუსეთის თათბირი. წარმომადგენელთა მისასალმებელი სიტყვები გადაუთარგმნა ჟესტიკულიაცია და მიმიკით მთარგმნელმა ქალმა, რომლის თარგმანი მუნჯებმა და ყრუებმა საუცხოვოდ გაიგეს.

გაუთავებელი თათბირები

ბერლინი, 20 სექტემბერი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, პარიზიდან რომში დაბრუნებულ საფრანგეთის ელჩს მქონდა მუსოლინთან ხანგრძლივი თათბირი იტალიის პრემიერზე თავდასხმის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მორიგების ცდა

პეკინი, 20 სექტ. შანხაის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წინადადება მისცეს კანტონის ჯარების სარდალს ჩან-კაი-შის და სუნ-ჩუან-ფანს დაიწყონ საზავო მოლაპარაკება. ჩან-კაი-ში დასთანხმდა წინადადებაზე, სუნ-ჩუან კანისაგან პასუხი ჯერ მიღებული არ არის.

ახალი მთავრობა სპარსეთში

თეირანი, 20 სექტემბერი. სპარსეთის მეჯლისმა 18 სექტემბერს დაამტკიცა ახალი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს მუსტაფა-ოლ-მემელეკი. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა მოშვერ-ოლ-მემელეკ, სპარსეთის ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელია საბჭოთა კავშირში.

ახალმა კაბინეტმა მეჯლისში გამოაქვეყნა თავის დეკლარაცია.

ჩან-კაი-შის ულტიმატუმი

ბერლინი, 21 სექტ. კანტონის ჯარების მთავარ სარდალმა გენერალ ჩან-კაი-შიმ გამოაქვეყნა ულტიმატუმი, რომლითაც უკრძალავს უცხოეთის გემებს. რომლებიც იმყოფებიან იანციზე მიუახლოვდენ ან შევიდენ ხანკოუს ნავთსადგურში.

კვლავ თათბირი პრემიერთან

ლონდონი, 21 სექტ. მაღაროს მუშათა აღმასკომმა, პრემიერისგან პასუხის მიღებამდე, სთხოვა მას მიეღო აღმასკომის წარმომადგენლები. შეხვედრა დანიშნულია დღეისათვის. იუწყებიან, რომ აღმასკომის წევრთა შეხვედრას პრემიერთან მიზნათ აქვს დამატებით განმარტებების მიღება მთავრობის წინადადებათა გარშემო. აღმასკომს, სხვათა შორის, სურს გაიგოს როგორ სურს მთავრობას შეადგინოს ნაციონალური სააპელაციო ტრიბუნალი და თუ შესდგა ეს ტრიბუნალი, მისი შედგენა მოხდება მემაღაროელთა სამუშაოზე დაბრუნებისთანავე თუ მუშების დაბრუნება მაღაროებში წინასწარი პირობაა ამ ტრიბუნალის შედგენისათვის.

ფოსტელ მუშაკთა საერთაშორისო თათბირი

ბერლინი, 21 სექტ. ორშაბათს პარიზში გაიხსნა ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაკთა საერთაშორისო კონფერენცია.

ბრიანი უარს ყოფს

ბერლინი, 21 სექტემბერი. ბრიანი უარს ყოფს ცნობას შტრეზემანთან მიღწეულ საბოლოო შეთანხმების შესახებ ტუარში ნახვის დროს. ბრიანი აცხადებს, რომ წინასწარ უნდა მოხდეს დაინტერესებულ მთავრობათა მოლაპარაკება. როგორც პარიზიდან იუწყებიან დეკემბერში მოელიან ახალ კონფერენციის მოწვევას.

პოლონეთი სესხს დაეძებს

ვარშავა, 20 სექტემბერი. პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი მეტად უკმაყოფილო დარჩა ამერიკ. ექსპერტების კემერერის მოქმედების შედეგებით. ეს უკმაყოფილება მდგომარეობს იმაში, რომ კემერერი ურჩევდა პოლონელებს იმუშაოს „კბილების ღრჭენით“, რაიც ჩვეულებრივ ენაზე გადათარგმნით ნიშნავს: „ამჟამად ლაპარაკი არ შეიძლება პოლონეთისათვის უცხოეთის სესხის მიცემის შესახებ“.

„კურიერ პოლსკი“ სწერს, რომ კემერერას პოლონეთში ყოფნის შედეგები სკანდალურ ხასიათს იღებს. პოლონეთი დასთანხმდა ოფიციალურ კანტროლზე, რომელსაც არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს მისთვის. პოლონეთის საშუალების მოქმედებას კანტროლს გაუწევს ამერიკული საბაჟოს ექსპერტი ებლი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ამერიკელ საელჩოს წევრიც არის პარიზში.

ერთა ლიგის მოქმედების ჩარჩოები

ბერლინი, 22 სექტემბრი. გუშინ ერთა ლიგის პლენუმის იურიდიულმა კომისიამ დაიწყო ინგლისის წინადადების განხილვა ერთა ლიგის მოქმედების ჩარჩოების გამოსაკვლევათ. ინგლისის აზრით, ერთა ლიგის ამოცანებში არ უნდა შედიოდეს ეკონომიური, სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები. საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლები წინააღმდეგი არიან. კამათი გრძელდება.

ექს-კაიზერის იმედები

პარიზი, 21 სექტემბერი. „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით ექსკაიზერმა გაუგზავნა დეპეშა ნაციონალურ დღესასწაულების მომწყობ კომისიას ნიურენბურგში, რომელშიაც ის იმედს გამოსთქვამს, რომ როცა საქმე მიდგება გერმანიაში მონარქიის აღდგენაზე, ყოფილი სამხედრო პირები პირველ რიგებში იქნებიან მონარქიისათვის ბრძოლაში.

გაფიცვა ინგლისში

კუკის განცხადება

ლონდონი, 20 სექტემბ. მთავრობის წინადადებების გარშემო კუკმა განაცხადა: **მთავრობამ გამოამჟღავნა ჩვენთან ბრძოლის სურვილი.** სავსებით ნათელია, რომ ჩვენი ბრძოლა, ეს არის ბრძოლა ფართო მასებისა. მე და ჩემი ამხანაგები გამოვხატავთ მხოლოდ იმათ სურვილს, ვისაც ჩვენ ვწარმომადგენლობთ. **ჩვენ ჯერ დამარცხებული არ ვართ, და არც დავნებდებით მაღაროს მეპატრონეთა პირობებზე.**

მაღაროს მეპატრონეთა წინადადების მიღება—ეს იქნებოდა ეკონომიური და მორალური თვითმკვლელობა. როგორც ჩვენი დამარცხების, ისე ჩვენი გამარჯვების პასუხისმგებლობა სავსებით ეძება ინგლისის პროფმოძრაობას.

სამთომადნო მუშებს ჩვენი პროფკავშირული მოძრაობიდან კვირაში ერთი პენნიც კი არ მიუღიათ. სამუშაო ხელფასიდან ერთი პროცენტიანი ანარიცხი უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ის, რაც 9 კვირის განმავლობაში მივიღეთ ინგლისის პროფმოძრაობისაგან. **საბჭოთა კავშირში კი პროფკავშირის ყოველი წევრი იხდის ერთ პროცენტიან ანარიცხს თავის სამუშაო ხელფასიდან, ხოლო ჩვენი პროფკავშირების ყრილობაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა ანარიცხებზე.**

საბჭოთა კავშირი, რომ ფულის მაგიერ გზავიდეს ნახშირს, რომელსაც ჩვენთვის დამარცხება მოაქვს, მაშინ ის გადაურჩებოდა მასზე მიტანილ იერიშებს და თავდასხმას. ამასთან ერთად კი მილიონი ტონა ნახშირი იგზავნებოდა აქ გერმანიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, ბელგიიდან და ამერიკიდან. ეს ქვეყნები, რომლის პროფკავშირებიც შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში, ეხმარებიან ინგლისის მწარმოებლებს ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენი დამარცხება მათივე დამარცხებაც. **საბჭოთა კავშირი — ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელმაც უარი სთქვა ნახშირის გაგზავნაზე. ასე გააფთრებით ესხმიან თავს საბჭოთა კავშირს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა ჩვენს დამარცხებაში დაეხმაროს კაპიტალისტების კლასს.**

მუშების ხმა

ლონდონი, 20 სექტემბ. 18 სექტემბერს გაიმართა მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელთა სრულიად ინგლისის პირველი კონფერენცია. გადაწყვეტილია არ უარჰყონ საპარლამენტო მუშაობა იმ მიზნით, რომ გაჩაღდეს კამპანია „მაღაროს მეპატრონეთა მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც გაიძვერული გზით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება“, და აიძულონ ახალი არჩევნების გამართვა.

კონფერენციამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია მუშათა პარტიის მიერ ლივერპულში გამართულ უკანასკნელ ყრილობის დადგენილების წინააღმდეგ, კომუნისტების გამორიცხვის შესახებ.

მთავრობის წინადადებათა განხილვა

ლონდონი 21 სექტემბერი. დღეისათვის დანიშნულ სხდომაზე მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი განიხილავს მთავრობის უკანასკნელ წინადადებებს, რომელიც მოყვანილი იყო პრემიერის წერილში. უკანასკნელი წინადადებები ითვალისწინებს ნაციონალურ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაარსებას, რომელსაც ეძლევა უფლება გადასჭრას ყოველგვარი სააპელაციო განცხადებები რაიონული შეთანხმებების შესახებ. იუწყებიან, რომ ტრიბუნალში შევა, როგორც მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციის წარმომადგენლები, ისე მემაღაროეთა ფედერაციის და აგრეთვე შესაძლებელია რკ.-გზის წარმომადგენლებიც. ტრიბუნალის თავმჯდომარეთ იქნება დამოუკიდებელი პიროვნება, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოდ იქნება მიჩნეული, როცა მხარეები ვერ შეთანხმდებიან. ტრიბუნალის დაარსების შესახებ აქტი გატარებული იქნება მუშაობის საერთოდ განახლების შემდეგ რაიონული შეთანხმების საფუძველზე.

განხეთქილება ინგლისის კაბინეტში

ლონდონი, 20 სექტემბერი. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები ინგლისის კაბინეტში მომხდარ განხეთქილების შესახებ მემაღაროეთა გაფიცვის საკითხის გამო. იუწყებიან, რომ ძალთა დაჯგუფება შემდეგნაირია: ბოლდუინი, ჩემბერლენი და ბალფური კონსერვატორების მოთხოვნილების თანახმად წინააღმდეგი არიან კონფლიქტის კომპრომისული მოწესრიგების მემაღაროეთა და მაღაროს პატრონთა შორის, ხოლო ჩერჩილი ინდოეთის საქმეთა მინისტრი ბირკენხედი, კოლონიების მინისტრი ემერე და საზღვაო მინისტრი ბროჯმანი იმ აზრის არიან, რომ სასწრაფოდ მოწესრიგდეს კონფლიქტი, რათა მათ საშუალება მიეცეთ განთავისუფლონ ხელები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაჭრილი კამპანიის საწარმოებლათ და პროფკავშირთა უფლების შესაზღუდავათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლდუინის მოწინააღმდეგე ჯგუფის მონაწილეებს გაერთიანებული აქვთ სხვადასხვა ნაირი აზრი. ჩერჩილს აწუხებს უმთავრესად საბიუჯეტო ხასიათის საკითხი და ეშინია, რომ მემაღაროეთა გაფიცვის გაგრძელება გამოიწვევს ინგლისის ვალიუტის დაცემას უცხოეთის ბირჟებზე.

ბირკენხედი და ემერი მისწრაფიან. რაც შეიძლება დაჩქარებით მოაგვარონ ყოველგვარი გაუგებრობა ქვეყნის შიგნით და ხელი მიჰყონ ანტი-საბჭოთა გეგმების განხორციელებას საგარეო პოლიტიკის სფეროში, კერძოთ ინდოეთისა და ავღანისტანის მხრიდან ამას წინად კონსერვატიული პარტიის მიერ მიღებულ დადგენილების თანახმად.

კონსერვატორები ამჟამად აუცილებლად სთვლიან—რათაც არ უნდა დაუჯდეთ—მხარი დაუჭირონ მაღაროს მეპატრონეებს და ამის გამო ბირკენხედის ანტი საბჭოთა გეგმების განხორციელება უნდა გადაიდოს დროებით.

მონობა თუ გამარჯვება?

ლონდონი, 22 სექტემბერი. მემაღაროეთა წარმომადგენელმა პარლამენტში ვერნონ იარტსხორნმა ნორტალბორგში გამოსვლის დროს განაცხადა: „მემაღაროებმა უნდა გადასწყვიტონ—მზად არიან დანებდენ და დათანხმდენ მონობაზე, თუ მიუხედავათ ყოველგვარი მსხვერპლისა, აგრძნობინონ ყველას, რომ მათ გადასწყვიტეს მიაღწიონ სამართლიანობას“.

მოლაპარაკების წინ

ლონდონი, 20 სექტემბ. 18 სექტემბერს კოკვილში, მიტინგზე გამოსულმა კუკმა განაცხადა: „სამთამადნო მუშათა კავშირი მზად არის განიხილოს საკითხი სამუშაო ხელფასის დროებით დაკლების შესახებ და დასდვას საპატიო შეთანხმება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა სამთამადნო მუშებს ერთად დაბრუნებოდენ სამუშაოს ისევე, როგორც ერთად შეწყვიტეს იგი.

რაც შეეხება მე და ჩემს ამხანაგებს, ჯერ კიდევ ბევრი დრო და სიტყვები დაიხარჯება, ვიდრე ჩვენ დავთანხმდებოდეთ იმ პირობებზე ხელისმოწერას, რომლებსაც ჩვენ გვიყენებენ ეხლა მაღაროს მეპატრონეები. თუ ისინი მოახერხებენ გვაიძულონ ჩვენ დაუბრუნდეთ სამუშაოს, ამას შესძლებენ მხოლოდ ჩვენი დაუძლურების გზით“.

სამხრეთ - უელსის სამთამადნო მუშათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ამლეტტიმ განაცხადა, რომ **მთავრობის წინადადებები ყოველ პირობის გარეშე იქნება უარყოფილი კავშირის აღმასკომის მიერ.**

მანსფილდში გამართულ მიტინგზე სამთამადნო მუშათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვარლი შეეკითხა მიტინგზე დამსწრეთ: „შემიძლია თუ არა მე, როგორც თქვენს თავმჯდომარეს აღმასკომში, განვაცხადო, რომ, მიუხედავათ ნოტინგამშირში შექმნილი მდგომარეობისა, თქვენ შეგიძლიათ გასტანოთ კიდევ 20 კვირა“?

მიტინგზე დამსწრეებმა ერთსულოვნად და ერთხმად უპასუხეს: „კი, შეგვიძლია“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კამპანია საცალო ფასების დაკლებისათვის

მოსკოვი, 21 სექტემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ვაჭრობის კომისარიატის მოხსენება საცალო ფასების დაკლების შესახებ.

საბჭომ აღნიშნა, რომ საცალო ფასების დაკლება იმ საგნებზე, რომლის ნაკლებობა იყო, არ სწარმოებდა იმ ტემპით, რომელიც შრომისა და თავდაცვის საბჭოს 2 ივლისის დადგენილებით იყო გათვალისწინებული. სამაზრო ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ფასების დაკლება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს ვაჭრობის კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების დადგენილებით იყო გათვალისწინებული, ხოლო სოფლამდის ფასების დაკლების კამპანიას, საერთოდ, ჯერაც არ მიუღწევია.

არ არის შესრულებული შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივა არც იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქონლის გამტარებელ აპარატსა და სხვა ორგანიზაციულ-ეკონომიურ ხასიათის ღონისძიებებს.

იმ საქონელზე, რომლის ნაკლებობას არ განვიცდით, საცალო ფასები დაკლებული სრულებით არ არის.

საბჭომ დაადასტურა თავის დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა 2 ივლისს და დაავალა ვაჭრობის კომისარიატს მიიღოს ზომები მის ცხოვრებაში გასატარებლად.

გაფიცვა „ინდო“-ზე

მოსკოვი, 21 სექტემბ. 18 სექტემბერს ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის საზოგადოების მთავარ რწმუნებულმა კენინგმა ინახულა ქსელის მუშაკთა კავშირის ცეკა, სადაც განაცხადა, რომ ის ამ ახლო დღეებში გადასცემს საზოგადოების მართველობის ოფიციალურ პასუხს ქსელის მუშაკთა ცეკას წინადადებაზე.

სანავთო ინსტიტუტი

მოსკოვი, 21 სექტემბერი. 26 კომისარის სახელობის სახელმწიფო ნავთის საგამოკვლეო ინსტიტუტში წელს გაზაფხულზე დაწყებული საალმშენებლო მუშაობანი ისე სწარმოებს, რომ მოკლე ხანში ქიმიის, ნავთის ტეხნოლოგიის და ცენტრალური კორპუსის განყოფილებათა შენობები უნდა მოთავდეს. მიმდინარე წლის ოქტომბრის შუაში მთელი შენობა უკვე დახურული იქნება.

მუშაობა მიმდინარეობს საუკეთესო ხუროთ-მოძღვრების — სპეციალისტების მონაწილეობით.

საფეიქრო მრეწველობა

მოსკოვი, 21 სექტემბ. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საკავშირო საფეიქრო სინდიკატში აცნობეს, რომ **მომავალ საწარმოო წელში საფეიქრო მრეწველობა ნედლეულის მხრივ საკმაოთ იქნება უზრუნველყოფილი**; შესაძლებელი იქნება მომავალ წლებისთვისაც ფონდის შექმნა.

ეხლა უკვე სამანუფაქტურო საქონლის ნაკლებობა არ არის შემჩნეული. ციმბირი და შუა აზია სავსებით დაკმაყოფილებულია საფეიქრო ნედლეულით; სხვა რაიონებშიც საკმარისი რაოდენობა არის. საფეიქრო წარმოების შემდეგში უფრო გასაფართოებლათ განზრახულია 113 მილ. მანეთის დახარჯვა.

ამხ. ვოროშილოვი ბობრუისკში

მოსკოვი, 21 სექტემბ. 18 სექტემბერს ბობრუისკში ჩავიდა **ვოროშილოვი** არმიის შტაბის უფროსის **ტუხაჩევსკის** თანხლებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

მოსკოვი, 21 სექტემბერი. დამთავრდა კამპანია საკავშირო რესპუბლიკებისთვის 1925—26 წელში სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოსატანად.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნახევარი შემოტანილია ამერიკიდან. ყველაზე მეტი შემოტანილია ტრაქტორები 7 მილიონ მანეთის ღირებულებით. უცხოეთთან კრედიტის პირობები სავსებით ხელსაყრელი იყო.

საგალანტერეო საქონელი

მოსკოვი, 21 სექტემბერი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა სამეურნეო მოწყობილებათა და გალანტერიის შემოსატანათ, საიმპორტო გეგმის კონტინგენტების განაწილების დროს მიიღო შემდეგი პროცენტული თანაფარდობა;

რუსეთის სამეურნეო მოწყობილობათათვის — 65 პროც., უკრაინას—19 პროც., ამიერ-კავკასიას — 7 პროც., უზბეკისტანს — 2 პროც., თურქესტანს —2 პროც., ბელორუსიას — 5 პროც.

გალანტერეიაზე: რუსეთს—60 პროც. უკრაინას — 20 პროც., ამიერ-კავკასიას —7 პროც., უზბეკისტანს — 3 პროც., თურქესტანს — 2 პროც., ბელორუსიას —7 პროც.

შრომის გმირები

მოსკოვი, 21 სექტემბერი. ნავთის მრეწველობის საბჭომ, პროფესორ გუბკინის წინადადებით გადასწყვიტა, რათა აზერბეიჯანის და გროზნის ნავთის ყოფილი ხელმძღვანელები სერებროვსკი და კოსიორი აირჩიონ საბჭოს საპატიო წევრებათ. ამ დადგენილების გამოტანის დროს მიღებული იყო მხედველობაში მათი განსაკუთრებული დამსახურება ჩვენი ნავთის მნიშვნელოვან რაიონების აღდგენის და რეკონსტრუქციის საქმეში.

საკავ. კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე, მოსკოვის ორგანიზაციის უახლოეს ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. უგლანოვმა. შეჩერდა რა თავის მოხსენებაში შინაპარტიულ მდგომარეობაზე ამხ. უგლანოვმა სთქვა:

„მოსკოვის ორგანიზაციის დიდმა უმრავლესობამ სწორედ შეითვისა საკითხები, რომელიც ცეკას ივლისის პლენუმმა გადასწყვიტა და ნათლად აქვს წარმოდგენილი, როგორც ჩვენი განვითარების გზები ისე ის დაბრკოლებებიც, რომლებიც გზაზე გვეღობებიან. ორგანიზაციის უდიდეს უმრავლესობას სურს პარტიის მთლიანობა და სიმტკიცე. ორგანიზაციაში გარკვეული შეხედულება არსებობს ოპოზიციის პოლიტიკურ ხაზისა და ამ ჯგუფების გამთიშველ მოქმედების შესახებ. არიან, მართალია, ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც მერყეობენ, რომლებიც მალავენ თავიანთ აზრს. მაგრამ უკვე გამორკვეულია, რომ ოპოზიციის პრინციპიალურმა პოზიციამ ჩვენ ორგანიზაციაში ვერ ჰპოვა გამოძახილი.

ივლისის პლენუმის შემდეგ ოპოზიციამ ფართედ გაშალა მუშაობა. მან გააფართოვა კავშირი, მაგრამ ამ კავშირს არა აქვს ნიადაგი. მომავალში ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ტროცკიზმის წინააღმდეგ, რადგან სავსებით ნათელია, რომ იმდენად რამდენათაც ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმზე ამხ. ზინოვიევმა და კამენევმა აღიარეს, რომ 1923 წლის ოპოზიცია სწორი და მართალი იყო,—ეხლა უკვე აღარ არის იჭვი, რომ ცალკე მერყევი ელემენტები ყოფილი ტროცკისტები, სულიერათ განმტკიცდენ და ცდილობენ აწარმოონ დიდი შინაპარტიული ბრძოლა.

აი რატომ უნდა შევხედოთ უფრო სერიოზულად ოპოზიციის ტაქტიკურ ხაზს და შევეცადოთ მოუჭრათ მათ გზა, არ მივსცეთ საშუალება აწარმოონ მუდმივი დისკუსია, ან და სხვაგვარათ, რომ ვსთქვათ,—არ მივსცეთ მას საშუალება მოაწყონ ცალკე ფრაქცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა პარტიის მე-XIV ყრილობის დადგენილებათა კიდევ უფრო ენერგიულად გატარება ცხოვრებაში.

ჩვენი მუშაობის გეგმაში ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს შევამოწმოთ როგორ ტარდება ძირითად ორგანიზაციებში პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებები. ეს შემოწმება უნდა იქნეს სისტემატიური ხასიათის. ეს იქნება სწორი გზა ოპოზიციონერების დამრღვეველი მუშაობის აღსაკვეთად. ჩვენ უნდა დავისახოთ ამოცანა პარტორგანიზაციის მთავარი ყურადღება შევაქციოთ ტროცკისტურ თეორიებს, მის პოზიციას 1912 წელში ლენინის წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც ტროცკი თავის გარშემო ეგრედ წოდებულ აგვისტოს ბლოკს იკრებდა.

ანგარიშმა, რომელიც ჩატარებულ იქნა არა მარტო მოსკოვის, არამედ მთელი ჩვენი პარტიის უდიდეს უმრავლესობისათვის, ივლისის პლენუმის შესახებ გამოააშკარავა, რომ პარტიის წევრები სავსებით და მთლიანად იზიარებენ ცეკას დადგენილებებს“.

საკონტროლო ციფრები

საკავშირო სახკომსაბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივები

სახალხო კომისართა საბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭომ, მოისმინეს რა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ 1926—27 წლისათვის, აღნიშნავენ მთელ რიგ მიღწევებს საკანტროლო ციფრების შედგენაში შარშანდელთან შედარებით (ახალ საკითხების წამოყენება, მათი უფრო დეტალური დამუშავება და სხ.). ამასთან ერთად სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო ადასტურებენ, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკანტროლო ციფრებში საკმაოდ არ სჩანს სახკომსაბჭოს დირექტივები ა.-წ. 3 აგვისტოდან (ინდუსტრიალიზაციასა და ტრანსპორტზე თანხების გადიდების, ელექტროფიკაციაზე კაპიტალური ხარჯების გადიდების, მსხვილ აღმშენებლობისა და სხ. შესახებ, ადმინისტრატიულ ხარჯების შემოკლების, არაწარმოებითი მოხმარების საგნების დაბეგვრის შესახებ და სხ.) და, აგრეთვე, ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ა.-წ. 18 ივნისიდან კერძო კაპიტალის დამატებითი დაბეგვრის შესახებ.

აღნიშნულ დირექტივების განსავითარებლად, სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო წინადადებას აძლევენ სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და ყველა უწყებებს 1926—27 წლისათვის სამეურნეო გეგმების დამუშავების დროს იხელმძღვანელონ შემდეგი დირექტივებით:

1. გადიდდეს ბიუჯეტიდან მრეწველობაზე თანხების გაღება, მხოლოდ იმით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მრეწველობის კაპიტალური ხარჯების გადიდება და მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქციის ზრდა.

2. ა) გადიდდეს აქტიური სალდო საანგარიშო ბალანსში მხოლოდ იმით, რომ ის არ აღემატებოდეს 100 მილიონ მანეთს; ბ) გათვალისწინებულ იქნეს ბიუჯეტით სარეზერვო ფონდის გადიდება; გ) გამოყოფილ იქნეს ბიუჯეტში ღარიბთა დამხმარე ფონდი.

3. შეუძლებლად ჩაითვალოს ადგილობრივ ფინანსებზე კანონის შემოღების გადადება, და ამავე დროს დაევალოს ცალკე რესპუბლიკებს ბიუჯეტის ზედნართის დაახლოვებით ნახევარი მოახმარონ ადგილობრივ მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდებას, რაიონების და მიხედვით, და სათანადოთ გადამუშავდეს ადგილობრივი ბიუჯეტები.

4. ჩერვონეცის მსყიდველობითი ძალის განმტკიცების მიზნით, გათვალისწინებულ იქნეს ფასების დაკლება როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე მრეწველობის პროდუქციაზე.

5. მაქსიმალურად გადიდდეს კერძო კაპიტალის დაბეგვრა, დღემდე შეუნიშნავ შემოსავალზე განსაკუთრებულ თვალყურის დევნებით (შინა-მრეწველთა, ხელოსანთა და სხ. შორის მომქმედ კერძო კაპიტალი).

6. შესაძლებლად ჩაითვალოს სარკინიგზო ტარიფის ერთგვარი გადიდება მხოლოდ იმ ზომით, რომ მან გავლენა არ მოახდინოს ფასების საშუალო დონეზე.

7. სასტიკად შემცირდეს ადმინისტრატიული ხარჯები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ისე, განსაკუთრებით, სამეურნეო დაწესებულებებში, რომელთა ხარჯებიც ბიუჯეტში არ არის შეტანილი (ბანკები, სინდიკატები, ტრესტები, საჯარო ვაჭრობები და სხ.).

საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი და ბესარაბია

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება უკვე ჩაიწერა ისტორიის ფურცლებში. როგორც არ უნდა იყოს ამ ხელშეკრულების სწორი ტექსტი, რომელიც ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია, მისი ძირითადი დებულებანი უეჭველათ ასეთია: რუმინეთის „სტატუს ქვოს“ აღიარება და საფრანგეთის სამხედრო გარანტია ამ „სტატუს ქვოს“ არ დარღვევისა.

ამ ხელშეკრულებაში პუანკარეს მთავრობა ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ ის სცნობს ბესარაბიის ანექსიას რუმინელ თავადების მთავრობის მიერ, კვლავ ადასტურებს თავის ხელმოწერას 1920 წლის პარიზის ოქმზე, რომელმაც 4 დიდი სახელმწიფოს სახელით სანქცია მისცა ძალმომრეობის ამ აქტს.

თითქოს უქმად ჩაიარა ექვსმა წელმა საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამჟამად საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებობს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა, რომ საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი კარგ სიტყვებს ამბობენ ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების შესახებ, რომ ორივე მთავრობის რწმუნებულნი მეგობრული ტონით იხილავენ იმ ზომებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ დაახლოებას. მაგრამ საკმაო იყო საფრანგეთს განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ბალკანეთზე, რომ მას ხელმეორედ დაედასტურებინა ძალადობისა და უკანონობის აღმაშფოთებელი აქტი, აქტი ბესარაბიის საბჭოთა კავშირისაგან მოწყვეტისა.

შესძლებს საფრანგეთი რუმინეთის მიმხრობას? რუმინეთი იმ მლიქვნელი ხბოს მდგომარეობაში ხომ არ ჩავარდება, რომელიც ორი დედის ძუძუს სწოვს—საფრანგეთსა და იტალიის, რომელთა ინტერესები, როგორც ცნობილია, ძლიერ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ამ საკითხის გადაწყვეტა მივანდოთ თვით საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებს. აქ ჩვენ ვილაპარაკოთ იმ ვითარების შესახებ, რომელსაც ქმნის საფრანგეთის პოლიტიკის უკანასკნელი აქტი.

საფრანგეთის მთავრობა ცოტა აჩქარდა ხელშეკრულების დადების დროს: მას უნდა დაეცადა პარიზის კონვენციის წლის თავისთვის მხოლოდ 28 ოქტომბრამდე, რომ ჯამი გაეკეთებია რუმინეთის მოქმედებათა შედეგებისათვის საოკუპაციო ოლქში. ჩვენ არ ვიცით. სწარმოებს თუ არა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ან სხვა რომელიმე დეპარტამენტში საფრანგეთის ინტერვენციის მსხვერპლთა აღრიცხვა, მაგრამ თუ ბესარაბიის მოსახლეობის ბედიღბალს შეუძლია ყურადღების მიპყრობა,—ეს კი, ალბად, ასეა, თუ ვიმსჯელებთ იმ ფაქტის მიხედვით, რომ საპატიო ლეგიონის ორდენით იქნა დაჯილდოებული კიშინევის ოხრანკის ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი,—ჩვენ მზადა ვართ დავეხმაროთ ამ საქმეში.

ჯერ-ჯერობით შედეგები არაა ბრწყინვალე. წამება, ციხეები, ეგზეკუციები, ორმოცი ათასი ჟანდარმი, რუმინიის ჩინოვნიკების გაუგონარი თარეში, გარყვნილება, ლოთობა, სრული ეკონომიური დაცემა,—ასეთია ბესარაბიის სურათი რვა წლის ოკუპაციის შემდეგ.

საფრანგეთის საზოგადოებრიობის ოფიციალური წარმომადგენელნიც კი, ადამიანის უფლებათა ლიგაც კი, და ის პოლიტიკური მოღვაწენი, პარტიულობის განურჩევლად, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის გრძნობა, გადაჭრით კიცხავენ ოხრანკისა და სამხედრო პირთა ტერორისტულ რეჟიმს.

რუმინეთის მემამულეთა მხდალი მთავრობა ვერ ბედავს, რომ თვით ბესარაბიის მოსახლეობას მიანდოს ამ საკითხის გადაწყვეტა: სურს თუ არა მას დარჩეს რუმინეთის სახელმწიფოს ფარგლებში? თავადებისა და მემამულეების ხელისუფლებამ ჩაშალა 1924 წ. ვენის კონფერენცია, რომელზედაც საბჭოთა დელეგატებმა წინადადება შეიტანეს, რომ პლებისციტი ჩატარებულიყო ბესარაბიაში. ამას იგი ამჯობინებს საფრანგეთისაგან გარანტიის მიღებას.

მეორედ აძლევენ რა სანქციას ბესარაბიის დაპყრობას და ადასტურებენ რა უტიფრობისა და ძალადობის ყველა აქტებს, საფრანგეთის მმართველი წრეები რუმინეთის თავადებთან ერთად ანაწილებენ იმ გაუგონარ ჩაგვრის პასუხისმგებლობას, რომელიც გამეფებულია თითქმის სამმილიონ ბესარაბიელთა მოსახლეობაზე.

საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება სრულიად არ ეფარდება საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ნორმალურ ურთიერთობას. საფრანგეთის მთავრობამ მშვენივრად იცის, რომ ჩვენ არასოდეს არ მიგვიცია თანხმობა ბესარაბიის ანექსიაზე. 1920 წლის ხელშეკრულება გაუგონარი აქტია, რომლითაც რუსეთის მონაწილეობის გარეშე გადაწყდა იმ ტერიტორიის ბედ-იღბალი, რომელიც 100 წელზე მეტია, რაც მის შემადგენლობაში შედიოდა. რამდენი მტაცებლური ზავი არსებობს დიპლომატიურ ისტორიაში, მაგრამ არასოდეს არ მომხდარა ისეთი ფაქტი, რომ ხელშეკრულებაზე, რომელიც ამა თუ იმ ოლქის მოწყვეტას გულისხმობდა, არ ყოფილიყო იმ სახელმწიფოს ხელისმოწერა, რომელმაც დაჰკარგა ეს ოლქი. თუმცა ეს კანონიერება მოჩვენებითია, მაგრამ მას მაინც იცავდენ. ამ შემთხვევაში ესეც კი არ არის.

პარიზის ოქმს არავითარი იურიდიული ძალა არა აქვს საბჭოთა კავშირის მშრომელთა თვალში. საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური მასები შეაფასებენ ისე, როგორც არამეგობრულ აქტს საფრანგეთის მთავრობისა, რომელმაც ამ ხელშეკრულების დადებით გვერდი აუხვია საბჭოთა კავშირისა და ბესარაბიის მოსახლეობის უფლებებსა და ინტერესებს. საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება 1926 წელში მხოლოდ ადასტურებს იმ უკანონობას, რომელიც 1920 წელში მოხდა.

საფრანგეთის გარანტია ტერიტორიალური „სტატუს-ქვოსა“ რუმინიაში უდიდეს საფრთხეს შეიცავს მშვიდობიანობისათვის.

ყოველივე ის, რაც აქ ითქვა ბესარაბიის ანექსიის ძალმომრეობითი ხასიათისა და იმ აქტების უკანონობის შესახებ, რომლითაც რუმინეთი ფლობს ამ ტერიტორიას, სავსებით აქვს შეგნებული რუმინეთის მთავრობას.

რუმინეთმა იცის, რომ სანამ ის არ მიიღებს საბჭოთა კავშირის თანხმობას ბესარაბიის შეერთებაზე, მანამ მისი მფლობელობა მოკლებულია უფლებრივ ტიტულს. მან იცის, რომ საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ უღალატებს ბესარაბიის ხალხის მასების ინტერესებს და ვერ შეურიგდება მოსახლეობის ნება-სურვილების წინააღმდეგ ძალით დაპყრობის დაკანონებას. ამიტომ ბესარაბიის შემომტკიცების ერთად-ერთი შესაძლებლობა არის ომის გზა და საანექსიო ზავი. მთელი რვა წლის განმავლობაში რუმინეთი ემზადება ამ შესაძლებლობისათვის. არ არის ისეთი დიპლომატიური ხვრელი, რომელშიაც არ გამძვრალიყოს რუმინეთის მთავრობა, რომ გაედიდებია თავისი გამარჯვების შანსები. არ არის ისეთი სისაძაგლე, რომელსაც ხელს არ მოაწერენ რუმინეთის მესვეურნი, ოღონდ კი შეასუსტონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. საკმარისია მოვიგონოთ ის ჭორები, რომლებიც გავრცელებულია ბურჟუაზიულ პრესაში საბჭოთა კავშირში მომხდარ აჯანყებებზე და რომლებიც არიან რუმინეთის წარმოებიდან გამოსული. მაგრამ ძალები ერთობ უთანასწოროა. საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერება, რომელიც დღითი-დღე იზრდება და მისი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც თანდათანობით მტკიცდება, დიდათ ასუსტებენ შეტაკებიდან გამარჯვებით გამოსვლის რწმენას და რუმინეთის მთავრობაც იძულებული იყო უკვე ეგრძნო ბესარაბიის საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა საბჭოთა კავშირთან ერთად და არა მის წინააღმდეგ.

საფრანგეთის გარანტია რადიკალურად სცვლის მდგომარეობას. რუმინეთის მმართველთა ანექსიონისტური ტენდენციები პოულობენ არა მარტო გამოძახილს, არამედ ნიადაგსაც კიდევ უფრო მეტი გაქანებისათვის. რა მერე, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს დახმარებას „თავდასხმის“ შემთხვევაში? თითქოს იმპერიალისტები ყოველგვარ ომს არ უყურებდენ ისე, როგორც თავდაცვით ომს. რუმინეთ-პოლონეთის სამხედრო კონვენცია და საფრანგეთის გარანტია საკმარისია იმისთვის, რომ რუმინეთს აეშალოს მადა.

საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება წარმოადგენს უეჭველ მუქარას მშვიდობიანობის წინააღმდეგ. იბადება კითხვა შეგნებული ჰქონდათ თუ არა ყველა აქედან მოსალოდნელი შედეგები საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებს? დღეს თუ ხვალ რუმინეთი ხელს მოაწერს იტალიასთან ხელშეკრულებას და საფრანგეთი, ამავე დროს, რუმინეთთან უსარგებლო ხელშეკრულებით ხელს ჰკრავს საბჭოთა კავშირის ერებს.

საფრანგეთი თავისი გარანტიით ამცირებს ბესარაბიის საკითხის მშვიდობიან გზით გადაჭრის შანსებს, მხარს უჭერს რუმინეთის მმართველი წრეების ავანტიურიზმს და ამტკიცებს კავშირს მეორე ავანტიურისტს პილსუდსკისთან, რომლის საომარ მზადებაზე მთელი ქვეყანა გაყვირის; საფრანგეთი ობიექტიურად ატარებს არა თავის პოლიტიკას, არამედ პოლიტიკას დიდი ბრიტანეთისას, რომელიც სჭედს რკინის ჯაჭვს საბჭოთა კავშირის ირგვლივ.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 21 სექტემბერი.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის დეკლარაცია

საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს

ამხანაგებო!

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია სტოვებს საბჭოთა კავშირს.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია გაგიზიაროთ თქვენ, ჩვენს ძმებს, რუს მუშებს, ის შთაბეჭდილებანი, რომელნიც მივიღეთ თქვენს სახელმწიფოში ყოფნის დროს და მადლობა გადაგიხადოთ იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც აღმოგვიჩინეთ.

თქვენს ქვეყანაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს დელეგაციას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა საბჭოთა კავშირს და მიეღო დიდი გამოცდილება. ჩვენ ყველგან დიდი სიამოვნებით გვაძლევდენ საჭირო მასალებს, ქარხანა-ფაბრიკების, დაწესებულებების, დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმების კარები ფართეთ იყო გაღებული ჩვენთვის რუსის მუშების მიერ. ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებული ყალბი ცნობების გასაბათილებლად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ კი არ გვაიძულებდენ, არამედ გვაძლევდენ სრულ შესაძლებლობას, თვითონვე აგვერჩია, ჩვენი სურვილისამებრ, დასათვალიერებელი ადგილები. დელეგაციის ურალისა და ყირიმის ჯგუფებმა, ასე წარმოიდგინეთ გზაში შესცვალეს წინასწარ შემუშავებული მიმართულება. ვსარგებლობდით რა სრული თავისუფლებით, დელეგაციამ შესძლო საბჭოთა კავშირის შესწავლის დამთავრება, რაშიაც დიდი დახმარება გაგვიწიეს გერმანიიდან წამოყვანილმა მთარგმნელებმა. ჩვენდა განსაცვიფრებლად, თითქმის ყველა წარმოებაში, ყველა დაწესებულებაში, თვით მივარდნილ სოფლებშიც კი ჩვენ გვხვდებოდენ გერმანული ენის მცოდნენი, რომლებთანაც ჩვენ შეგვეძლო დაწვრილებით გვებაასა.

გერმანიის მუშათა პირველმა დელეგაციამ პირველად გაარღვია კედელი, რომელიც საბჭოთა კავშირს შემოავლეს ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე გერმანულმა ძალებმა. მეორე დელეგაციის მიზანი მასში მდგომარეობდა, რომ შეემოწმებინა და დაედასტურებინა ის. რაც სთქვა პირველმა დელეგაციამ, რომ უფრო განემტკიცებინა და გაეფართოებინა რუს და გერმანელ მუშების ძმური დამოკიდებულება და ამ გზით შეექმნა პროფმოძრაობის მთლიანობის პირობები. ჩვენ ვაცხადებთ, რომ საერთოდ, **პირველი დელეგაციის დასკვნები მართალი გამოდგა** და ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ღონისძიებას, რომ გავაგრძელოთ და ბოლომდე მივიყვანოთ საერთაშორისო პროფმოძრაობის გაერთიანების საქმე, რომელიც პირველმა დელეგაციამ დაიწყო.

კერძოთ, გერმანიის მუშათა დელეგაციას შეუძლია აღნიშნოს შემდეგი შთაბეჭდილებანი, რომელიც მან მიიღო საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს.

1. მუშათა კლასის მდგომარეობა და სამეურნეო აღმშენებლობა

დელეგაციის უმთავრესი ამოცანა იყო: გამოეკვლია მუშათა კლასის მდგომარეობა და აგრეთვე გაცნობოდა სამეურნეო აღმშენებლობის მდგომარეობას და მიმდინარეობას. მრავალი წარმოების ხანგრძლივმა და დაწვრილებითი დათვალიერებამ მოგვცა ამის საშუალება. ამასთანავე ჩვენ ერთსულოვნად დავადექით შემდეგ აზრს:

წარმოებებში ხელმძღვანელობა წითელ დირექტორების ხელშია და მათ გვერდში უდგიან ტეხნიკური დირექტორები და ფაბქარხკომები. ყველა დელეგატზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა უბრალოებამ მეურნეობის ხელმძღვანელების მხრივ, რომელნიც წინად თვით იყვენ მხოლოდ და მხოლოდ მუშები და ეხლაც მხოლოდ მუშებათ გრძნობენ თავს. მათსა და ფაბქარხკომებს შორის და აგრეთვე ყველა მუშების მიმართ არსებობს ისეთი დამოკიდებულება, რომელიც დამყარებულია ერთმანეთისადმი ნდობაზე, რაც ამტკიცებს იმას, რომ ყოველი მუშა დაინტერესებულია თავისი წარმოების აღმშენებლობაში. ფაბქარხკომებს და დაბალ პროფუჯრედებს წარმოებებში დიდი გავლენა აქვთ ყველა საკითხებზე, რომლებიც მუშებს ეხებათ.

ომის წინა დროსთან შედარებით ყველა წარმოებებში გაუმჯობესებულია მუშების მდგომარეობა. რამდენათაც ჩვენ თვალყურს ვადევნებდით, შეგვიძლია დარწმუნებით ვსთქვათ, რომ რვა საათის სამუშაო დღე არსადაა ისე დაცული, როგორც საბჭოთა კავშირში. ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში სამუშაო დღე განსაზღვრულია 6 საათით. ამას გარდა მუშები ყოველდღე იღებენ სპეციალურ კვებას. მოზარდები 16 წლამდე მუშაობენ 4 საათს, 16-დან—18 წლამდე—6 საათს დღეში. ისინი ღებულობენ თვის შვებულებას მაშინ, როცა სხვა მუშები 2 კვირის შვებულებას იღებენ. ჯანმრთელობისთვის მავნე წარმოებებში მუშები იღებენ შვებულებას 4-დან—5 თვემდე. შვებულების დროს მუშა სრულ თვიურ ხელფასს ღებულობს. ჩვენ დავინახეთ, რომ მუშის რეალურმა ხელფასმა ნაწილობრივ გაუსწრო ომამდე არსებულს, ხოლო მუშის უმცირესი რეალური ხელფასი უდრის ომამდე არსებულ ხელფასის 80 პროცენტს. პროფკავშირები და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები მუდამ ცდილობენ გააუმჯობესონ მუშების და ღარიბი გლეხობის მდგომარეობა. ყველაფერი ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, დადასტურდა ფაბრიკა-ქარხნებში მუშებთან საუბრის დროს. მუშებთან საუბარი კი ჩვენ შეგვეძლო სრულიად თავისუფლად და უკანტროლოდ.

სწორედ ამ საკითხებში ჩვენ საშუალება გვქონდა დაგვენახა, რომ მუშების მდგომარეობა თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლად უმჯობესდება. ყველაზე უფრო ნათლად გამოიხატება ეს მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეში. თითქმის ყველა დიდი წარმოებები ამჟამად აშენებენ საკუთარ მუშათა საცხოვრებელ სახლებს, რომელთა შედარებაც კი არ შეიძლება იმ საცოდავ ქოხებთან, რომლებსაც აშენებდენ კაპიტალისტები თავის დაქირავებულ მუშებისთვის.

მუშათა მდგომარეობის ეს გაუმჯობესება—შედეგია ეკონომიური აღორძინების. თითქმის ყოველგან მიღწეულია ომის წინანდელ დროის მრეწველობის ნორმა. ხოლო ზოგიერთ დარგში—ამაზე მეტიც. ყოველივე ამის გაკეთება მოხერხდა წარმოების რაციონალიზაციით, იმ დროს, როდესაც წარმოების რაციონალიზაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში მძიმე უღლად აწვება მუშათა კლასს—მუშათა სახელმწიფოში წარმოების რაციონალიზაციით უმჯობესდება მუშათა მდგომარეობა, და ეს იმიტომ, რომ უმჯობესდება მუშაობის წესი და კლებულობს სამუშაო დღე.

ყოველივე ამას თუ ჯამს გაუკეთებთ, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საბჭოთა მეურნეობა ადგას წარმატების და აღორძინების გზას იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით ჩვენში, გერმანიაში, ჩვენ ვხედავთ მეურნეობის დაცემას და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუარესებას. საბჭოთა კავშირის მეურნეობის აღორძინება ნიადაგს უმზადებს სოციალიზმს. სამეურნეო აღორძინებასთან ერთად უმჯობესდება აგრეთვე მუშათა მდგომარეობაც.

2. სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური უზრუნველყოფის საქმეს საბჭოთა კავშირში უეჭველად პირველი ადგილი უკავია. სოციალური უზრუნველყოფის სტრუქტურა და დამზღვევ სალაროს მიერ გაწეული მუშაობა ყველა ქვეყნის მუშებისათვის წარმოადგენს სამაგალითო მოვლენას. განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება ექცევა მოზარდ თაობას. მომავალი დედა წინასწარ ღებულობს ორი თვის შვებულებას და ორი თვისაც ბავშის დაბადების შემდეგ. პირველ და მეორე შემთხვევაშიაც მას მთლიანად ეძლევა ჯამაგირი. გარდა ამისა, წარმოებაში ყოველ სამი საათის განმავლობაში დედას ეძლევა უფლება გამოკვებოს თავისი ბავში. თითქმის ყველა სამაგალითო ფაბრიკა-ქარხნებში არსებობს ბავშთა ბაგები, რომელშიაც ეს უკანასკნელნი იზრდებიან საზოგადოებრივი პრინციპების და მიხედვით.

დიდი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე უპატრონო ბავშთა მზრუნველობის დარგში. ბავშთა ქალაქების დათვალიერებით ოდესაში და როსტოვში ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ნათლად წარმოგვედგინა მომავალი რუსეთი, ასეთი ქალაქების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც ბატონობს მუშათა კლასი და სადაც სწარმოებს სოციალიზმის მშენებლობა.

ყოველ მიზეზს გარეშე აუცილებელია ხაზი გაუსვათ საკმაო რაოდენობას დასასვენებელ სახლების და სანატორიუმებისას, რომლებიც მოფენილი არიან არა მარტო მსხვილ ქალაქებთან მახლობლად და ყოფილ სასახლეებში, არამედ აშენებული არიან ბურჟუაზიის ყოფილ კურორტებზედაც. იქ, სადაც წინად დროს ატარებდა და ლხინობდა ბურჟუაზია, ეხლა ისვენებს ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასები, დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში ცხოვრების პირობები შეუდარებელია. აქ განსაკუთრებით ჩვენ, გერმანელ მუშების ყურადღება მიიპყრო იმ ამხანაგურმა ურთიერთ დამოკიდებულებამ, რომელიც არსებობს დასასვენებლად მოსულთა და საექიმო პერსონალს შორის. აქ ყველანი თავს გრძნობენ ერთ ოჯახის წევრებად.

3. ეროვნული საკითხი

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია დასახლებულია მრავალ ეროვნებათა მიერ, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემას საბჭოთა ხელისუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ დელეგაციის ყველა ჯგუფები ამ საკითხს განსაკუთრებულის ყურადღებით სწავლობდენ. ყველგან ჩვენ საშუალება გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ყველა ეროვნებათა უმცირესობებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება, ეროვნულ უმცირესობათ აქვთ თავისი პრესა, სკოლა და ლიტერატურა. მათ დაწესებულებებში სახელმწიფოებრივ ენათ მიჩნეულია ეროვნული ენა. სწორედ ამით დელეგაციას მიეცა შესაძლებლობა, რომ მან აღიაროს: ეროვნულ უმცირესობათა ასეთი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასის ბატონობის დროს.

4. კულტურის საკითხები

როგორც ვიცით, რუსეთი ომამდე წარმოადგენდა ისეთ ქვეყანას, სადაც უცოდინარობა ყველაზე უფრო მეტად განვითარებული იყო. ამჟამად ყოველგვარი ღონისძიებაა მიღებული იმისათვის, რომ უკულტურობა ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილი იქნას. ყველგან, როგორც ქალაქად, ისე სოფლად—ჩვენ ვხვდებოდით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეებს. მეცადინეობის მეთოდები უნდა ჩაითვალოს სამაგალითოდ, რაშიაც ჩვენ დავრწმუნდით საკუთარი თვალებით. ყველგან ბავშები იზრდება კოლექტიური სულით, ყველგან გატარებულია თვითმართველობის პრინციპი. ეს მოზარდი თაობა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენია.

ჩვენი უდიდესი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე საბჭოთა კავშირში ქალების მიერ გაწეულმა მუშაობამ. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური წესწყობილების დროს ქალი კარჩაკეტილ მდგომარეობაში იმყოფება, ქალი ჩაფლულია ძველ ზნე-ჩვეულებათა მორევში, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში ბარბაროსობამდეც კი მიდის, ეხლა ქალთა თანასწორობა შეიჭრა საბ. კავ. ძალზე ჩამორჩენილ კუთხეშიაც კი. საბჭოთა კავშირში ქალი თანასწორუფლებიანობის პირობებში იმყოფება არა ქაღალდზე, არამედ სინამდვილეში.

საბჭოთა კავშირში ხალხთა რევოლიუციონურმა განთავისუფლებამ საგრძნობლად ხელი შეუწყო ხელოვნების განვითარების საქმესაც. ჩვენ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით, რომ ლენინგრადში და მოსკოვში ხელოვნების ძველი განძეულობა საუკეთესოდ შენახულია. სხვათა შორის, რუსულმა თეატრმა დრამატიულ ხელოვნებაშიაც შეიტანა უდიდესი რევოლიუციონური სხივები.

5. დასკვნა

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ეს უდიდესი მიღწევანი ცხოვრების ყოველ დარგში ნაყოფია სოციალური რევოლიუციისა და მუშათა კლასის ბატონობის. პროლეტარიატის დიქტატურამ, რომელსაც თავს ესხმიან ყოველი მხრიდან, უდიდესი სარგებლობა მოუტანა მუშათა კლასს და გლეხობას. აქ, საბჭოთა კავშირში, გაბატონებულია მუშათა კლასი, იგი აწარმოებს თავის სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს აღმშენებლობა გაცილებით უფრო ჩქარა წავიდოდა წინ, საბჭოთა კავშირის მუშები რომ მოწინავე ქვეყნებიდან, განსაკუთრებით გერმანიიდან, ღებულობდენ საკმაო რაოდენობის მანქანებს. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში არის პურის დიდი მარაგი, გერმანიის მემამულეები გერმანიის მუშებს აყენებენ შიმშილობის საფრთხის ქვეშ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რათა გერმანიის ტეხნიკის ნაყოფი გადაცვლილი იქნეს რუსეთის სამეურნეო ნაწარმოებზე და გაძლიერდეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მუშათა მჭიდრო პოლიტიკური კავშირი. რუსეთისა და გერმანიის მუშათა კავშირს ვერავინ დაამარცხებს.

უკანასკნელ წლებში გამწვავებულ მსოფლიო კაპიტალის შემოტევას წინ გადაუდგა მხოლოდ ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე—საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის მეურნეობის და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, ამაოა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დამარცხების ცდა. მტკიცედ, როგორც არასოდეს, მიუხედავად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გავრცელებულ ჭორებისა, რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას. ყოველდღე იზრდება ყველა ქვეყნის მუშათა თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი. და ამიტომაა, რომ მეორეს მხრივ იზრდება ბურჟუაზიის სურვილი, რათა მოაწყოს საბ. კავ. წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია. ავანტიურისტ პილსუდსკის სამხედრო სამზადისი ცხადჰყოფს, რომ ეს საშიშროება მეტის-მეტად მწვავდება. ჩვენ არა ერთხელ დავათვალიერეთ წითელი არმია და ფლოტი და დავრწმუნდით, რომ ეს არის მსოფლიოში ერთად-ერთი მუშათა და გლეხთა არმია, რომელიც ემსახურება საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს და რომელიც მზადაა—მტკიცედ დაიცვას რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარი ბოლომდე.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციისა და მისი მონაპოვარის დაცვა არის საქმე არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისა, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისაც. ამიტომ გერმანიის მუშების მოვალეობაა ძირშივე აღმოფხვრან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების ყოველივე ცდა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირთა მთლიან ინტერნაციონალის შექმნას. ჩვენ ყველგან ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირის მუშებს არაფერი არ სწადიათ ისე მხურვალედ, როგორც ყველა ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანება. ყველა ცნობები, რომელსაც ამ საკითხის შესახებ ავრცელებენ პროფკავშირთა გაერთიანების მტრები, იმის შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ დაწვრილებით ცნობები საბჭოთა პროფკავშირებიდან, გამოდგა სრულიად ყალბი. გერმანიის მუშებმაც თავის მხრივ უნდა მიიღონ ყოველივე ზომები საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობის განსახორციელებლად, და ეს მით უფრო საჭიროა გერმანიის მუშათა კლასისათვის, ვინაიდან გაერთიანებულმა ბურჟუაზიამ შესძლო გერმანიის მუშათა კლასის დამარცხება. გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია მთელი თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს პროფმოძრაობის მთლიანობისათვის. იგი აშკარად აცხადებს, რომ მუშათა ბელადები, რომელნიც დღემდე ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის მთლიანობას, უდიდეს ზიანს აყენებენ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს. ჩვენ მივიღებთ ყოველივე ზომებს, რაც კი ჩვენგან შესაძლებელია, რათა აღვირახსნილ ბურჟუაზიას დაუპირდაპიროთ მუშათა კლასის მთლიანი და მტკიცე ფრონტი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზანს მივაღწევთ ახლო მომავალში.

გაუმარჯოს რუსეთისა და გერმანიის მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობას!

გაუმარჯოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუდრეკელ ბრძოლას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ყველა ექსპლოატატორებზე საბოლოო გამარჯვებას!

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო, 21 სექტემბერი. 26 კომისარის დახვრეტის მე-8 წლისთავის აღსანიშნავად, აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტი სცემს ბაქოს კომუნის შესახებ პოპულიარულ ბროშიურებს, რომლებიც გამოარკვევენ ბრძოლის პირობებს, ტაქტიკას, კლასობრივ და ნაციონალურ ურთიერთობათ და დაშვებულ შეცდომებს.

პარტსკოლაში შემოღებული იქნება კომუნის ისტორიის სპეციალური კურსი, აგრეთვე მაღალი ტიპის წრეებშიაც. საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წინაშე აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა დაარსოს ბაქოს კომუნის ისტორიის კათედრა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტშიაც.

გამოდის ახალი კრებული „26“ ხსოვნის აღსანიშნავად. მახლობელ დღეებში ყველა წარმოებებში მოიწვევენ მუშათა კრებებს, რომლებზედაც გაკეთებული იქნება მოხსენებები შემდეგ თემაზე: „26 მე-8 წლისთავი და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა“.

გუშინ მუშათა კლუბებში შესდგა მოსაგონარი საღამოები.

აზერბეიჯანის სახელმწიფო კინო—რუსეთის სახელმწიფო კინოსთან ერთად მე-10 წლისთავისათვის ამზადებს დიდ სამხატვრო სურათს: „26 კომუნარის დასჯა“.

პარტიული ცხოვრება

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება

რკინისგზის მთავარ სახელოსნოს და საყუდის კომუჯრედების გაერთიანებულ კრებაზე ამხ. ფ. მახარაძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება პარტიისა და ოპოზიციის შესახებ.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა

რეზოლიუცია

ამიერ-კავკასიის რკ. გზების მთავარი სახელოსნოს და საყუდის კომუჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა და გაარჩია რა მოხსენება ამხ. ფილიპე მახარაძისა „პარტია და ოპოზიცია“ აღნიშნავს, რომ ახალი ოპოზიციონური ბლოკი **თავისი იდეოლოგიით არის აშკარად ანტილენინური.** ახალი ოპოზიცია ლიკვიდატორული მოვლენაა ჩვენს პარტიაში რომელიც თანდათანობით გადაგვარდება ანტილენინიზმში, ამ ტენდენციის მაჩვენებელია „ახალი ოპოზიციის“ ბლოკი ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხვათა შეთაურობით, ტროცკიზმის პოზიციასთან, რომელიც არსებითად არის ლენინიზმის მოწინააღმდეგე იდეოლოგია.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ გამოააშკარავა დაურწმუნებლობა სოციალიზმის გამარჯვების საქმეში ჩვენს ქვეყანაში, უარყოფს რა ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს და აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფო პროლეტარულ ბუნებას.

ჩვენი კავშირის ინდუსტრიალიზაციის საკითხში ოპოზიცია იძლევა ისეთ წინადადებებს(ქალაქის ნაწარმოებზე ფასების აწევა, სასოფლო მეურნეობაზე დაწოლა) რაც ძირს უთხრის პროლეტარულ დიქტატურის საფუძველს—მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან.

ოპოზიციამ და მათმა ლიდერებმა ზინოვიევმა, ტროცკიმ,კამენევმა და სხ. გამოიჩინეს შიში და არა ლენინური სიმტკიცე კულაკის აქტივობის ზრდის წინაშე და მოითხოვენ ისეთ მეთოდებს მათ წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც დაახევინებს პარტიას უკან სამხედრო კომუნიზმისაკენ.

გლეხურ საკითხში ოპოზიცია მხედველობიდან უშვებს საშუალო გლეხობას, სოფლის ცენტრალურ ფიგურას, აზვიადებს რა დიფერენციაციის მიერ მასში, რომ უპარტიო გლეხური მეურნეობის სოციალისტურ ლიანდაგზე გადაყვანა კოოპერაციის საშუალებით. ამით ოპოზიცია შორდება ლენინიზმს.

კრება აღნიშნავს, რომ ცეკას უმრავლესობისათვის ბრალის დადება ოპოზიციის მიერ მასში რომ უპარტიო გლეხობის ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში საბჭოების გამოცოცხლების გზით, არის სახელმწიფო მართვა-გამგეობის პროლეტარულ ლიანდაგიდან გადასვლა, მაჩვენებელია პროლეტარული დიქტატურის უმაღლესი პრინციპის—მუშებისა და გლეხების კავშირის უარყოფისა მათ მიერ.

მტკიცება ოპოზიციისა, რომ მუშათა კლასი სცილდება სახელმწიფო აპარატს, რომ ძალა-უფლება გადადის ერთ მუჭა ბიუროკრატების ხელში, არის მხოლოდ პანიკა და არ შეეფერება სინამდვილეს. ოპოზიცია აზვიადებს ბიუროკრატიზმის ზრდას, პარტია კი ლენინურ სიმტკიცით ებრძვის ყოველგვარ ბიუროკრატიულ გადახრას და დამახინჯებას სახელმწიფო აპარატში.

კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მიერ წამოყენებული დებულება ფრაქციების, ჯგუფების თავისუფლების შესახებ ჩვენს პარტიაში, არის უარ-ყოფა ბოლშევიკურ პარტის მშენებლობის ლენინურ პრინციპებით.

ჩვენი პარტია არის ერთად-ერთი მთლიანი პარტია, რომლის სტრუქტურა უარყოფს ფრაქციულობას, ჯგუფობრიობას და სხვადასხვა მიმდინარეობებს თავის შიგნით. ჩვენი პარტია არ არის ჯამი სხვადასხვა მიმართულებებისა, არამედ არის მთლიანი მონოლიტური პარტია.

შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოების ლოზუნგი ოპოზიციას სურს გამოიყენოს ფრაქციულობის და ჯგუფობრიობის თავისუფლებისათვის. ლენინური სწავლა შინა-პარტიულ დემოკრატიაზე, კი არის ფრაქციულობის და ჯგუფობრიობის წინააღმდეგ ბრძოლა და ნამდვილი ჩაბმა ფართო პარტიულ მასის პარტიის ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად.

კრება აღნიშნავს, რომ უმცირესობის მიერ მე-14-ე პარტყრილობის დადგენილების დარღვევა და ფრაქციულ ბრძოლი წარმოება ს.კ.პ. ცეკას წინააღმდეგ არის დაუშვებელი და გაუგონარი მოვლენა ლენინურ პარტიაში.

პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში პარტიის მთლიანობა და პროლეტარული დისციპლინა აუცილებელი პირობაა სოციალიზმის მშენებლობის ბრწყინვალეთ დაგვირგვინებისათვის. ამისათვის კრება სთვლის აბსოლიუტიურ სწორად ცეკას და საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის ყველა დადგენილებებს, ოპოზიციონურ ბლოკის გამთიშველ მოქმედების წინააღმდეგ (ლაშევიჩის და სხვების საქმე).

კრება საჭიროდ სთვლის მომავლისათვის წარმოებული იქნეს დაუზოგველი ბრძოლა ბოლშევიკური გაბედაობით ყოველ გვარ ჯგუფობრივობის და ფრაქციულობის წინააღმდეგ ლენინურ პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

კრება აფრთხილებს ყველა პარტიის წევრებს, რომ თუნდაც მცირე დარღვევა და გადადგომა მე-14-ე ყრილობის დადგენილებებიდან დააყენებს მათ პარტიის რიგების გარეშე.

კრება მოუწოდებს პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის თბ. ორგან. ყველა წევრებს მჭიდროდ შეკავშირდენ ლენინურ ცეკას ირგვლივ, მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ძირს ახალი შეერთებული ოპოზიცია!

გაუმარჯოს ერთად-ერთ, მთლიან ლენინურ პარტიას!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. ცეკას კომუნისტური პარტიის მებრძოლ შტაბს!

გაუმარჯოს პარტიის წარმატებითი ბრძოლას სიძნელეთა წინააღმდეგ, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის!

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენებას გამოვაქვეყნებთ ხვალ.

თბილისის ორგ. ყველა რაიკომებსა და უჯრედებს

თბილისში იწყება მუშათა კლუბების გამგეობათა გადარჩევა. ეს გადარჩევა დღევანდელ პირობებში, როცა მასიურ მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მეტად სერიოზულ ხასიათს ატარებს.

კლუბი ერთი უმძლავრესი იარაღია პარტიის გავლენის გასატარებლათ მუშათა მასაში და მისი აღზრდისათვის ლენინური პრინციპების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვენს მუშათა კლუბებს მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად აქვთ ნაკლიც, როგორც მუშაობის შინაარსის (ისინი ვერ ათანხმებენ პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს გონიერ დასვენებასა და მუშათა მასის მოთხოვნილებებთან), ისე ორგანიზაციული და სხვ. მხრით.

ამიტომ რაიოკომებმა, კერძოდ აგიტპროპებმა, უჯრედების ბიუროებმა და აგიტპროპკომისიებმა მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ კლუბების გამგეობათა გადარჩევას.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა გადარჩევის კამპანიის დროს უნდა იყოს შემოწმება კლუბის მუშაობის პოლიტიკური შინაარსისა, მასიური მუშაობის დაყენებისა და საერთო-პოლიტიკური საკითხების დაკავშირებისა მუშათა მასის მოთხოვნილებებთან და ადგილობრივ პირობებთან.

ამ თვითშემოწმების საქმეში აუცილებლად უნდა იქმნან ჩაბმული მუშათა ფართო მასები, ზედმიწევნით უნდა იქმნან გათვალისწინებული და ცხოვრებაში გატარებული ამ ფართო მასების პრაქტიკული წინადადებანი.

ამასთანავე, არა ნაკლებ დიდი მნიშვნელობის ამოცანაა კლუბის ხელმძღვანელთა შემადგენლობის თვისობრივი შერჩევა. თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ გამგეობაში უფრო იქმნან ჩაბმული ისინი, რომელნიც ცნობილი არიან წინანდელი მუშაობით და ის უპარტიო მუშები, რომელთაც სურთ მუშაობა.

ამავე მიზნით აუცილებელია, რომ გამგეობის წევრებს ჩამოცილდეს სხვა სამუშაო და ეს მუშაობა პარტიულთათვის ცნობილ იქმნას პარტიულ მოვალეობის ასრულებად.

გადარჩევის კამპანიაში ჩაბმულ უნდა იქმნან მუშათა ფართო მასები, პარტიის წევრთა აქტიური მონაწილეობის მიღებით.

საარჩევნო კრებათა უფრო ცხოვლად ჩატარების მიზნით, კლუბის გამგეობის ფრაქციის მოხსენება მოსმენილ უნდა იქმნას პარტიის უჯრედების ბიუროს, კომკავშირის და ფაბქარხკომების გაერთიანებულ სხდომაზე, გამგეობის საერთო მოხსენება კი გადატანილ უნდა იქმნას უშუალოდ კლუბის წევრთა საერთო კრებაზე.

კედლის გაზეთებში აუცილებელია ფართო კამპანიის ჩატარება გადარჩევაში მონაწილეობის მიღებისათვის.

კლუბები უნდა დაუახლოვდენ მასების მოთხოვნილებებს—ამ ლოზუნგით უნდა ჩატარდეს გადარჩევის კამპანია.

გადარჩევის შედეგები, მიღწეული წარმატებანი და ნაკლი უნდა გაითვალისწინონ რაიკომებმა შემდგომი მუშაობისათვის.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

სააგიტ.-საპროპაგ. განყ. გამგის მოადგილე **პაპავა.**

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

უპარტიოთა კონფერენცია

ქუთაისი, 21 სექტემბერი. დამთავრდა უპარტიო მუშათა ფართო საქალაქო კონფერენცია. მოსმენილ იქმნა მოხსენებანი: საქართველოს კომპარტიის ცეკას წარმომადგენლის ამხ. ურუშაძის—კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ, საქ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მდივნის ამხ. ფანცხავასი—საქართველოს პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლისა.

წვიმები ფოთში

ფოთი, 21 სექტემბერი. უკანასკნელ დღეებში ძლიერი წვიმებია. ზღვაზე ნისლია. სამგზავრო გემები რამოდენიმე საათით იგვიანებენ.

საოლქო სასამართლოს სესია

ახალსენაკი, 21 სექტემბერი. ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ. სესია შეუდგება ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის ყოფილი წევრის ნ. ადამიას საქმის გარჩევას, რომელმაც შარშან ამხანაგობის ფული 1.920 მან.— დაჰკარგა.

ბიბლიოთეკის კურსები

ფოთი, 21 სექტემბერი. იმის გამო, რომ მეტად საჭიროა კვალიფიციური ბიბლიოთეკარები, პროფბიურომ გახსნა უფასო თვენახევრის კურსები პროფკავშირთა წევრებისა და მათი ოჯახებისათვის, სულ 35 მსმენელისათვის.

მოჯამაგირენი

ოზურგეთი, 21 სექტემბერი. 15 სექტემბრისათვის გურიაში სულ აღრიცხვაზე იყო აყვანილი მხოლოდ 99 მოჯამაგირე, მათ შორის 11 ქალი. ამათგან კავშირში შედის 22 კაცი. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მოჯამაგირეებს შორის სუსტად არის დაყენებული. მთელ მაზრაში მხოლოდ ერთი სკოლაა. მოჯამაგირეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა. ამ სკოლამ თავის არსებობის განმავლობაში გამოუშვა მხოლოდ 12 კაცი. მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისა და მოჯამაგირეთა დანარჩენი ნაწილის აღრიცხვაზე აყვანისათვის მაზრაში გაიმგზავრა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის სამაზრო განყოფილების თავმჯდომარე.

წვიმები

ოზურგეთი, 21 სექტემბერი. ძლიერი წვიმებიდან ადიდდა მდინარე ბუჟუჯი და წაიღო ხიდი, რომელიც აკავშირებდა ლიხაურის რაიონს ქალაქთან. ძლიერ დაზიანდა ჯერ კიდევ აუღებელი სიმინდის ყანები.

სოფლებიდან პროდუქტების შეტანა ოზურგეთში შესწყდა.

მახლობელ მთებზე, ბახმაროს მწვერვალი დაფარულია თოვლით. ტემპერატურა ძლიერ დაბ-

სამაზრო ბიუჯეტი

ახალსენაკი, 21 სექტემბერი. სამაზრო ბიუჯეტი დამტკიცებულია 890.591 მან. რაოდენობით. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გათანასწორებულია გასავლის ნაწილთან 188.000 მან. სახელმწიფო დოტაციის შეტანით.

მოხალისეთა სახანძრო რაზმები

ოზურგეთი, 21 სექტემბერი. შარშან ოქტომბერს ოზურგეთში 40 კაცისაგან შემდგარი მოხალისეთა სახანძრო რაზმი თავის მოღვაწეობას ავრცელებს პერეფერიებშიც.

დაიწყო მოხალისეთა სახანძრო რაზმების მოწყობა გურიის უფრო დასახლებულ პუნქტებში: ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხიდისთავში და სუფსაში. მუშაობას ხელმძღვანელობს სამაზრო ინსტრუქტორი.

ვენახების მავთულის მოთხოვნილება

თელავი, 21 სექტემბერი. კახეთში ვენახების აღდგენასთან დაკავშირებით დიდი მოთხოვნილებაა მავთულზე. მევენახეებს მავთული სჭირდებათ როგორც ვენახების შემოსალობავად, ისე ვაზის გასაკრავად.

საკრედიტო ამხანაგობებმა ცენტრის საშუალებით გაგზავნეს საგანგებო პირი მოსკოვში მავთულის შესაძენად.

ტყის სანერგე

თელავი, 21 სექტემბერი. სატყეო განყოფილება შეუდგა თელავიდან ორი ვერსის მოშორებით ფოთლოვან და წიწვიან ჯიშების ტყის სანერგის გაშენებას.

განზრახულია მოაშენონ თელა, რომლის ათასწლოვანი ხეივანიც არის პანკისის ხეობაში.

სკოლებში

თელავი, 21 სექტემბერი. დაიწყო მეცადინეობა ქალაქის და სოფლის ყველა სკოლებში. მიმდინარე წელს გაიხსნა 4 ახალი სკოლა, რომელთაგან 2 გლეხური ახალგაზრდობისაა (ნაფარეულში და ახმეტაში), ერთი დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო და ერთი საბავშო ბაღი.

ლიუქსემბურგი, 21 სექტემბერი. დაიწყო მეცადინეობა მაზრის ყველა სკოლებში.

წიგნის მაღაზია

ახალქალაქი, 21 სექტემბერი. სომხეთის სახელგამს ნება დართეს გახსნას ახალქალაქში წიგნის მაღაზია.

სახანძრო რაზმი

ახალქალაქი, 21 სექტემბერი. სამაზრო მილიციასთან დაარსდა მოხალისეთა სახანძრო რაზმი, რომელსაც გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მიღებული ყველა იარაღები.

საბჭოთა სასტუმრო

ახალქალაქი, 21 სექტემბერი. ქალაქში გაიხსნა პირველი საბჭოთა სასტუმრო, რომელიც ააგო კომუნალურმა მეურნეობამ. სასტუმროში არის კარგად მოწყობილი 9 ნომერი. აქამდე ჩამოსულ პირებს ღამის გასათევად ბინის ძებნა უხდებოდათ კერძო [illegible]

როგორ ვმუშაობთ

(ლანჩხუთი, გურია).

ლანჩხუთის კოოპერატივს ამჟამად გახსნილი აქვს შვიდი მაღაზია. მასვე აქვს ერთი სასადილო და ორი ფურნე. პირველ სექტემბრისათვის კოოპერატივში ირიცხებოდა 1206 წევრი, აქედან 1054 გლეხია, 23 ქალი, 136 საბჭოთა მოსამსახურე. ამ ხნისათვის შემოტანილი საპაიო უდრის 2.890 მ. აგვისტოს თვის განმავლობაში კოოპერატივმა შეიძინა 21.691—11 კაპ. საქონელი; საქონლის შეძენის წყაროები შემდეგია: ცეკავშირიდან 9.253 მ. 87 კ., სახელმწიფო ორგანოებიდან 9.526 მ. 53 კ., კერძო ფირმებიდან 2.715 მ. 20 კაპ. და სხვა კოოპ. ორგანიზაციებიდან 195 მ. 51 კაპ.

საქონლის შეძენის დროს გამგეობის მიერ დიდი ყურადღება ექცევა საგლეხო ასორტიმენტის შერჩევას, უმთავრესად ფართალს, მარილს, ნავთს, ფქვილს, და გალანტერეიას. ფასები, შედარებით კერძო ვაჭრობასთან დაბალია, ზედნადები ხარჯებიც ნორმალურია. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომლის მოგვარებას შეუძლია ხელი შეუწყოს კოოპერატივის საქმიანობის გარემოებას და მის ირგვლივ მშრომელთა ფართე მასის კიდევ უფრო დარაზმვას. სახეში გვაქვს გლეხკომის სავაჭროები. ლანჩხუთის კოოპერატივის სამოქმედო რაიონში: სახელდობრ აცანის თემში და თვით ლანჩხუთში გლეხკომს გახსნილი აქვს სავაჭრო, საიდანაც ჰყიდიან იმავე საქონელს, როგორც კოოპერატივი. უნდა ითქვას, რომ ლანჩხუთის კოოპერატივის გვერდში გლეხკომის მაღაზიის არსებობა ყოვლად მიზანშეუწონელია. გლეხკომის ვაჭრობა და ისიც იმავე საქონლით, რომლითაც ვაჭრობს კოოპერაცია დაუშვებელია. გლეხკომის მიზანია ხელი შეუწყოს კოოპერაციაში ულარიბეს გლეხობის წევრად გახდომას და საზოგადოთ კოოპერაციის იდეის გავრცელებას ფართო მასაში და არა საკუთარი სავაჭროს გახსნა და მით უმეტეს იქ, სადაც არსებობს კოოპერატივი. საჭიროა ეს მდგომარეობა გაითვალისწინოს ლანჩხუთის გლეხკომმა.

ვანი.

ხილის საშრობი ქარხანა

(სოფ. ტყვიავი, გორის მაზრა)

სოფ. ტყვიავში, გორის მაზრ., წარმოკავშირი შეუდგა ხილის საშრობის ქარხნისთვის საჭირო შენობის აგებას.

ქარხნის დროზე დაუმთავრებლობის გამო, გლეხობას არა აქვს საშუალება ხილი გააშროს და შეინახოს, რის გამო მუქთად აძლევენ ჩარჩებს.

ამავე დროს თვით წარმოკავშირიც მოკლებულია საშუალებას დაამზადოს ხილის მარაგი ზამთრისათვის. ქარხნის მოუწყობლობა დღემდე შეუძლებელი გახდა სათანადო თანხის უქონლობის გამო.

საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება, რომ ქარხანა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში, რათა გლეხებს ხილი არ გაუფუჭდეს და ამავე დროს აცდენ ჩარჩებს.

რ.

სოფლის ქრონიკა

— **ბეჩოს სოფლის** (სვანეთში) ახალგაზრდობის სკოლაში 19 სექტემბერს მოხდა სამეურნეო იარაღების საზეიმო გადაცემა მეორე ჯგუფში გადასულ მოწაფეთა მიერ პირველ ჯგუფის მოწაფეებზე. საზეიმო გადაცემას აუარებელი გლეხობა დაესწრო.

— **შორაპნის მაზრაში** ადგილების სივრცე უდრის 276.675 დესეტინას, აქედან მეურნეობა სწარმოებს 63 დესეტინაზე.

— **ვაზის სანერგე.** ზესტაფონის აგროპუნქტმა ვაზის სანერგე გააფართოვა 1260 კვად. საჟენამდე.

— **ხიდი.** ხობის წყალზე ჩხოროწყუს რაიონში (ზუგდიდის მაზრა) აგებენ ხიდს.

— **თემების გაუქმება.** სენაკის აღმასკომმა გააუქმა მაზრაში 5 თემი.

— **კეთილმოწყობა.** ქ. სენაკში რუსთველის ქუჩის მოსაწყობათ, სენაკის აღმასკომი იღებს ათი ათას მ. სესხათ.

— **სკოლა.** სირიათქეონის გლეხებმა ნებაყოფლობით დაიბეგრეს თავის ადგილობრივ შრომის სკოლის შესაკეთებლად.

— **დამბები.** სენაკის მაზრაში გეზათ-გუზუბის თემში შეუდგნენ მდ. ცხენის-წყალზე დამბების გაკეთებას.

— **მიწათმოწყობა.** მთელ შორაპნის მაზრაში მიწათმოწყობა სწარმოებს 275 სოფელში.

— **ტყე.** უკანასკნელი გამოკვლევებით შორაპნის მაზრაში ითვლება 70 ათასი დესეტინა ტყე.

— **ადგილობრივ მნიშვნელობის** ტყეებში შე-

წერილები

ერთი უდიერობის წინააღმდეგ

კოოპერატივი გლეხობის მიმზიდველი ცენტრი უნდა იყვეს სოფლად. ის უნდა იპყრობდეს მოსახლეობის ყურადღებას არა მარტო იაფი საქონლით, არამედ კეთილსინდისიერი ვაჭრობით და მყიდველისადმი თავაზიანი მოპყრობით.

ნამდვილათ კი ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა გლეხები უკმაყოფილო არიან კოოპერატივზე, ეს უკმაყოფილება ხშირად სრულიად სამართლიანია, თავი დავანებოთ გაფლანგვებს და გაქურდვას, რაც კოოპერატივის პრესტიჟისათვის მომაკვდინებელი სენია. ჩვეულებრივ ზრდილობაზე, მყიდველისადმი უბრალო თავაზიანობით მოპყრობაზეც კი ზოგჯერ მწყრალად არიან ჩვენი კოოპერატივები.

განსაკუთრებით ცნობილია ამ მხრივ ზოგიერთი ნოქრები. უდიერი მოპყრობა მყიდველისადმი მათ ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული. უკმაყოფილება უმთავრესად იბადება საქონლის ამორჩევის ან ფასების გამოკითხვის დროს.

ნოქარს ეჯავრება ზედმეტი ხელის განძრევა, დგომა, მისვლა-მოსვლა და ზოგჯერ ენის განძრევაც კი. აღსანიშნავია, რომ რამდენად უდიერათ იქცევიან კოოპერატივის ზოგიერთი ნოქარი, იმდენადვე ლმობიერი და თავაზიანია კერძო ვაჭარი. მას მუშტრის დანახვაზე პირიდან „თაფლი“ გადმოსდის. მყიდველს ფეხქვეშ ეგება. ოღონდ ორი არშინი ჩითი გაჰყიდოს და ათ ნაჭერ ფართალს გამოალაგებს და წინ გადაუშლის.

რასაკვირველია, კოოპერატივის ნოქრისაგან არავინ მოითხოვს ისეთ თავის დამცირებას და მოქნილობას, როგორც ამას კერძო ვაჭრები სჩადიან თავიანთ თავის მიმართ. მაგრამ ჩვეულებრივი ზრდილობა და თავაზიანობა, ისე რომ ერთხელ მოსულ კაცს მეორეთ მოსვლა აღარ შეეზაროს კოოპერატივში, აუცილებელი და სავალდებულოც არის კოოპერატივის გამყიდველისათვის.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა კოოპერატივებმა. უნდა გვახსოვდეს, რომ კოოპერაციის ავტორიტეტის ზრდისათვის იაფ და კარგი ხარისხის საქონელთან ერთად არა-ნაკლებ საჭიროა მყიდველისადმი თავაზიანი მოპყრობა.

მედახლე.

ექსპედიცია მყინვარზე

ჩვენმა რედაქციამ საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამყინვარო ექსპედიციისაგან ყაზბეგიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„17 სექტემბერს 1 საათზე დარჩენილმა ნაწილმა, სამი კაცის შემადგენლობით, გამყოლების—**წიკლაურის** და **კაზალიკაშვილის** წინამძღოლობით, **ხელმეორედ მიაღწია მყინვარ წვერს.** ასვლა მოხდა დევდორა ხის ყინვარით. უკანასკნელი ღამის თევა—შევარდნის ბუდეში 3600 მეტრის სიმაღლეზე მეტეოროლოგიურ ბუდრუგანში. პირველ ასვლაზე დატოვებული იარაღები წესიერად დაგვხვდა. მიღებულია თერმოგრაფის ერთი კვირის ჩანაწერი. ექსპედიცია მწვერვალზე გაჩერდა **1 ს. და 15 წ.** მოხსნა თვითჩამწერი ხელსაწყოები, ხოლო; —75 მენაკიანი მინიმალური თერმომეტრი იქვე დასტოვა. დაბრუნებისას ფირნის ველზე ექსპედიციას მოუსწრო ქარბუქმა, რომელიც მეორე დღესაც გაგრძელდა; ღამე ექსპედიციამ კვლავ შევარდნილ ბუდეში გაათენა და 18 სექტემბრის ღამის 10 საათზე დაბრუნდა სტეფანწმინდაში. დაკისრებული სამუშაოები ექსპედიციამ ბრწყინვალედ შეასრულა და 20-ში გამოემგზავრება თბილისში.

ექსპედიციის ხელმძღვანელი **სიმონ ჯაფარიძე.**

გ-ნ ლიაზონის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი მოსკოვში ბ-ნი **ერიკ ლიაზონი,** რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

მე ვმოგზაურობ, როგორც კერძო პიროვნება და ამიტომ ამჟამად არ ძალმიძს დაწვრილებით გაგიზიაროთ საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებანი.

საერთოდ საბჭოთა კავშირში მე ბევრი რამ ღირსშესანიშნავი ვნახე. თქვენი ქვეყანა სამეურნეო აღორძინების გზაზეა დამდგარი.

თბილისში მე უკვე გავეცანი საფრანგეთის ახალშენების ყოფა-ცხოვრებას. ადგილობრივათ მცხოვრებ ფრანგების მდგომარეობის გაცნობამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მე გადმომცეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეპყრობა საზოგადოთ უცხოეთის მოქალაქეებს და კერძოთ კი საფრანგეთის მოქალაქეებს.

ამჟამად მე მივდივარ სპარსეთში, სადაც დაახლოვებით დავრჩები ერთ თვეს. შემდეგ გავემგზავრები პარიზში, რადგან ამ ხანებში განახლდება მუშაობა საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის, რომლის გენერალურ მდივნათ მე ვირიცხები.

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ დაინტერესებულია ამ მოლაპარაკების შედეგებით, და სრული იმედი მაქვს იმისა, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება.

დასასრულ ბ-ნ ლიაზონმა გამოსთქვა ღრმა რწმენა იმაში, რომ აღნიშნული კონფერენცია საფუძველს ჩაუყრის საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთ დამოკიდებულების განმტკიცების საქმეს.

ძირულის ხიდის გახსნა

კვირას, 19 სექტემბერს მოხდა ძირულის რკინის გზის ახალი ხიდის გახსნა.

შაბათს საღამოს ხიდის გახსნაზე თბილისიდან გაემგზავრა კომისია: გზათა-მიმოსვლის კომისარიატის ა.-კავკასიის რწმუნებულ ამხ. შ. ელიავას, ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ქ. ივანოვის, ა.-კ. რკ; გზების უფროს გამგეობის წევრ ინჟ. ბრ. ბერიძის, გზების სალიანდაგო განყოფილების უფროს ინჟ. გეგიძის და სხვათა შემადგენლობით.

გახსნის წინ კომისიის თანდასწრებით მოხდა ხიდის სტატიური გამოცდა, რაც წარმოებული იყო ორი მძლავრი სერიის ორთქლმავალით. გამოცდის დროს ხიდის თაღების გაღუნვა არ აღემატებოდა ერთ მილიმეტრს, რაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ხიდის გახსნას საზეიმო სახე მიეცა. ხიდის თავში გაბმული იყო წითელი ლენტი. ხიდთან თავი მოიყარა გამომცდელმა კომისიამ და სხვა დამსწრე პირებმა. ამხ. შ. ელიავამ, ინტერნაციონალის ჰიმნის ქვეშ გასჭრა ლენტი და ხიდი გახსნილად იქნა გამოცხადებული. პირველად ხიდზე გაიარა კომისიის მატარებელმა.

ხიდის გახსნის შემდეგ კომისია ამხ. ელიავას მეთაურობით გაემგზავრა ჭიათურის ხაზზე, რომელიც დეტალურად იქნა დათვალიერებული. კომისიამ უკან გამობრუნებისას, დაათვალიერა სურამის საუღელტეხილო უბანი და ბორჯომის შტო.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ახალი კურსები

ა.-კ. სახკომისართა საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის დადგენილება მოანგარიშეთა, ადმინისტრატორთა და საქმის მწარმოებელთა კურსების გახსნის შესახებ.

გენერალური ხელშეკრულება

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიმართა ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატს შეაჩეროს დროებით, ხელშეკრულების დადებამდე „პროდსილიკატის“ თბილისის განყოფილების ლიკვიდაცია. „პროდსილიკატთან“ ახლო ხანში დაიდება ხელშეკრულება ამიერ-კავკასიისათვის სხვადასხვა სილიკატების მოწოდების შესახებ.

სატარიფო თათბირის პრეზიდიუმი

ა.-კ. სახკომსაბჭომ რკ.-გზ. გამგეობასთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარეთ დაამტკიცა ამხ. **ივანოვი,** ხოლო მის მოადგილეთ—ამხ. **ასლანოვი.**

განთავისუფლება გადასახადისაგან

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კავკასიის წარმომადგენლობას მოსკოვში აღძრას საკითხი საბჭ. კავშ. უმაღლ. ორგანოების წინაშე, რათა შეტანილი იქნეს საქველმოქმედო ორგანოების სიაში ამიერ-კავკასიაში არსებული შემდეგი საზოგადოებები: საქართველოს წითელი ჯვარი, სომხეთის წითელი ჯვარი, აზერბეიჯანის წითელი მთვარე და სომხეთის დამხმარე კომიტეტი. აღნიშნულ საზოგადოებებს, თანახმად საბჭოთა კავშირის საბაჟო წესდებისა, ნება უნდა დაერთოთ უბაჟოთ შემოიტანონ საზღვარ-გარეთიდან შინაურ საჭიროების ნივთები.

აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცა ამიერ-კავკასიის ცაკს.

კალოშები

მიმდინარე წლის დამლევამდე,—1 იანვრამდე რეზინოტრესტის თბილისის განყოფილება მიიღებს 358,900 წყვილ კალოშს, რომელიც დაუნაწილდება საქართველოს, სომხეთს, სპარსეთს, აზერბეიჯანს და აღმოსავლეთ ოსმალეთს.

ამ რაოდენობიდან განყოფილების მიერ უკვე არის მიღებული 180 ათასი წყვილი, რომლებიც ამჟამად უნაწილდება კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

გენერალურ ხელშეკრულების ძალით, მთელი რაოდენობიდან კოოპერაცია მიიღებს 85,550 წყვილს, დანარჩენს განყოფილება მიაწოდებს სახელმწიფო და სხ. დაწესებულებებს.

გასულ წელთან შედარებით კალოშების შემოტანის საქმე 100 პროცენტით გადიდებულია.

„რემედასის კონგრესი“

ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის მოსკოვში მოწვეულია რემედასის ორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის წინასწარ ყველა ქვეყნებში ჩატარდება რემედასის ყრილობები, სადაც აირჩევენ კონგრესზე გასაგზავნ დელეგატებს. ეს კონგრესი იქნება პირველი საერთაშორისო კონგრესი რემედასის მუშაობის ისტორიაში.

ამ ხნისთვის საქართველოშიაც ჩატარდება სრ. სარესპუბლიკო ყრილობა.

კანაფი

გურიაში განზრახულია კანაფის კულტურის შემოღება უკვე მოხდენილ ცდების მიხედვით გურიაში მეტად დიდი მომავალი ექნება კანაფს: ცდები ჯერ-ჯერობით მიხდენილი იქნა ოზურგეთის, სუფსის და ლანჩხუთის რაიონებში. ცდებმა მეტად კარგი შედეგი გამოიღეს. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში კანაფი იზრდება 2-დან 4 არშინამდე, მეტად ღრმად უშვებს ფესვებს და სპობს სხვა სარეველა მავნე მცენარეებს.

სახელმწიფო ყოველი მხრივ შეუწყობს ხელს კანაფის მეურნეობას; გლეხებს მიეცემათ უფასოთ კანაფის საუკეთესო თესლი და ავანსი დესეტინაზე 75 მან. რაოდენობით.

გლეხები დიდათ დაინტერესდენ და შეუდგნენ კანაფის მეურნეობას.

ოქტომბერში შეუდგებიან ცდების სახით დათესილ კანაფის მოჭრას. ამავე თვეში შეუდგებიან მის ხელ-ახლად დათესვას.

აბრეშუმის ტრესტი

თანახმად უმაღ. ეკონომიურ საბჭოს დადგენილებისა, ს. მ. უ. ს-თან დაარსდა აბრეშუმის ტრესტი სახელწოდებით—„საქართველოს აბრეშუმი“.

ტრესტში გაერთიანებულია შემდეგი ორგანიზაციები: თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, თელავის, ხონის და ოზურგეთის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები და საზოგადოება „აბრეშუმი“.

ახალი ტრესტის მიზანია: ნახევარ ფაბრიკატების დამზადება და მათი ქსოვილებათ გადამუშავება, ნარჩენების გამოყენება, პარკის დამზადება და გასაღება, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის ბაზარზე, თუთის პლანტაციების მოწყობა და სხვა.

ტრესტის ცენტრად მიჩნეულია ქალ. ქუთაისი. ტრესტის მმართველათ დაინიშნა ამხ. შ. ჩხეიძე, რომელსაც ამავე დროს დაევალა შეადგინოს ტრესტის საწარმოო გეგმა, ორგანიზაციების სქემა, შტატები და წესდება.

ტრესტი მუშაობას დაიწყებს 1-ლ ოქტომბრიდან.

„მერკურის“ გამოფრენა თბილისისაკენ

როგორც ვიცით, ბერლინიდან მოსკოვში უკვე ჩამოფრინდა ჰაეროპლანების ცნობილი კონსტრუქტორი, მფრინავი **დორნიე.**

ის მოფრინდა საკუთარი სისტემის ჰაეროპლანით, რომელსაც „მერკური“ ეწოდება, მანქანა მთლიანად ლითონისაა, 600 ცხენის ძალიანი მოტორით და იტევს თავის მშვენიერ კაბინაში 10 მგზავრს.

ამ მანქანით დორნიემ ეხლახან სამოქალაქო ფრენოსნობის 6 რეკორდი დაადგინა მსოფლიო მასშტაბით.

ჩვენ მოკლე ცნობებით განვსაზღვრავთ ამ ჰაეროპლანის კონსტრუქციის აღწერას.

ეს მანქანა უკვე შეძენილია უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობის გამგეობის მიერ, როგორც საუკეთესო მანქანა სპეციალურ დანიშნულებისათვის.

გადიღებს თუ არა მთავარ კავკასიონის ქედზე თოვლი, (რომელიც ამჟამად იქ უხვად სცვივა) ხსენებული მანქანა გამოფრინდება მოსკოვიდან-თბილისისაკენ და მიზნათ აქვს დასახული გადალახოს ეს აუარებელი (2.000 კილომეტრიანი) მანძილი ერთი დღის განმავლობაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის ამ მოლოდინს გაამართლებს.

ჰაეროპლანზე იქნებიან უკრ. სამოქ. ფრენოსნობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. იუნგმეისტერი, პრესის წარმომადგენლები და კერძო მოგზაურებიც.

ამ გადმოფრენის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს საქმედელი დანიშნულება და არა უბრალო სპორტიული სასეირნო მიზანი.

სამოქ. ფრენოსნობის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, შეიძინოს რამოდენიმე ასეთივე მანქანები, როგორც საუკეთესო ჰაეროპლანები დიდი სიმაღლის მიღწევისათვის. მთავარი კავკასიონის მთების გადასაფრენად, სადაც განზრახულია მოეწყოს სამგზავრო ჰაეროპლანების ყოველდღიური მოძრაობა თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი მიმართულებით, კავკასიონის ქედით, როსტოვით და ხარკოვით ერთი დღის განმავლობაში, რაც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამ მიმართულებით მანძილი მცირდება ათასი კილომეტრით, ვიდრე გარშემო ფრენით.

ამ დიად გეგმას დიდათ თანაუგრძნობს საბჭოთა მთავრობა და ხელს უწყობს მას ჰაერი თავისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით.

თანამედროვე ჰაეროპლანების აღმშენებლობა იმდენად არის გაუმჯობესებული, რომ ის უკვე ფრიად საიმედო და მოხდენილი სამიმოსვლო საშუალებათ იქცა, ის შეიჭრა პრაქტიკულ ცხოვრებაში, მის საშუალებით კაცობრიობამ მიაღწია აუარებელ დროის ეკონომიას.

ჩვენ აქ არ შეუდგებით ფრენოსნობის ყველა დადებითი მხარეების აღნიშვნას, რაც თავის თავად იგულისხმება და მხოლოდ ვიტყვით, რომ ის შეუდარებელი სიამოვნება და იშვიათი შთაბეჭდილებანი, რომელთაც გრძნობს ადამიანი ფრენაში. თქვენ წინ და ყოველმხრივ იშლება ბუნების დიადი სხვადასხვაობა. რის მსგავს ადამიანი მიწაზე სიარულით ვერასოდეს ვერ დაინახავს.

მართალია, ფრენოსნობა ჯერ-ჯერობით არ არის დიდათ გავრცელებული, რის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მოგზაურობის სიძვირე. მაგრამ ჩვენ მალე გავხდებით მოწმენი, რომ ის ხელმისაწვდომი გახდება ყველასათვის. ფრენოსნობა ვითარდება უსწრაფესი ტემპით.

ამის საწინდარია ის თავდადებული მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ ფრენოსნობის მუშაკნი. ამ მუშაკთა შორის უპირველესი ადგილთაგანი უჭირავთ იმ ძვირფას სტუმრებს, რომელნიც დღეს ჩვენთან მოფრინდებიან.

ჩვენი მხურვალე სალამი საჰაერო ტეხნიკის უმაღლესი კულტურის მატარებელთ. კეთილი იყვეს მათი საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში ჩამოფრენა.

მფრინავი. **ბეს. ქებურია.**

„ინდო“

კონცესიონერები დათმობაზე მიდიან

გუშინ, საღამოთი მოსკოვიდან მიღებული ცნობებით, ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზის რწმუნებულმა მოსკოვში კენინგამმა 18 სექტემბერს ინახულა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც განუცხადა, რომ ამ დღეებში გადასცემს მათ „ინდოს“ მთავარი ადმინისტრაციის ლონდონში ოფიციალურ პასუხს—კავშირის ცეკას წინადადებებზე გაფიცვის შესახებ.

ამავე დროს მოსკოვიდან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ კენინგამმა მიმართა ცენტრალურ კომიტეტს დაიწყონ გაფიცვის შესაწყვეტი მუშაობა.

როგორც კენინგამის განცხადებიდან სჩანს კონცესიონერები დათმობაზე მიდიან. ფიქრობენ, რომ ამ კვირის ბოლოს მოლაპარაკება დასრულდება და გაფიცვაც შეწყდება.

რაც შეეხება ცეკას მოთხოვნილებებს უკანასკნელი მოლაპარაკების დროს, ლონდონი თანხმობას აცხადებს კოლექტიური ხელშეკრულების ყველა პუნქტებზე, გარდა პატარა სადგურების მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების 20 პროცენტით მომატებისა. „ინდოს“ მთავარი ადმინისტრაცია თანხმობას აცხადებს მხოლოდ ზოგიერთ სადგურების თანამშრომლებისათვის სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ. ამას გარდა, კენინგამმა „ინდოს“ მთავარი ადმინისტრაციის სახელით მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 5 წლამდე.

გუშინ, საღამოთი მიღებულ ცნობით, კონცესიონერებმა თანხმობა განაცხადეს 20 პროც. ნაწილობრივად მომატების საკითხში.

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტში დღეს მიიღებენ დაწვრილებით ცნობებს.

კრედიტების განაწილება

ა.-კ. 1925-26 წლის ბიუჯეტით კოოპერაციის საშუალებათა გასაძლიერებლად გათვალისწინებული თანხიდან, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის გადადებული თანხა 126 ათასი მანეთი განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: 100.000 მან. გადაეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ახალ ცენტრს „სოფლის კავშირი“-ს საორგანიზაციო ბიუროს. ხოლო დანარჩენი 26 ათასი მან. „სოფლის კავშირი“-ს მიერ წარმოდგენილ სიის თანახმად განაწილდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ქსელის ძირითად ერთეულების შორის შემდეგნაირად: სას.-სამ. ამხან. „მეურნე“-ს 1.500 მან., სას.-სამ. საკრ. ამხ. „სიმართლე“-ს 2.500 მან., ამხ. „საქაშეთ“-ს—2.000 მან., სას.-სამ. საკრ. ამხ. ქ. გორში—1.000 მან. საკრ. ამხ. ტობანიერში—2.000 მან. საკრ. ამხ. „შრომის ნაყოფი“-ს სიმონეთში—2.000 მან. საკრ. ამხ. ს. კოკში—2.000 მან., საკრ. ამხ. ყარაიაზში—1.800 მან., საკრ. ამხ. ს. ფახულანში—1.000 მან., ამხანაგობა „ახალი ცხოვრება“-ს 1.000 მან., ამხ. „ლიმონი“-ს—500 მან., მეფუტკრეთა ამხ. „მედიუს“-ს—2.000 მან., ამხ. „კრესტიანინ“-ს—500 მან., ვ. სტურუას სახელობის არტელს ს. საგარეჯოში—500 მან., მერძევეთა არტელს—2.500 მან.

ავტო გადარბენის გადადება

როგორც მკითხველებმა იციან, ადგილობრივ ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველოს განზრახული ჰქონდა მოეწყო ავტო-გადარბენა თბილის-ერევანს შორის. გადარბენა უნდა მოწყობილიყო იმ მიზნით, რათა გამოეკვლიათ ჩვენში ამჟამად ხმარებულ ავტო მანქანების ვარგისობა ამიერ-კავკასიის გზა-ტკეცილებზე. ავტო-გადარბენის მოწყობა განზრახული იყო ამ კვირას. გადარბენაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჩვენში ხმარებულ სხვადასხვა ფირმების ავტო მანქანებს.

ცუდი ამინდებისა და საორგანიზაციო მუშაობის შეფერხების გამო, ადგილობრივ ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველომ დაადგინა გადასდოს ავტო-გადარბენის მოწყობა.

თამბაქოს მოწევის აკრძალვა

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დაამუშავა სავალდებულო დადგენილების პროექტი საზოგადოებრივ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და სახელოსნოებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ.

თანახმად ამ დადგენილებისა, თამბაქოს მოწევა იკრძალება ისეთ დახურულ შენობაში, სადაც სწარმოებს მუშაობა ან იმართება თათბირი სხდომის დროს და სხვა.

საზოგადოებრივ შესაკრებ ადგილებზე უნდა გაკეთდეს სპეციალურად თამბაქოს მოსაწევი ოთახი, ხოლო სადაც ასეთი არ არის—იქ თამბაქოს მოწევა ჩაითვლება სავალდებულო დადგენილების დარღვევათ.

წარმოება-დაწესებულებებში თამბაქოს მოწევა ეკრძალება გარეშე მომსვლელებს.

რკინის გზებზე

დაჯახება აცილებულ იქნა

18 სექტემბერს სადგ. ცივ-წყაროს მესამე დაკავებულ ხაზზე შეცდომით მიღებულ იქნა მატარებელი. ეს შეცდომა შემჩნეულ იქნა იმ დროს, როდესაც მატარებელმა უკვე გამოიარა სემაფორი. მიღებულ ზომებით, მატარებელი გააჩერეს და დაჯახება აცილებულ იქნა.

ორთქლმავლის გადავარდნა

18 სექტემბერს დილით, სადგ. გომში მიმოროინების დროს ისარზე ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი. ლიანდაგი და მატარებლის შემადგენლობა არ დაზიანებულა. ორთქლმავალი ამოიღეს საკუთარი ძალებით. ამ შემთხვევამ გამოიწვია მატარებლების დაკავება გომში და აგარაში 1 საათით და 25 წუთით.

ვაგონის გადავარდნა

18 სექტემბერს ნავთლუღის საბარგო სადგურიდან ვაგონების გამოყვანის დროს, ისარზე ლიანდაგს ასცდა ერთი ვაგონი, რომელიც ამოიღეს ერთ საათში.

მოძრაობა არ შეჩერებულა.

მატარებლის დამტვრევა

19 სექტემბერს სადგ. განჯიდან ცისტერნებისაგან შემდგარ მატარებლის გაშვების დროს, ისარზე ლიანდაგს ასცდა წინა ორთქლმავალი, ხოლო უკან მომწოლი წაიქცა გვერდზე. დაიმტვრა 4 პატარა ცისტერნა და დაზიანდა—ცხრა. დამტვრეულ ცისტერნებიდან, ნავთი გადაქაჩეს სხვა ცისტერნებში. პირველ და მეორე ხაზების გარდა განჯის მხრივ ყველა ხაზები დაიკეტა. განჯიდან გამოიწვიეს დამხმარე მატარებელი და ლიანდაგები გასწმინდეს.

მატარებლების გაწყვეტა

18 სექტემბერს განჯაში, სადგურში შემოსვლის დროს, გაწყდა მატარებელი. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

— 19 სექტემბერს მატარებლის გაწყვეტა მოხდა ავჭალა-თბილისის შუა.

— მესამე შემთხვევა მატარებლის გაწყვეტისა მოხდა ამავე დღეს კარაბუჯახ-კიურდამირის შორის.

— 20 სექტემბერს მატარებელი გაწყდა მარელის-ხარაგოულის შუა, რამაც გამოიწვია საფოსტო მატარებელ № 4 დაკავება მარელისში 1 საათით.

ორთქლმავლების გადავარდნა

20 სექტემბერს სადგ. აჯიკაბულში ისარზე ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი, რომელიც ამოიღეს 4 საათის და 35 წუთის შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში დაკავებული იყო მეორე ხაზი. შემთხვევამ გამოიწვია მატარებლების დაკავება სადგ. მუღანში და აჯიკაბულში

— ორთქმავლის გადავარდნის შემთხვევას ადგილი ჰქონდა აგრეთვე 21 სექტემბერს სადგ. სამტრედიაში. უკანასკნელს მოძრაობა არ შეუფერხებია.

მუშათა ცხოვრება

დროა იფიქროთ საიარაღო საგამცემლოზე

ეხლანდელი ცენტრალური იარაღის გასაცემი შენობა რკ.-გზის მთავარ სახელოსნოებში, როგორც გარედ, ისე შიგნით, არ შეეფერება თავის დანიშნულებას. ის ყოველ მხრივ საზიანოა, როგორც შიგ მომუშავეების ჯანმრთელობისათვის ისე, წარმოებისათვის და აი რატომ: თვით საიარაღო საგამცემლოს შენობა, რომელიც ემსახურება სახელოსნოების 11 საამქროს, ადგილობრივ რკ.-გზის ყველა დაწესებულებებს და მთელ რკ.-გზის ხაზს ა.-კ. მასშტაბით, წარმოადგენს ერთ გრძელ ბნელ და ვიწრო ხის შენობას, სადაც აწყვია აუარებელი სხვადასხვა საჭირო იარაღები.

აქვე შენობის ერთ ადგილას მოთავსებულია პატარა კანტორა, სადაც სწარმოებს ყოველგვარი იარაღის ოპერაცია.

დღე, როდესაც მზის სხივები უხვად ათბობს და ყოველი მუშა-ხელოსანი შეექცევა შრომას. აქ ამ საიარაღოში კი მუშებს უხდებათ სიბნელესთან ბრძოლა, ლამპის სინათლეზე იარაღის გარჩევა, მისი მუშებზე გაცემა და მოწესრიგება, რაც ძლიერ ცუდად მოქმედობს მათ თვალებზე. საიარაღოში რამოდენიმე საათით ლამპის სინათლეზე მომუშავე მუშა გადის გარედ, დღის სინათლეზე და იბნევა. მას სალად ვერ გამოუხედია დაზიანებული თვალებით. ბევრჯერ შესჩივლებენ ერთმანეთს მუშები: „კაცო, დღეს რაღაც თავბრუ მესხმის“-ო.

სიბნელეს ზედ ერთვის სიცივე და საშინელი ჰქა-ხმაურობა იქვე მდებარე საქვაბო საამქროდან, მომსვლელი ხალხის ვანუწყვეტლივი ყვირილი, რომ ნორმალურად ილაპარაკონ, ვერას ვაიგებ-რა.

რუსეთის და საზღვარ-გარეთ ქარხნებში ცენტრალური საიარაღო მოთავსებულია საგანგებოდ არჩეულ მყუდრო და ჩუმ ადგილზე, სადაც არავითარი ხმაურობა არ აღწევს. თვით შენობა-კი საგანგებოდ აშენებულია და დახურულია მიწის სახურავით. ირგვლივ ნახევარზე მინის კედლებია შემოვლებული. ასე რომ შიგნით ღიოსავით სინათლეა. მოწყობილია ყველა იარაღებისათვის ცალკე თაღები სათანადო წარწერით. აქ კი თუმცა თაღები არის, მაგრამ სიბნელეში ადამიანი მაინც ვერაფერს არჩევს.

ეხლა კი ახალი საავტოვენო განყოფილების აშენების შემდეგ საიარაღო საგამცემლოს ეძლევა საშუალება გადატანის თუ არა, გაფართოვების მაინც, რომ ის სათანადოდ მოეწყოს. თუ კი ადმინისტრაცია ამას მოისურვებს და იზრუნებს ამაზე. ძველი საავტოვენო განყოფილების შენობა საიარაღოზედაა მიკრული. როგორც ვიცით, ადმინისტრაციას ეს შენობა სულ სხვა მიზნისათვის დაუსახევს. ასეთ პირობებში მუშაობა, როგორც ეს რკ.-გზის მთავ.-სახელოსნოების საიარაღოში მიმდინარეობს, პირდაპირ მავნებელია მუშებისათვის. ისინი კი ნახევრად სინათლე დაკარგულნი და დაავადებულნი ვანაგრძობენ იმ მავნე შრომას, რომელიც ბედს მოუნიჭებია მათთვის.

ჩვენი მთავრობა აუარებელ თანხებს იღებს მუშების ჯანმრთელობისათვის და მათი კეთილდღეობისათვის, ვინაიდან მუშის საღ ჯანზე არის დამოკიდებული სახელმწიფოს წარმოების პროგრესი. ამიტომ დროა სახელოსნოების ადმინისტრაციამ მოიფიქროს აღნიშნულ საიარაღოს სათანადოდ მოწყობისათვის.

შრომის ინსპექცია უნდა დაინტერესდეს ამ საკითხში და საწარმოო უჯრედების კრებებზე და საერთოდ სახელოსნოების თათბირებზე უნდა დაისვას საიარაღოს გაუმჯობესების საკითხი.

ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საიარაღო წარმოადგენს უმთავრეს საწარმოო განძს ა.-კ. რკ.-გზებზე.

ნ. ჯა—ვა.

წარმოდგენა მუშებისათვის

17 აგვისტოს ტრამვაის მუშათა კლუბში ღია ცის ქვეშ ადგილობრივმა ქართულმა დრამწრემ ამხ. ალ. ბადრიძის ხელმძღვანელობით დადგა შალვა დადიანის 3 მოქმედებიანი დრამა „გეგეჭკორი“.

წარმოდგენას აუარებელი მუშა-მოსამსახურე დაესწრო თავიანთ ოჯახობით.

მოთამაშეთ ეტყობოდათ მომზადება, რაც ხელმძღვანელის შრომას უნდა მიეწეროს.

პიესის მსვლელობის დროს დაცული იყო საუცხოვო წესრიგი, რაც უთუოდ გამგეობის უნარს უნდა მიეწეროს.

პიესა საუცხოვოდ ჩატარდა. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ზოგიერთის თამაშმა.

პიესაში მონაწილეობდა მთელი დასი.

საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა ღამის 12 საათზე.

მუშკორი **ს. ხოჯაევი.**

აბასთუმნის მესამე ამბულატორიაში

მე ვიყავი ძალიან მძიმე ავადმყოფი, სიარული არ შემეძლო. ძალზე დასუსტებული და სიკვდილის კარზე მიმდგარი, ვიქენ გადაგზავნილი აბასთუმანში მე-3 სანატორიუმში 15 ივნისიდან.

სანატორიუმი დაგვხდა სრულიად მოუწყობელი, მაგრამ მოწყობილი და გამშვენიერებული იქნა ერთი კვირის განმავლობაში.

სანატორიუმი იტევს 30 ავადმყოფს (ორი ორია თითო ოთახში), მზე უხვად შედის შიგ.

მთავარ ექიმს უხდებოდა ზედმეტი ავადმყოფების მიღება.

ავადმყოფებს შორის იყვნენ მძიმე ავადმყოფებიც მუშები და მოსამსახურენი. ამ სამი თვის განმავლობაში მთავარი ექიმი მჭედლიძე არ ზოგავდა თავისი ცოდნას და ენერგიას; ყოველთვის ავადმყოფებთან მდგომი, ამხნევებდა იგი მათ სულიერად, აძლევდა მათ ჰიგიენურ რჩევა-დარიგებას. თვალყურს ადევნებდა როგორც ექიმი, ისე სამეო ნაწილის გამგე სასმელ-საჭმლის გაუმჯობესებას, სისუფთავეს, სანატორიუმის რეჟიმის დაცვას. ხშირად ათვალიერებდა ავადმყოფებს ღამ-ღამობით.

თავის დროზე ეძლეოდათ ავადმყოფებს წამლით დახმარება, მზის და წყლის აბაზანები.

თვით მოპყრობა ექიმისა და თანამშრომლების მეტის მეტად ამხანაგურია, მით უმეტეს ექიმის ტკბილი რჩევა - დარიგება, ასულდგმულებს ავადმყოფს.

უნდა ითქვას, რომ კარგად არის დაყენებული საღი სანოვაგის მიწოდება.

საჭმელი საუკეთესოდ მზადდება, რისთვისაც შერჩეულია კარგი გამოცდილი მზარეულები, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ საღ საჭმელის დამზადებას.

ამ სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა უკმაყოფილება გამოთქმული ავადმყოფების მიერ საჭმელის შესახებ.

მთავარი ექიმი მჭედლიძე ყველას თვითეულად ეუბნება რა აკლიათ, რა ესიამოვნებათ და აძლევს მათ დამატებით როგორც პირველს, ისე მეორესა და მესამეს.

ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ ბევრი ავადმყოფების საგრძნობლად გაუმჯობესებას, მათ შორის განიკურნენ მეც.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ეს სანატორიუმი ასეთი ენერგიული თანამშრომლებით კვლავ ბევრ ავადმყოფებს განკურნავს.

ძველი მუშა.

ძაფის სართავ და შალის საქსოვ ქარხანაში

წარმოება

მთელი ჩვენი შემოსვის საკითხის მოწესრიგება და უზრუნველყოფა დამყარებულია საქართველოს ძაფის სართავ და სხვადასხვა ტილო-შალების საქსოვ—ქარხნებზე. ასეთი ქარხანა თხოულობს დიდ ყურადღებას, რადგანაც ჩვენ მას ახალად ვაწყობთ. ყოველთვის ახალ დაწყებულ საქმეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ იგი ფეხზე მაგრად დადგეს და შრომამ ნაყოფი გამოიღოს.

ზეთისა და საპნის სადუღებელ ქარხანაში არის მოწყობილი ძაფის სართავი და შალების საქსოვი ქარხანაც. ამ ქარხნის ნაწარმოებზე დიდი მოთხოვნილება გვაქვს. აქ მზადდება სხვადასხვა ფერადი შალები, რომელიც არ განსხვავდება დიდათ მოსკოვში დამზადებულ შალისაგან. წარსულში ამ ქარხნის წარმოება ვერ მიმდინარეობდა ისე, როგორც ეხლა. მას ელობებოდა წინ მანქანების უვარგისობა, ნედლი მასალების სიმცირე და სხვა.

მაგრამ აქაც ჩატარდა მომჭირნეობის რეჟიმი, შემცირდა ზედმეტი ხარჯები, გაუმჯობესდა ტეხნიკური მხარეები და იმატა დამზადებულმა პროდუქციამ—როგორც რაოდენობით, ისე ხარისხითაც და რა თქმა უნდა წარმოების წარმატება აუმჯობესებს მუშების ყოფა-ცხოვრებასაც.

ივნისში ძაფის სართავ ქარხნამ დაამზადა,—524 ფუთი ძაფი (ღირებული, 27.855 მანეთისა).

ივლისში კი—106 ფუთი ღირებული 6.609 მანეთისა).

დახვეული ძაფი დაამზადა **110 ფუთი** (ღირებული **7.179** მანეთისა).

შალის საქსოვ ქრხანამ კი დაამზადა — **ივნისში 8.669 მეტრი შალი** (ღირებული **25.425** მანეთი), **ივლისში 3.494 მეტრი** ფერადი შალი.

ყველა დამზადებულ შალებზე მოთხოვნილება დიდია.

მუშა — ვარდენ.

პროფკავშირებში

სასოფლო-მეურნეობის და პროლეტარიატის კავშირი

(საქართველოს მიწა-ტყის კავშირის კონფერენციის გამო)

გუშინ გაიხსნა საქართველოს სასოფლო მეურნეობის და ხე-ტყის მუშების კავშირის კონფერენცია.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დაქირავებით ჩაბმულ მუშების, მოჯამაგირეების, მწყემსების, საბჭოთა მამულების და ხე-ტყის დამამზადებელ ოპერაციის პუნქტებში ჩაბმულ მუშების და მასთან სოფლის მეურნეობის რაციონალურად განვითარების მუშაკნი სპეცები.—აგრონომების, მიწისმზომლების და მეტყევეების პროფკავშირში დარაზმვა ახალი საქმეა. საქართველოში იგი დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. მიუხედავად ამისა, ამჟამად მიწა-ტყის კავშირი ერთ-ერთი უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი პროფორგანიზაციაა საქართველოს პროფმოძრაობაში.

რა გაკეთდა დღევანდლამდე ამ კავშირში?

საორგანიზაციო მუშაობა

პირველი მიღწევა, რომელიც ყველაზე უფრო თვალსაჩინო და აშკარა, ეს არის კავშირის რიცხობრივი ზრდა. თუ გასულ წლის ნოემბერში (კავშირის მე-5 ყრილობისათვის) კავშირი თავის რიგებში ითვლიდა 7.662 წევრს, ეხლა მათი რიცხვი 16.378 აღწევს.

კავშირის ზრდის მაჩვენებელია ისიც, რომ კავშირის ქვედა ორგანიზაციების რიცხვი უდრის 79. ამჟამად არ არის საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც დაქირავებულ შრომის გამოყენებას აქვს ადგილი, რომ არ იყოს კავშირის პროფუჯრედი.

კავშირის ასეთი ზრდა და მასებთან ახლოს მისვლა უეჭველად დიდი საქმეა. რადგან უცხო ელემენტების კავშირში შემოსვლას ადგილი ჰქონდა (ბორჯომის ხე-ტყის დამამზადებელ პუნქტებში მიღებული იყო ხეზე მომუშავეებად ისეთი გლეხები, რომელთა არსებობის ძირითად წყაროს დაქირავება არ წარმოადგენდა). ამიტომ კავშირმა თავის შემადგენლობის გასაწმენდათ მიიღო ზომები.

სატარიფო-საეკონომიო დარგში

მუშა-მოჯამაგირეთა შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეც წინ არის წაწეული: დადებულია 5.115 შრომის ხელშეკრულება 8065 მოჯამაგირეებისათვის და 132 კოლექტიური ხელშეკრულება კავშირის დანარჩენ წევრებისათვის. კოლხელშეკრულებით მუშების საშუალო ხელფასი უდრის 39 მან. 50 კაპ. ნაცვლად გასული წლის 37 მან. 57 კაპ. მოჯამაგირეების შრომის პირობები და ხელფასი გაუმჯობესებულია.

შრომის დაცვა

სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორების რიცხვი და ზედამხედველობაც გაძლიერებულია. ერთის ნაცვლად ეხლა საქართველოში 5 სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორია.

მოჯამაგირეობის შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხში ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს უნდა გაეწიოს ჯეროვანი ანგარიში.

მოჯამაგირეს ქირაობს როგორც „კულაკი“, ისე საშუალო გლეხიც. როდესაც კულაკთან იდება ხელშეკრულება, საკითხი უფრო მარტივი და აშკარა არის. კულაკი მოჯამაგირის კლასიური მტერია. აქ მოურიგებლად და დაბეჯითებით უნდა ვცდილობდეთ მოჯამაგირის შრომის პირობების გაუმჯობესებას. მოჯამაგირე რამდენადაც გაიუმჯობესებს ასეთ დამქირავებელთან მდგომარეობას, იმდენად შეზღუდავს მისი (კულაკის) ექსპლოატაციის გაფართოებას.

საშუალო გლეხი, როგორც ამაზე მე-14 პარტყრილობის რეზოლიუცია ამბობს: „თუ ღარიბი გლეხი, პირველ ყოვლისა მოჯამაგირე, წარმოადგენს პროლეტარიატის დასაყრდენს სოფლად, საშუალო გლეხი არის და უნდა დარჩეს კიდეც მის მოკავშირეთ“.

მაშასადამე სოფლად პროლეტარიატის დასაყრდენს და გლეხურ მასაზე პროლეტარულ გავლენის გამტარებელს, მოჯამაგირეობას, არ შეუძლია პროლეტარიატის მოკავშირე, საშუალო გლეხის წინაშე წარადგინოს მოთხოვნილება ისე გადაჭრით, როგორც პროლეტარიატი მოპირდაპირე „კულაკობის“ წინაშე.

ამ მომენტს კავშირის მიერ ეწეოდა სათანადო ყურადღება და ამ მხრივ არავითარ უკანონო გადახრას კავშირში ადგილი არ ჰქონია.

მოჯამაგირეთა ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში

საგულისხმოა მოჯამაგირეობის საზოგადოებრივი მართვა - გამგეობის და ორგანიზაციებში ჩაბმის საკითხიც. გასულ წელთან შედარებით ამ მხრივაც არის წარმატება. წელს სოფლის საბჭოში გაყვანილია 180 მოჯამაგირე, გასულ წელში იყო—75 მოჯამაგირე, კოოპერატიულ ორგანიზაციებში მუშაობს 59 მოჯამაგირე, გასულ წელში იყო 38, გლეხთა კომიტეტებში გაყვანილია 159 მოჯამაგირე, გასულ წელში იყო 36 მოჯამაგირე. აქ დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ, როგორც კ. პ. პლენუმმა აღნიშნა, ეს არ არის საკმარისი და ამ მიმართულებით საჭიროა უფრო მეტი ნაბიჯების გადადგმა.

მაგრამ მოჯამაგირეობის ჩამორჩენილობა კლასიური თვითგაცნობიერების დაბალი დონე და უმრავლესობის მიერ წერა-კითხვის არ ცოდნა აქ უდიდესი დაბრკოლებაა მათ შორის მუშაობის წარმატებით გაწევისათვის. ამ მხრივ კავშირს აქვს ენერგიული ნაბიჯები გადადგმული. დაარსებულია პროფ-წრეები, მოჯამაგირის კუთხეები, იმართება საუბრები, ლიკპუნქტებში 1926 წელში გატარებულია 557 მოჯამაგირე, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მარტო კავშირი აქ ვერაფერს გახდება. მას უნდა დაეხმარონ ხელისუფლება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ვინაიდან მიწა-ტყის კავშირის მუშაობას, სოფლად დაქირავებული მუშების ორგანიზაციას არა მარტო სპეციფიური „პროფესიონალური“ მნიშვნელობა აქვს, არამედ მას ენიჭება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც.

ეს უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებმა და მათ მხრივ მეტი ყურადღებაა საჭირო. მოჯამაგირეობის ძალიან მცირე პროცენტია პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციებში ჩაბმული. შემჩნეულია, რომ პარტიის ან კომკავშირის წევრები მოჯამაგირენი არ არიან მიწა-ტყის კავშირის წევრნი.

მომავალში ყველა ეს საჭირბოროტო საკითხები უნდა მოვაგვაროთ მთლიანად.

შ. პატარაია.

მიწა-ტყის კავშირის მუშაკთა კონფერენცია

გუშინ პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს მიწა-ტყის კავშირის მუშაკთა კონფერენცია. კონფერენციაზე დასასწრებლათ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ ოთხმოცზე მეტი დელეგატი.

დღის წესრიგის მიღებისა და პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, კონფერენცია შეუდგა მოხსენებების მოსმენას.

პირველი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ფირალიშვილი** კავშირის გამგეობის მუშაობისა და მაზრებში ჩატარებულ გამოკვლევების შედეგების შესახებ.

მომხსენებელი შეეხო კავშირის ორგანიზაციულ ზრდას, მოჯამაგირეთა შორის ჩატარებულ მუშაობას, კულტურულ დარგში ჩატარებულ მუშაობის შედეგებს, კავშირის მიღწევებს და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, შორაპნის, ბორჯომის, აფხაზეთის, ბათომის და სხვა კავშირების წარმომადგენლებმა.

ა.-კ. პროფსაბჭოში

1926-27 წ. ხელფასი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შეეცადოს ფაქტიურ ხელფასის ფონდების შენარჩუნებას ყველა ინსტანციებში. რესპუბლიკების პროფსაბჭოებმა დაჩქარებით უნდა წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოში ცნობები ფაქტიურ დასახარჯ ხელფასის ფონდისა და 1926—27 წ. მისაღებ ასიგნებებს შორის განსხვავების შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულებანი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ დაადგინა: აუცილებლად იქნეს ცნობილი კოლექტიური ხელშეკრულებების ხელახლად დადება უფლებრივ დარგში—ერთი წლით, სატარიფო ნაწილში—6 თვით.

პროფსაბჭოს პლენუმი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პლენუმი მოწვეულია 28 სექტემბერს.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ამიერ-კავკასიაში არსებულ ხელფასის შესახებ და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შემოდგომის კამპანიის ამოცანები; 2) ამ.-კავკასიის ფინსახკომის მოხსენება ამ.-კავკ. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე; 3) ა.-კ. შრომის კომისარიატის სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს მოხსენება ამიერ-კავკასიაში სოცდაზღვევის საქმის მდგომარეობის შესახებ და მომავალი წლის წინასწარი პერსპექტივები.

ქრონიკა

ამხ. დოგადოვის ჩამოსვლა

19 სექტემბერს, ღამით ბორჯომიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს გენერალური მდივანი ამხ. დოგადოვი. მეორე დღეს ამხ. დოგადოვი გაემგზავრა მოსკოვში.

აკადემიკოს კრაჩკოვსკის გამგზავრება

საკავშირო აკადემიის მუდმივი მდივნის მოადგილე კრაჩკოვსკი გუშინ თბილისიდან გაემგზავრა ბაქოში.

თბილისში აკადემიკოსმა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმის გარდა, დაათვალიერა მთელი რიგი კულტურული დაწესებულებები და, მათ შორის, საქართველოს მუზეუმი.

ბაქოში აკად. კრაჩკოვსკი შეუდგა ძველი კულტურის მეცნიერულად შესწავლას.

ამხ. ბობრიშევი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ჩვენი სამხედრო ატაშე სპარსეთში ამხ. ბობრიშევი.

ლიბანის სანატორიუმის ასაგებად

საბჭოთა კავშირის დამზღვევ სალაროს ცენტრალურმა სამმართველოს საკურორტო კომისიამ თბილისში გამოგზავნა ინჟენერი ოსტროვსკი.

ამხ.ოსტროვსკის დავალებული აქვს გაეცნოს ლიბანის სანატორიუმის აგების მიმდინარე მუშაობას.

ამხ. კაგანოვიჩის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი.

რემედასი და შვებულნი

რემედასის ცეკამ მისწერა თავის ქვემდებარე ორგანიზაციებს ჩაატარონ კამპანიები სოფლად მიმავალ შვებულ წითელარმიელებში და მოამზადონ ისინი რემედასის სოფლის ორგანიზაციებში სამუშაოთ.

ამ მიზნით შვებულებაში მიმავალ წითელარმიელებში ჩატარდება საუბრები, მოხსენებები და დარიგდება შესაფერი ლიტერატურა.

გარდა ამისა, ადგილებზე მოწყობილ ორგანიზაციებს ევალებათ ჩაატარონ კამპანიები რემედასის ლიტერატურის გასავრცელებლათ მოსახლეობაში.

ტიმირიაზეველების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის სასოფლო-სამეურნეო ექსკურსია 15 კაცის შემადგენლობით და აკადემიის პროფესორის გ. ი. გოგოლ-იანოვსკის ხელმძღვანელობით. თბილისის დათვალიერების შემდეგ ექსკურსია გაემგზავრება ბათომში. ექსკურსიის მიზანია—გაეცნოს ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობას.

თბილისის ალმასკომში

— **გზების შეკეთება.** მანგლის-წალკის შორის გზის შესაკეთებლად გადაიდო 25.000 მან.

— **ლენინის სახელობის** საბინაო მშენებლობის ამხანაგობას სესხად მიეცა 6.000 მან.

— **სასაკლაოზე** გასულ თვეში დაიკლა 11928 სული საქონელი.

— **ვენერიული დისპანსერი.** ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა ვენერიული დისპანსერის შეკეთება-გაფართოებას.

— **ლენინის ძეგლი.** ზაჰესის ამუშავების დღეს, ზაჰესში გაიხსნება ლენინის ძეგლი.

— **განაპირა უბნებში** აკრძალულია უგეგმოთ სახლების აგება.

— **წყალსადენი.** მომავალ წლიდან მაზრის თემებში თბ. ალმასკომი შეუდგება წყალსადენების გაყვანას.

განათლების კომისარიატში

— **შრომის სკოლების** პირველ საფეხურის პირველ ჯგუფში ბავშვები მიიღებიან არა ნაკლებ 8 წლისა, ხოლო საბავშო ბაღში 4-7 წლამდე.

— **ეროვნებათა უმცირესობის** სკოლებში რუსული ენის სწავლება შემოღებულია მესამე ჯგუფიდან.

— **მასწავლებლების** ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა საპატიო მიზეზების გარეშე, განათლების კომისარიატმა აუკრძალა ადგილობრივ განათლების განყოფილებებს.

—**სოფლის ახალგაზრდობის სკოლებათ**, დამდეგ სამოსწავლო წელს გადაკეთებული იქნება არა ნაკლები 37 შრომის სკოლისა.

— **საწერი მანქანები.** განათლების კომისარიატის ნებართვით, ბესარაბიელთა საზ-ბამ გახსნა ქართულ და რუსულ ენებზე საწერ მანქანებზე შესასწავლი კურსები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **ამბულატორიები.** ამ ჟამად მთელ რესპუბლიკაში არსებობს 120 ქალაქის ამბულატორია.

— **პოლიკლინიკები.** ჯანსახკომის 5 წლიანი გეგმით, ყველა სამაზრო ცენტრებში მოეწყობა პოლიკლინიკები სხვადასხვა განყოფილებებით.

— **საექიმო პუნქტები.** რესპუბლიკაში ამ ჟამად არსებობს 267 საექიმო პუნქტები. (მეფის დროს 36) 5 წლიანი გეგმის მიხედვით, ყველა ცალკე თემში მოეწყობა საექიმო პუნქტები.

— **ხევსურეთში, სვანეთში,** ახალქალაქში, და ბორჩალოში ჯანსახკომი საექიმო პუნქტებისათვის აგებს სპეციალურ ბინებს სათანადო მოწყობილობით.

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატში

— **აგრონომიული კაბინეტები.** მიწად-მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა მაზრებში მოაწყოს აგრონომიული კაბინეტები.

— **აგრო-განათლების** მიზნით, მიწად- მოქ. სახ. კომისარიატმა აგრონომებს დაავალა თავის მაზრებში სისტემატიურად მოაწყონ საუბრები და ლექციები სხვადასხვა სამეურნეო საკითხებზე.

ტრაქტორები

— **ტრაქტორები.** ამ ჟამად მთელ კავკასიაში მუშაობს 300 ტრაქტორი, აქედან საქართველოშია 80 ტრაქტორი.

— **სახელოსნოები.** ა.-კავკასიაში ტრაქტორების შესაკეთებელ სახელოსნოების მოსაწყობათ გადადებულია 570 ათასი მან. აქედან საქართველოსათვის 215 ათასი მან.

სხვადასხვა

— **ახალი ქარხანა.** 1 ნოემბრისათვის მცხეთაში ამუშავებული იქნება ხე-ტყის ახალი ქარხანა. ქარხნის აგება დაჯდა 200,000 მან.

შემთხვევები

— **ტრ. ქვეშ.** 19 სექტ. მალაკნის ქუჩაზე ტრამვაის რონოდამ მარცხენა ფეხი მოკვეთა 4 წლის ბავშს ნინა აფციაურს. ვატმანი ბიბილუხი დაპატიმრებულია.

— **დაჭრა.** მარქსის მოედანზე სასადილო „მტკვრის თავში“ სადილობის დროს მოქ. ლეონ ესათანცმა უეცრათ რევოლვერით დაჭრა ანტონ ხატიაშვილი.

— **გლეხის ცენტრალურ** სახლში მარიამ კვირიკიას მოპარეს 100 მ. ნივთები. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით არარატის ქ. ნომერი 10 გაქურდეს ვარვარა ჩილინდრაშვილის ბინა. წაიღეს 70 მ. ნივთები.

— **ჯიბგირობა.** ჯარისკაცთა ბაზარზე სოლომონ ხალფინის ამოაცალეს ვერცხლის საათი.

— **ტრამვაის რონოდაში** ნავთლუღში გიორგი კარენტინს ჯიბიდან ამოაცალეს სახაზინო ფული.

— **ქურდობა.** ბაბილუკის ქ. № 24 გაქურდეს გიორგი ქოიავას ბინა.

— **ბოქლომის გატეხის** საშუალებით გაქურდეს (თომას ქ., № 42), მანვრე მელქისეტიანცი.

აფერისტის დაპატიმრება

ოლეგ კუზუბი ეკუთვნის აფერისტთა იმ რიცხვს, რომლებიც დახელოვნებული არიან საღამო-წარმოდგენების „მოწყობაში“.

კუზუბმა პოლიგრაფტრესტის ფაბკომის სტამბაში დაამზადებინა წარმოდგენების 800 ბილეთი.

ერთ-ერთი მისი მეგობრის დახმარებით, ეს ბილეთები გაჰყიდა მუშებში. აფერისტი ხალხს იპატიჟებდა „მეორე რაიკომის კლუბში“. გამოირკვა, რომ ასეთი კლუბი თბილისში არ არსებობს.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ აფერისტი კუზუბი დაპატიმრებული იქნა.

ხელოვნების ქრონიკა

— **„ვილგელმ ტელლი“.** სანდრო შანშიაშვილმა ქართულად სთარგმნა „ვილგელმ ტელლი“.

— **„ხანუმა“.** რეჟ. წუწუნავამ დაამთავრა „ხანუმა“-ს გადაღება. სურათი ამ დღეებში წავა „აპოლოში“, „სოლეიში“ და „არფასტოში“.

— **რიტმის და პლასტიკის** ინსტიტუტში (სურბეი და ლეონ აზარპეტიანების ხელმძღვანელობით) დაიწყო შესასვლელი განცხადებების მიღება.

— **თამარ წერეთლის კონცერტი** გაიმართება ოპერის თეატრში 26 სექტემბერს.

— **„აბრეკ ზაურ“.** კინო „სოლეიში“ ამ ჟამად მიდის ახალი სურათი „აბრეკ ზაურ“. სურათში მონაწილეობენ ვ. გუნია, ა. თაყაიშვილი, ი. ჯორჯაძე, გ. ჩეჩელაშვილი და სხ.

— **ახალი თეატრი.** თბილისში მომავალ სეზონში გაიხსნება მინიატურის თეატრი.

— **წითელი თეატრის სეზონი** გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

— **მოხსენება პოეზიაზე.** ამ დღეებში ბეს. ჟღენტი ქიათურაში წაიკითხავს მოხსენებას: „თანამედროვე ქართული პოეზია“.

— **ცირკს** წელს იჯარით იღებენ ძმ. ტანტები.

— **ლექცია.** ხუთშაბათს 23 სექტემბერს, ხელოვანთა სასახლეში შესდგება შ. ადეიშვილის ლექცია:„ვეფხვის-ტყაოსნის დამოკიდებულება სპარსულ ლიტერატურულ შემოქმედებასთან“.

— **სოფ. საგარეჯოს** სახ. თეატრის 50 წლის იუბილე, რომელიც უნდა გადაეხადათ 26 სექტემბერს, გადადებულია 3 ოქტომბრისათვის.

საბჭოთა სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

20 სექტემბრის დილის სხდომა

მეექვსე და მეშვიდე სხდომებზე გრძელდება ბრალდებულ **თოფურიას** დაკითხვა.

სასამართლოს თავმჯდომარე ბრალდებულს უკითხავს მთელ რიგ ყალბ საბუთებს, რომლებიც საქმესთან არის დართული. ბრალდებული არც ერთ საბუთს მის მიერ შედგენილად არ სცნობს. ის დაწვრილებით ჩვენებას იძლევა. ჩვენების მიცემის დროს ბრალდებულს მღელვარება ეტყობა. თავმჯდომარე ამშვიდებს ბრალდებულს და მოაგონებს, რომ ის არის სასამართლოს წინაშე.

ბრალდებულის თქმით, მას სალაროში 12 თანაშემწე ჰყავდა, რომლებიც მუშაობდენ რიგ-რიგობით. შეიძლება აღნიშნული ბოროტმოქმედება მათ მიერ იყოს ჩადენილი. ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, რომ მუშაობა მას უხდებოდა ფრიად მძიმე პირობებში. ამ მიზნით ის იხმარიებდა თავის თანაშემწეებს. სადგურის უფროსი მასთან აგზავნიდა მოვარჯიშე პრაქტიკანტებს, რომლებიც მას ეხმარებოდენ ჩვეულებრივ მუშაობაში. იყო შემთხვევა, რომ სალაროში დაკლებია ფული, მაგრამ მას ფარავდა მისი ჯამაგირიდან. 1923 წელს ბრალდებული დააპატიმრეს. ამ დროს მან ვერ მოასწრო სალაროს სხვაზე გადაბარება და სალაროში დარჩა 450 ბილეთი. განთავისუფლების შემდეგ სალაროში აღნიშნული ბილეთები არ აღმოჩნდა. 1924 წ. ბრალდებული დაიბარა ამკრეფ სამსახურის უფროსმა დეკაპრილევიჩმა. იქ მას დახვდა ამკრეფ სამსახურის თანამშრომელი ეფენდიევას ქალი, რომელმაც უთხრა მას, რომ მისი ანგარიშები წარდგენილი საშემოსავლო ნაწილში, სისწორით არ არის შედგენილი. თანახმად ბრალდებულის თხოვნისა, დეკაპრილევიჩმა ნება დართო ეს საბუთები ბრალდებულს შესასწორებლად სახლში წაეღო. სამი დღის ვადით ბრალდებულმა ეს საბუთები სახლში წაიღო. გახსნისას 7-დის მაგიერ აღმოჩნდა რვა საბუთი; პაკეტებში ისეთი საბუთებიც იყო, რომლებიც მის სალაროს სრულიადაც არ ეხებოდა. ამ დროს მასთან მისულა ბრალდებული ამაშუკელი, რომელიც დახმარებია მას ორი საბუთის გადაწერაში. 4 დღის შემდეგ მან შესწორებული საბუთები მენიხრე მგელაძის ხელით ამკრეფ სამსახურის ნაწილის უფროსს დეკაპრილევიჩს გაუგზავნა.

გავიდა ხანი. რევიზიამ ბრალდებულის მიმდინარე მუშაობაში აღმოაჩინა შეღავათიან ბილეთების განმეორებით სარგებლობა. თოფურიას სალაროში აგრეთვე აღმოჩენილი იქნა სხვა სალაროს საბუთებიც. როგორ მოხდა ეს ბრალდებულმა არ იცის. ამის შემდეგ ბრალდებული დააპატიმრეს.

წინასწარი გამოძიების დროს, მან თავი სცნო დამნაშავეთ, მაგრამ ეს იყო გამოწვეული მისი მაშინდელი საერთო მდგომარეობით. ამჟამად ბრალდებული არც ერთ წაყენებული ბრალდებაში თავს არ სცნობს დამნაშავეთ.

ამის შემდეგ პროკურორი **ჟღენტი** ბრალდებულს აძლევს მთელ რიგ შეკითხვებს.

პროკურორი: ვის ხელში იმყოფება ბილეთების გაყიდვის წიგნი?

ბრალდებული: სადგურის მოლარის ხელში.

პროკურორი: რაკი ეს ასეა, დასაშვებია თუ არა, რომ ამ წიგნებში რაიმე წარწერა გააკეთოს ვინმემ მოლარის ნებადაურთველად.

ბრალდებული: სადგურის უფროსმა ჩემთან გამოგზავნა მოვარჯიშე სხვადასხვა პირები, რომლებიც ჩემთან მუშაობდენ სალაროში, როგორც მაგ., კიკიანი და სხვა.

ასე რომ, შეიძლება ჩემი არ ყოფნის დროს მათ რაიმე ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. ეს მე არ ვიცი.

პროკურორი: იყო თუ არა შემთხვევა, რომ თქვენ პრაქტიკანტებზე საყვედურს აცხადებდით.

ბრალდებული: ასეთ შემთხვევას ადგილი არა ჰქონია.

საღამოს სხდომა

გრძელდება ბრალდებულ **თოფურიას** დაკითხვა.

პროკურორი ჟღენტი: იცნობთ თუ არა თქვენ ნინა ცნობილაძეს და თამარა ორჯონიკიძეს (სადგურის სალაროს თანამშრომლები) და თუ გქონდათ მათთან რაიმე მოლაპარაკება ბილეთების კომბინაციის შესახებ.

ბრალდებული თოფურია: ვიცნობ, მაგრამ არავითარი ასეთი მოლაპარაკება მათთან არა მქონია.

პროკურორი: სავალდებულო იყო თუ არა წიგნაკებში ბილეთების ნომერაციის აღნიშვნა.

— **ბრალდებული:** სავალდებულო არ იყო.

თავმჯდომარე: საქმეში დართულ ყალბ ანგარიშებზე თქვენს ხელთწერას უარყოფთ. ექსპერტიზა აღნიშნავს, რომ ყალბი საბუთები ხელმოწერილია თქვენს მიერ. რით ახსნით ეს.

ბრალდებული: ჩემს ნაწერს მე უფრო გამოვიცნობ, ვინემ ექსპერტიზა.

შემდეგ ბრალდებულს სასამართლომ მისცა მთელი რიგი კითხვებისა.

ბრალდებული კვლავ გადაჭრით უარყოფს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს.

თოფურიას დამცველი **ლვამიჩავა** შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა გამოთხოვილ იქნას თბილისის სადგურის უფროსის კანცელიარიიდან საშემოსავლო წიგნაკი გამოსარკვევათ იმ გარემოებისა, რომ თოფურიამ 1924 წ. 31 ივლისის ანგარიშები საშემოსავლო ნაწილში წარადგინა დალუქულ პაკეტში. სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

21 სექტემბრის დილის სხდომა

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული **ამაშუკელი.**

ამაშუკელის ჩვენება

ბრალდებული ამაშუკელი მოუთხრობს სასამართლოს მისა და თოფურიას ქალის შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ.

ბრალდებული აჩვენებს, რომ მართალია, ის დაეხმარა ბრალდებულ თოფურიას ანგარიშის შესწორებაში, მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა იყო. არავითარ წინასწარ შეთანხმებას თოფურიასთან ადგილი არა ჰქონია.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულს ნაჩვენები აქვს, რომ ის დაეხმარა თოფურიას ქალს ანგარიშების გადასწორებაში.

გუშინ სასამართლოს პროცესზე, როდესაც თავმჯდომარემ წარუდგინა საქმეში დართული მის მიერ შედგენილი ყალბი საბუთები—ბრალდებულმა საბუთებზე აღნიშნული წარწერები მის ხელთწერათ არ სცნო.

წინასწარი გამოძიებით და ექსპერტების დასკვნით, ყალბი საბუთები, რომლებიც საქმეშია დართული შედგენილია და ხელმოწერილია ამაშუკელის მიერ, მაგრამ თოფურიას გვარით.

ბრალდებულმა თოფურიამ დაკითხვის დროს დაჟინებით განაცხადა. რომ ორი საბუთის შესწორებაში მას დაეხმრა ამაშუკელი.

ამის შესახებ ბრალდებულმა ამაშუკელმა სასამართლოში განაცხადა, რომ მართალია, წინასწარი გამოძიების დროს უჩვენა, რომ თოფურიას დაეხმარა საბუთების გადაწერაში და სცნო ზოგიერთ საბუთზე თავისი ხელთწერა, მაგრამ მაშინ საბუთებზე აღნიშნული წარწერა მის ხელთნაწერს ემგზავსებოდა.

გუშინ სასამართლოს პროცესზე შემდეგი განაცხადა:

შეიძლება მის მიერ 100 და მეტი ყალბი საბუთი იყოს შედგენილი, მაგრამ საქმეში დართულ საბუთებზე აღნიშნული არც ერთი წარწერა მას არ ეკუთვნის.

ბრალდებულს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს:

დამცველი **ლვამიჩავა** შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დამატებითი ექსპერტების გამოწვევის შესახებ.

სასამართლომ დამცველს შუამდგომლობაზე უარი უთხრა.

საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულ **ნინა ბასიშვილის** დაკითხვა. დაწვრილებითი ანგარიში ხვალ.

გამფლანგველის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ . საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **ს. ქავთარაძის** მონაწილეობით გაირჩა ბრალდებულ **ქრისტიფორე მანოიანის** საქმე.

მანოიანს ბრალდებოდა 1394 მანეთის მითვისება და გაფლანგვა ტყავტრესტის ფაბკომის ტეხნიკური მდივნით ყოფნის დროს.

აღნიშნული თანხა მან გაფლანგა 1925 წ. ოქტომბრის თვიდან 1926 წ. 17 აპრილამდე.

სასამართლომ მანოიანი დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნარევი

ახალი უზარმაზარი დირიჟაბლი

გაზ. „ტან“-ის ცნობით, შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო სამინისტროს მდივანმა ვილბურგმა ამ რამდენიმე ხნის წინათ პრეზიდენტს წარუდგინა პროექტი ახალი დირიჟაბლის, რომელიც გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე წარსულ წელს დაღუპული „შენანდოა“. ახალი დირიჟაბლი შესძლებს 6.000 კილომეტრის გავლას შეუჩერებლად. დირიჟაბლი გავსებული იქნება გელიუმით. მისი აგება დაჯდება 6 მილიონი დოლარი („შენანდოა“-ს აგება დაჯდა მხოლოდ 2½ მილიონი დოლარი).

ვილბურგის პროექტი მიღებულია.

საერთაშორისო ავტო-გამოცდა

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქ. ფრეიბურგის ახლო (გერმანიაში) გაიმართა საერთაშორისო ავტო-გამოცდა. გამოცდილი იქნა ჩვეულებრივი სამგზავრო და სპეციალური სასპორტო ავტომანქანები.

ჩვეულებრივი სამგზავრო ავტომობილების ჯგუფში მაქსიმალური სისწრაფე გამოიჩინა „მერსედეხის“ ფირმის ავტომობილმა (153 კილომეტრი საათში). სპეციალურ სასპორტო ავტო-მანქანების ჯგუფში „ალფა-რომეო“-მ (199 კილომეტრი საათში) და „მერსედეს“-მა (174 კილომეტრი საათში).

შემდეგ მოხდა მანქანების გამოცდა 12 კილომეტრის სიგრძის მთის გზაზე. ამ მანძილზე 140 მოსახვევი იყო. პირველობა მიიღო შოფერმა ვერნერმა „მერსედეს“-ზე (აღნიშნული გზა გაიარა 10 წუთსა და 2 4¹/₅ წამში).

კონტრაბანდისტების ურთი-ერთ დაზღვევა

ორეგონის შტატში (ჩრდილოეთ ამერიკა), როგორც შეერთებული შტატების სახელმწიფო დაზღვევის კომისარმა განაცხადა თავის მოხსენებაში, აღმოჩენილ იქნა თავისებური ურთიერთ დამზღვევი საზოგადოება , მოწყობილი კონტრაბანდისტების მიერ, რომლებსაც კონტრაბანდული გზით მაგარი სასმელები შეჰქონდათ შეერთებულ შტატებში. საზოგადოებას სპეციალური დასაზღვევი სქემა ჰქონდა შედგენილი. დამზღვევი საზოგადოება უზრუნველყოფდა თვითეულ კონტრაბანდისტს იმ შემთხვევაში, თუ თავის „პროფესიონალურ მოვალეობათა“ შესრულების დროს იგი მოკლული იქნებოდა, ან დასჭრიდენ, ან დააპატიმრებდენ. გამოირკვა, რომ საზოგადოებაში შედიოდა 1200—მამაკაცი და 100—ქალი. 1925 წლის განმავლობაში საზოგადოებამ პრემიების სახით შეკრიბა 500.000 დოლარი (1.000.000 მან.). თუ კონტრაბანდისტი მოკლული იქნებოდა, მის ოჯახს ერთდროულად ეძლეოდა 10.000 დოლარი, დაპატიმრების შემთხვევაში კი—5 დოლარი დღეში.

დედამიწის გარშემო მოგზაურობანი

მეტად საინტერესოა დედამიწის გარშემო პირველი და უკანასკნელი მოგზაურობის შედარება. თუ პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო გაგრძელდა სამი წელიწადი 12 დღის გამოკლებით (1519—1522 წ.), მიმდინარე წლის ზაფხულში ამერიკელებმა **ევანსმა და უელსმა** დედამიწის გარშემო იმოგზაურეს 28 დღის 14 საათის 36 წუთის და 5 წამის განმავლობაში. ინტერეს მოკლებული არ იქნება შედარება იმ პირობების, რომელშიც ხდებოდა ეს ორი მოგზაურობა.

პირველად დედამიწის გარშემო იმოგზაურა ცნობილმა პორტუგალელმა მეზღვაურმა **მაგელანმა.** მოგზაურობა შესრულებულ იქნა 5 ხომალდზე. ამ ხომალდებიდან უდიდესის წყალწყვა არ აღემატებოდა 120 ტონას. ხომალდების რაზმი შესდგებოდა 270 კაციდან. ამ რიცხვიდან მხოლოდ 18 დაბრუნდა ევროპაში, დანარჩენები დაიღუპენ, მათ რიცხვში—ექსპედიციის ხელმძღვანელი მაგელანიც. თვით მოგზაურობა სავსე იყო ათასგვარი მოულოდნელი შემთხვევებით: მეზღვაურების აჯანყება, ხომალდების დაზიანება, ომი, შეტაკება ველურებთან და სხვ. ექსპედიციის მიერ ჩამოტანილმა ნადავლმა დაჰფარა ყველა ხარჯები და კიდეც დარჩა 20.000 დოლარის განძი.

სულ პირობებში მიმდინარეობდა ევანსუელსის მოგზაურობა.

ამისათვის საკმაოა თვალი გადავავლოთ მოგზაურობის კალენდარს:

გასვლა ნიუ-იორკიდან	16/VI	(გემით)
ჩასვლა შერბურგში	22/VI	„
„ მოსკოვში	23/VI	(ავტომობილი, აეროპლანი)
„ ომსკში	25/VII	(აეროპლანი)
„ ფუსანში	2/VII	(მატარებელი)
„ სიმონოსეკში	2/VII	(გემი)
„ იოკაგამაში	3/VII	(მატარებელი)
„ ვიქტორიაში	12/VII	(გემი)
დაბრუნება ნიუ-იორკში	14/VII	(აეროპლანი)

მთელი მოგზაურობა დაჯდა 60—70 ათასი მანეთი.

იმ დროს, როცა მაგელანმა მთელი მოგზაურობა შესრულა ზღვებით და ოკეანებით, ევანსმა და უელსმა გზის დიდი ნაწილი—10.000 კილომეტრზე მეტი—გაიარეს ჰაერში და ხმელეთზე—6.600 კილომეტრი, ზღვით გავლილი იქნა 13.000 კილომეტრამდი.

შეიცვალა აგრეთვე სხვა პირობებიც: მაგელანის ექსპედიციას ნავთსადგურიდან გასვლის შემდეგ დაბრუნებამდი ევროპასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. ამერიკელ მოგზაურებს კი ფრენის დროსაც საშუალება ჰქონდათ კავშირი დაეჭირათ დედამიწის ყოველ კუთხესთან.

იურიდიული რჩევა-დახმარება

სახლის პატრონმა აგვიკლო როგორ მოვიქცე?

კითხვა

ვცხოვრობ ოჯახობით ძნელაძის ქ., სახ. № 42-ში, (სპიორების ქ.), მიჭირავს 1 ოთახი, სივრცით 25 კვ. არშინი; ვიხდი 5 მანეთს.

კარგი ხანია, რაც სახლის პატრონისგან განვიცდით შევიწროებას. ისე დღე არ გავა, რომ მისგან ლანძღვა-გინება არ გავიგონოთ. ამის გარდა დაგვინახავს თუ არა კიბეზე მიმავალს მოურიდებლად გვაბერტყავს ზედ ნაგავს, ამასთანავე ჩვენ ფანჯრის ზევით განძრახ ჰფენს ზეწრებს და გვბნელებს ისედაც ბნელ ოთახს ისე, რომ ზაფხულშიც 5-6 საათზე სინათლის ანთება გვჭირდება. მაგრამ მან ესეც არ იკმარა. ამ ბოლო დროს აგვიკრძალა სამზარეულოთი და საჭირო ალაგით სარგებლობა იმის და მიუხედავად, რომ ჩვენ ეს ბინა 1½ წელიწადია გვიჭირავს და დღემდე თავისუფლად ვსარგებლობდით როგორც ერთით, ისე მეორით. ამ რამდენიმე დღის უკან კიდევაც შეეცადა მეზობლის დახმარებით სამზარეულოდან ავეჯის გადმოყრას.

გთხოვთ განმარტებას: 1) მაქვს თუ არა უფლება ვისარგებლო საერთო სამზარეულოთი და საჭირო ალაგით და თუ მაქვს, რა ზომები მივიღო სახლის პატრონის თვითნებობის წინააღმდეგ? 2) რა უნდა ვაძლიო თვეში ბინის ქირად? ვიღებ თვეში 49 მან. და ვარ კავშირის წევრი (№ 10412).

ლ. კ—ლი.

პასუხი

თქვენ გაქვთ სრული უფლება უსასყიდლოდ ისარგებლოთ საერთო სამზარეულოთი და ფეხისადგილით. სახლის პატრონის მოქმედება ყოვლად დაუშვებელია. ხულიგნობისა და ლანძღვა გინებისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. **სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 178 და 188-ის თანახმად თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით სახალხო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მუხლების სახლის პატრონის მოქმედებასთან შესაფარდებლად.** გაქვთ უფლება ადმინისტრატიული წესითაც აღძრათ საჩივარი სახლის პატრონზე.

ბინის ქირად კი თვიურად იხდით საცხოვრებელ მოედნის თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენი ხელფასის მიხედვით სამ კაპეიკს.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კითხვა

მე ვმსახურობდი საუწყებო მილიციაში თვე ნახევარი დროის განმავლობაში. შემდეგ გაუფრთხილებლობის გარეშე მომხსნეს სამსახურიდან და არ მაძლევენ გასასვლელ ჯილდოს იმ მოსაზრებით, ვითომდა მე ვიყავი დროებით მომუშავე და ადმინისტრაცია ამიტომ არ იყო ვალდებული ჩემთვის გაფრთხილება მოეცა.

გთხოვთ განმარტებას კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება და ვის მივმართო ამის შესახებ. ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული.

გ. ხ—შვილი.

პასუხი

დროებით სამუშაოდ, **თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის ცირკულიარის № 25-ისა,** ითვლება ისეთი სამუშაო, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ თვეს. თქვენ კი გიმსახურიათ ერთ თვე ნახევარი, მაშასადამე თქვენი სამუშაო არ არის დროებითი სამუშაო (თუმცა დროებით სამუშაოშიც უნდა გაფრთხილება რამოდენიმე დღით, თუ კი სამუშაოს ხანგრძლივობა დაქირავების დროს არ იყო წინასწარ განსაზღვრული და არ იცოდა მომუშავემ). თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ გაუფრთხილებლობისათვის გასასვლელი ჯილდო, **თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ .47-ის მესამე შენიშვნისა.** უპირველეს ყოვლისა, თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 22 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, თბილისის ალმასკომის შენობაში შესდგება საქართვ. კომუნისტ. პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი,** რაიკომების პლენუმების, ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის დიდ უჯრედების მდივნების და პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაკების (კომუნისტების) თანადასწრებით.

დღის წესრიგშია: საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ჭიჭინაძის** მოხსენება „სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუშაობის შესახებ“.

საქართვ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების, აგრეთვე ზემოთ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახ.-ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს 22 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე. რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში, ქართული ჯგუფი—ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო განყ. კაბინეტში (კიროჩნის ქ., № 7).

— საქართვ. კომუნისტ. პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება** ინადაგებას იძლევა, რათა 22 სექტემბერს, დილის 8 საათზე თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმან. განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან გამოცხადდენ შემდეგი ამხ.: კოზაკოვა ივანე კ., მამედ მეჯიდი, ზაქარიაძე ნაზიმ კ., ბოგოევი იოსებ, ქანანოვი ვ.

— ხუთშაბათს, 23 სექტემბერს, დილის 9 საათზე შესდგება საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

— ხუთშაბათს, 23 სექტემბერს, დღის 2 საათზე შესდგება საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის **კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.**

— ოთხშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 3½ საათზე შესდგება საქ. კომუნისტ. პარტიის თბილისის კომიტეტის **ქალაქის რაიონის საagიტაციო კოლეგიის სხდომა.**

— ოთხშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

დსწრება ქვემოდ-აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა:

ლოლობერიძე (ცეკა), მაშკევიჩი (ცეკა), ინსტრუქტორები: ა) ჯაფარიძე, ბ) ხაცკევიჩი, გ) ურუშაძე, დ) მგალობლიშვილი, ე) ჯავახია. ინფორმსტატ.: ა) ეოლხოვსკოი, ბ) მისკინი, გ) ჯვარშეიშვილი, ლიცინოვი, ჯაფარიძე (ქალთა განყოფილება), გაგიევა, ჩერქეზიშვილი, სოყვარელიძე (აგიტ-პროპი), აკოპოვი (თბილისის კომიტეტი), ფანცხავა (ს. პ. კ. საბჭო), მელნიკოვი, ხუხუა, შოგირაძე, ცაბაძე, ჩალიან, ჯაფარიძე (ა. ლ. კ .კ. ც. კ.), სიხარულიძე (ჯარიდან), პეტროვი (ჯარიდან), აფციაური.

მოწვეული არიან ამხ. ჯანელიძე (რაჭიდან) და ციხელაშვილი (ბათომიდან).

— ხუთშაბათს, 23 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. კომპარტიის **ცეკას პარტიის საბჭოს სხდომა.** (ცეკას შენობა, მესამე სართული, ოთახი № 48). აუცილებელია შემდეგი ამხანაგების (საბჭოს წევრთა) დასწრება: 1) ცხაკაია მ., 2) მახარაძე ფ., 3) კალაძე რ. 4) ტოროშელიძე მ., 5) ხუმრიანი აშ., 6) ბიბინეიშვილი ბ., 7) ყურულიშვილი გ., 8) კახოიანი ას., 9) ძიგრაშვილი, (კომ. ახალ. კავშ.) და 10) საყვარელიძე პ.

ნუცა და ლევან ლოლობერიძე—აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ერთად ერთი შვილის პატარა

გ უ რ ა მ ი ს

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (ტროცკის ქ. № 20) დღეს, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. 1797

20 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ქეთევან რევაზის ასული ერისთავი

რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, დედა მისი მარიამ ერისთავისა დებით, შვილებით და სიძით. პანაშვიდი დღეს, ოთხშაბათს, ბინაზე ბესიკის ქ. (დავიდოვის) № 36 საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ახალი ვერის სასაფლაოზე, ქაშვეთის ეკლესიიდან დღით ხუთშაბათს, 23 სექტემბერს, 3 ნახ. საათზე. 3754

ხუთშაბათს, 23 სექტემბერს, დღის ხუთ საათზე

მ ე გ ი ბ ზ ი ა ვ ა ს

ხუთი წლის შესრულების გამო, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს მისი ტანჯული დედა და ძმები, რძალი და ბიძაშვილი ნესტანი. 3764

თავზარდაცემულნი: ნინო დიმიტრის ასული ილურიძისა, ელენე მიხეილის ასული და თევდორე თევდორეს-ძე ჟორდანიები, ქეთევან მიხეილის ასული და ნიკოლოზ გრიგოლის ძე მოლჩანნი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. აგვისტოს 15 ს, ქ. პრაღაში (ჩეხო-სლოვაკია) გარდაიცვალა პირველის ერთადერთი ვაჟიშვილი, ხოლო დანარჩენების საყვარელი ძმა

ბაგრატ მიხეილის-ძე ილურიძე

სამოქალაქო პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ღ.

1-ელ ოქტომბრიდან გაიხსნება
ზამთრის სეზონი
კინო-თეატრებში
აპოლო-სოლეი-არფასტო

ახალი სურათი საქართველოს სახკინმრეწველობის სააქციო საზოგადოებისა

ზანუმა
(ქეთო და კოტე)

რეჟისორი ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი

უმთავრეს როლებში :საქართველოს სახალხო მსახიობი—ელისაბედ ჩერქეზიშვილი, დამსახურებული მსახიობი—ტასო აბაშიძე, თამარა ბოლქვაძე, ცეცილია წუწუნავა, სოფიო ჟოზეფი, ინა ნაზარიშვილი, ქეთ. ჩეჩელაშვილი, ი. კორსუნსკისა. დამსახურებული მსახიობი—ვალერიან გუნია, კოტე მიქაბერიძე, მიხ. ჭიაურელი. ლადო კავსაძე, ის. ტრაპაიძე.
ეპიზოდიურ როლებში: ე. ჩარკისა, ბ. ბელეცკაია, ა. ბიხოვისა, ვიშნევსკისა, მ. უზიშკიანცი, ე. ვოლსკისა, მ. ციციანოვა, ლეონოვა, რატუშნენკო, გარინისა, ზ. კრუგლინი, დამსახ. მსახიობი—დელეგკი, ი. კრუჩინინი, დემიანენკო, ზავრიევი, ბიძია უენია, ქარცივაძე და სხვ.
ნ. 1799

კინო-თეატრი
სოლეი
საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერ
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1745 0—16

საუკეთესო სურათი
„აბრეკ ზაური“
კინო-მოთხრობა 10 ნაწილად (კავკასიის ახლო წარსულიდან)
უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ.
სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით.

საუკეთ. ამერიკ. ნაწარმოები პირველად
დაბრკოლებათა წინააღმდეგ
ამ დღეებში: „ცხოვრებისა და სიყვარულის ტალღებში“

„მ ა ნ დ რ ე ნ“ უკანასკნელი 5 და 6 სერია
ანონსი: ხვალ არფასტოს გახსნა. ეკრანზე: „მსწავლული უცხოელი“.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.
წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.
ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
0—1 უფ. მთავარი კანტორა

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ექიმი
გ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ.. ანდრეევის), 74 ნე- საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის. ახლოს. 25—1

თბილ.-ალმასკომის კომუნალური მეურნეობის ტეხნიკური განყოფილება
აცხადებს
კონკურს-ს
ქ. თბილისის თავისუფალ მიწების დაგეგმვაზე ვაკის რაიონში, ვარაზის-ხევისა და წყნეთის ხევის ფარგლებში. დასაგეგმავ რაიონის საერთო ფართი დაახლოებით უდრის 150 დესიატინას.
აღნიშნულ რაიონში განზრახულია ქალაქის ტიპის სახლების აგება. დაგეგმვა უნდა დაკავშირებულ იქნეს ქალაქის უკვე დასახელებულ ნაწილთან, რომელიც უშუალოდ საზღვრავს დასაგეგმავ ადგილს; უნდა გათვალისწინებული იქნას: მოედნებისა და სურსათ-სანოვაგით სავაჭრო ადგილების მოწყობა, სახალხო სახლისა და საზოგადოებრივ შენობათა აგება. ამასთანავე უნდა დაცულ იქნას შემდეგი მოცემანი:
1) მაგისტრალური ქუჩების განი (უნივერსიტეტის ქ.) 20 საჟენამდე.
2) ჩვეულებრივი ქუჩების განი 10 საჟენამდე.
3) შესახვევების განი 6 საჟენამდე.
4) პარკი არა ნაკლებ 2 დესიატ.
5) ბაღნარები (სკვერი) 0,5 დესიატ.
6) უბნის ყოველი გრძივი ზომა არ უნდა აღემატებოდეს 150 საჟენს.
7) ქუჩის ქანობი ფერდობზე არ უნდა აღემატებოდეს 9 პროც.-ს.
უნდა წარმოდგენილ იქნას გეგმა ზომთსადარით : 0,01 საჟ. 20,00 საჟ. და ტიპიურ ქუჩების გეგმარი-ზომთსადარით : 0,01 საჟ. 1,00 სჟ.
გეგმარების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა ა. წ. 10 ოქტომბ. შედარებით უკეთეს გეგმარების წარმომდგენს მიეცემა ჯილდო:
1—300 მანეთი.
2—200 მანეთი.
დასაგეგმავ ადგილების პლანშეტების მიღება შეიძლება კომ. მეურნ. ტეხნიკურ განყოფილებაში. თითო პლანშეტი ღირს 2 მანეთი.
კომუნალურ მეურნეობის ტეხნიკურ განყოფილების
ნ. 1800. გამგე ინჟ.: ნ. ლეჟავა.

პირველ სახელმწიფო
საბუხჰალტრო კურსებზე
გრძელდება ჩაწერა მეორე ჯგუფში.
სწავლა იწყება—პირველ ჯგუფში 21 სექტემბერს, მეორე ჯგუფში—28 სექტემბერს საღამოს 5 საათზე.
კეცხოველის (ყოფ. ლორის მელიქოვის) ქ. № 12.
2—1 3729 კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12.
3740 13—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ
3482 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე
ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

დაბრუნდა
ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე, კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7).
3755 13—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება-ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

დავკარგე განსაკუთრებული მოწმობა № 117305 სამხედრო საალრიცხვო ბილეთი № 35 | 7, ილია ძიძიგურის სახელზე, ჩ. გ. 3747

დავკარგე სამხედრო სარეგისტრაციო ბარათი, გაცემული გარე-კახეთის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ იოსებ დავითისძე მათიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3753

დავკარგე სამხედრო პირადობის მოწმობა № 9744 (ფორმა 4) აკაკი კოსტანტინესძე ცქიფურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3753

დავკარგე პარტ-საკანდიდატო ბილეთი მოცემული ლეჩხუმის სამაზრო პარტკომიდან № 11572 პოლინა მეთოდეს ასული ხეცურიანის სახელზე, ჩ. გ. 3752

დავკარგე პირიდობის მოწმობა ქ. სამტრედიის ალმასკომის მიერ მოცემული ივანე სიმონისძე ბარამაძის სახელზე, ჩ. გ. 3751

დავკარგე პირადობის მოწმობა № 158 შაქრო იაკობისძე ბანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3744

დავკარგე პირადობის მოწმობა ფილიპე რომანოსისძე დონაძეს სახელზე, ჩ. გ. 3745

დავკარგე საანგარიშო წიგნაკი № 8 ბარბარე მჭედლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3746

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 2297 | 76 კარაპეტ მიხეილისძე მაილოვის სახელზე, ჩ. გ. 3749

დავკარგე საალრიცხვო ბარათი გაცემული თბილისის პირველი უბნის სამხედრო მაგიდისაგან ალექსანდრე ბესარიონისძე მიქელაძის სახელზე, ჩ. გ. 3750

დავკარგე პირადობის მოწ ობა № 17394, მოცემული ქ. მოსკოვიდან, უცხოეთის საქმის განყოფ., სამი თვის ვადიანი, 14 ივლისამდი 26 წლამდის. ხუდაკული კაფრამან-ოღლის სახელზე. ჩ. გ. 3748

დავკარგე ინვალიდობის მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრაში დიმიტრი ნიკოლოზისძე თურმანიძის სახელზე, ჩ. გ. 3757

დავკარგე პირადი წიგნაკი აღრიცხვაზე აყვანის შესახებ № 3 მოცემული ახალ-ხიბულის საალრიცხვო მაგიდის მიერ სოლომონ ალექსანდრესძე კემულარიას სახელზე, ჩ. გ. 3757

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული გორის მაზრის ალმასკომის მიერ № 2388 იოსებ ჩიბირაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3757

დავკარგე პირადი სამხ. წიგნაკი ფორმა № 4, მოცემული დიდი-ჭყონის სამხ. მაგიდის მიერ გრიგოლ დიმიტრისძე ფარცვანიას სახელზე, ჩ. გ. 3757

დავკარგე პირადობის წიგნაკი № 131, მოცემული ზუგდიდის სამაზრო მილიციის სამმართველოდან ძუკუ დგებუაძის სახელზე, ჩ. გ. 3757

დავკარგე ნუსხა № 3137, მოცემული ზუგდიდის რაი სამხედრო მაგიდიდან ბარნაბა კონსტანტინესძე გარდავას სახელზე, ჩ. გ. 3757

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 5209 მოცემული სამთა-მადნო კავშირის მიერ. მიხეილ ზურაბისძე შათირიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1798

დავკარგე პასპორტი გიორგი ძუძუშვილის სახელზე, ჩ. გ. 3758

დავკარგე ხელოსანთა კავშირის წიგნაკი № 607 მიხეილ ქისტეფირესძე ქსანდაპულოს სახელზე, ჩ. გ. 1798

დავკარგე სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 1867 ტარასი გიორგისძე მეფარიძის სახელზე, ჩ. გ. 1798

დავკარგე პარტ-ბილეთი № 727251 ვარლამ ბესარიონისძე ოდიშარიას სახელზე, ჩ. გ. 3767

დავკარგე სამხედრო ნუსხა რევაზ გიორგისძე გოგშელიძეს სახელზე, ჩ. გ. 3758

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3881 ელისაბედ მურადოვას სახელზე, ჩ. გ. 3759

დავკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ანნა პავლეს ასული იაგუბოვას სახელზე, ჩ. გ. 3760

დავკარგე პირადობის მოწმობა ოლღა სიმონის ასული ლორიას სახელზე მოცემული რკ. გზის მთავარ სამასალო მაღაზიიდან № 20981 ჩ. გ. 3761

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1826, გაცემული კონსტანტინე კლემენტისძე თოფურიძეს სახელზე, 1906 წელში. 3762

დავკარგე საქ. ხელ. მუშ. პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 95502 და სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული იოსებ გრიგოლისძე ქეიძის სახელზე, ჩ. გ. 3766

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა გალაქტიონ ბრეგვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3765

დავკარგე რეგისტრაციის ქაღალდი № 89 | 87 გიორგი სირანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3770

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1170 გარეგინ დავითისძე თუშმალიანის სახელზე, ჩ. გ. 3770

დავკარგე შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის წიგნაკი № 23, ალექსანდრე ფურცვანიძის სახელზე, ჩ. გ. 3770

დავკარგე სამხ. აღრიცხვის ნუსხა ფ. 4 № 34 ანდრო ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 3770

დავკარგე რკ. გზის საკავშირო წიგნაკი № 32700 მემუხრუჭე იასონ მიხეილისძე კოპალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3769

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, ფორმა № 4, გაცემული თბილისის მე-9 უბნის მიერ იოსებ ვასილისძე ნადირაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3763